პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.
კვირა,
3
თებერვალი
1935 წ.
№ 29 (4186)

„მძიმე მრეწველობის მუშაკები თავის ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით მთელი 1934 წლის განმავლობაში იბრძოდნენ ამხ. სტალინის მიერ ჩვენს წინაშე დასახული ამოცანების გადაჭრისათვის. ამის შედეგად ჩვენ უკვე გვაქვს პირველი მნიშვნელოვანი წარმატებანი. მძიმე მრეწველობა საბჭოების VII ყრილობას შეხვდა 1934 წლის გადაჭარბებით შესრულებული გეგმით. იგი მზად არის კიდევ უფრო მეტი ძალით და ენერგიით განაგრძოს ბრძოლა 1935 წლის გეგმის და მეორე ხუთწლედის გეგმის შესრულებისათვის“.

(ამხ. ს. ორჯონიკიძის მოხსენებიდან)

საბჭოების VII სრულიად საკავშირო ყრილობა

საბჭოთა კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის ამხ. სერგო ორჯონიკიძის საანგარიშო მოხსენება

ამხანაგებო, სანამ შევუდგებოდე მძიმე მრეწველობის არსებული მდგომარეობის და მუშაობის დახასიათებას, ნება მომეცით რამდენიმე სიტყვით შევჩერდე იმაზე, თუ რა მნიშვნელობას აძლევდა მძიმე მრეწველობას ვლადიმერ ილიასძე ლენინი, რა მნიშვნელობას აძლევდა და აძლევს მას ამხ. სტალინი. ჩვენ არა ერთხელ გაგვიგონია ამხ. სტალინისაგან, რომ მძიმე მრეწველობის შექმნის გარეშე, თანამედროვე სამანქანო წარმოების შექმნის გარეშე ჩვენი საბჭოთა კავშირი ვერ იზეიმებდა თავის გამარჯვებას, პირიქით, ჩვენ რომ ვერ აგვეშენებინა მძიმე მრეწველობა, ჩვენ გადავიქცეოდით კოლონიად, როგორიც არის ჩინეთი, ხოლო პროლეტარული სახელმწიფო გასრესილი იქნებოდა.

ჯერ კიდევ 1921 წელს ჩვენი დიდი ბელადი და ჩვენი პარტიის ორგანიზატორი, ოქტომბრის რევოლუციის ორგანიზატორი და ბელადი ვ. ი. ლენინი წერდა:

„მსხვილი სამანქანო მრეწველობა და მისი მიწათმოქმედებაში გადატანა არის სოციალიზმის ერთადერთი ეკონომიური ბაზა, ერთადერთი ბაზა წარმატებითი ბრძოლისათვის კაცობრიობის განსათავისუფლებლად კაპიტალის უღლისაგან“.

და შემდეგ თავის მოხსენებაში კომუნისტური ინტერნაციონალის IV კონგრესზე 1922 წელს ამხ. ლენინი ამბობდა:

„ჩვენ ეკონომიას ვეწევით ყველაფერზე, სკოლებზედაც კი. ეს ასე უნდა იყოს, რადგანაც ჩვენ ვიცით, რომ მძიმე მრეწველობის გადარჩენის გარეშე, მისი აღდგენის გარეშე ჩვენ ვერ შევძლებთ ვერავითარი მრეწველობის აშენებას, ხოლო უმრეწველობოდ ჩვენ საერთოდ დავიღუპებით, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა. ეს ჩვენ კარგად ვიცით...“.

„... მძიმე ინდუსტრიას სჭირდება სახელმწიფო სუბსიდიები, თუ ჩვენ ისინი ვერ გამოვნახეთ, ჩვენ როგორც ცივილიზებული სახელმწიფო, მე უკვე აღარ ვამბობ, როგორც სოციალისტური, — დავიღუპებით“.

1925 წელს მოსკოვის აქტივზე გაკეთებულ მოხსენებაში მე-14 პარტიული კონფერენციის შესახებ, ლენინიზმის ერთგული ჩვენი პარტიის ბელადი **ამხ. სტალინი** ლაპარაკობდა მძიმე მრეწველობის განვითარების საერთაშორისო მნიშვნელობაზე. იგი ამბობდა:

„რაც შეეხება ჩვენი ლითონის მრეწველობის განვითარების საერთაშორისო მნიშვნელობას, იგი შეიძლება ითქვას, განუზომელია, რადგან, რა არის ლითონის მრეწველობის მძაფრი განვითარება პროლეტარიატის დიქტატურის დროს, თუ არა იმის პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთი, რომ პროლეტარიატს შესწევს არა მარტო ძველის დანგრევის, არამედ ახალის აშენების უნარიც, რომ მას შესწევს უნარი საკუთარი ძალებით ააშენოს ახალი მრეწველობა და ახალი საზოგადოება, თავისუფალი ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციისაგან? ხოლო ამის დამტკიცება საქმით და არა წიგნით — ნიშნავს საერთაშორისო რევოლუციის საქმის უსათუოდ და საბოლოოდ წინ წაწევას“.

ამით აიხსნება, ამხანაგებო, ის უდიდესი ყურადღება, რომელსაც ჩვენი პარტია აქცევდა მძიმე მრეწველობის განვითარებას; ამით აიხსნება ის უსასტიკესი ბრძოლა, რომელსაც პარტია აწარმოებდა მემარჯვენე ოპორტუნისტების და ზინოვიევის, კამენევის და ტროცკის, მაშინ ეგრეთწოდებული „მემარცხენე“, ხოლო ამჟამად თეთრგვარდიული ბანდის წინააღმდეგ.

პარტიამ **ამხ. სტალინის** ხელმძღვანელობით გაანადგურა ეს ვაჟბატონები და გაშლილი ფრონტით შეუდგა მძიმე მრეწველობის მშენებლობას ლენინური გზით. ჩემს საანგარიშო მოხსენებას მე მოვანდომებ სწორედ იმას, თუ როგორ მიმდინარეობდა ეს მშენებლობა ოთხი წლის განმავლობაში—საბჭოების VI ყრილობიდან VII-მდე.

1931 წლის პირველი იანვრისათვის მძიმე მრეწველობის ყველა ძირითადი ფონდი შეადგენდა 9.434 მილიონ მანეთს. ეს იყო ოთხი წლის წინათ. საბჭოების VII ყრილობისათვის მძიმე მრეწველობის ძირითადი ფონდები შეადგენენ 28.903 მილიონ მანეთს. (ტაში).

ოთხი წლის განმავლობაში აღნიშნული ფონდი გაიზარდა სამჯერ და კიდევ მეტად.

იმისთვის, რომ მძიმე მრეწველობის ძირითადი ფონდები 9.434 მილიონ მანეთიდან გაგვეზრდიდებია 28.903 მილიონ მანეთამდე, ე. ი. სამჯერ და კიდევ უფრო მეტად, საჭირო იყო უამრავი სახსრების დაბანდება მძიმე მრეწველობაში, საჭირო იყო ადამიანთა უდიდესი მასების ორგანიზება, აგება და ათვისება უკვე აგებული და რეკონსტრუირებული საწარმოებისა, საჭირო იყო თვით მშენებლობის და ექსპლოატაციის პროცესში ხელმძღვანელთა კადრების, მუშათა კადრების აღზრდა, — ხოლო ეს ყველაზე ძნელი საქმე იყო, ყველაზე გადამწყვეტი მთელს ჩვენს სახალხო მეურნეობაში, მთელს ჩვენს მშენებლობაში, მთელს მუშაობაში იყო და არის კადრები.

ლენინის პარტია არ ზოგავდა სახსრებს მძიმე მრეწველობის განვითარებისათვის. ბოლშევიკურმა პარტიამ ლენინის მოწაფის ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით გამონახა ის სახელმწიფო სუბსიდიები, რომლებზედაც ვლადიმერ ილიჩი ლაპარაკობდა. ბოლშევიკების პარტიამ და ჩვენმა მთავრობამ ამ ოთხი წლის განმავლობაში მძიმე მრეწველობაში დააბანდეს 30.306 მილიონი მანეთი, საექსპლოატაციოდ გადასცეს აგებული და რეკონსტრუირებული საწარმოები 22.549 მილიონ მანეთისა, იმპორტზე ჩვენი მრეწველობისათვის დახარჯეს ერთ მილიარდამდე ოქროს მანეთი.

მძიმე მრეწველობის მუშაკებმა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით შეასრულეს მძიმე მრეწველობის შექმნის უდიდესი ამოცანა. ისინი აშენებდნენ ქარხნებს, ფაბრიკებს, მაღაროებს, რკინის საბადოებს, ელექტროსადგურებს, ნავთის სარეწაოებს, კალიუმის და აპატიტის საბადოებს და სხვ., და სხვ., აშენებდნენ და ითვისებდნენ სატრაქტორო და საავტომობილო ქარხნებს, აშენებდნენ და ითვისებდნენ ბერეზნიაკის, სტალინოგორსკს, მაგნიტკას, კუზნეცკს, კრივოიროგს, „ზაპოროჟსტალს“, აშენებდნენ და ითვისებდნენ სვირჰესს, რიონჰესს, ძორაჰესს, შატურს, ზუევკას, ასობით და ათასობით ახალ სადგურებს და ქარხნებს, აშენებდნენ და ითვისებდნენ ქვანახშირის დონბასს, კუზბასს, ყარაგანდას და სხვ.

ჩვენი ქარხნების მშენებლობებზე იბრძმედებოდა მშენებელთა ახალი კადრები. რასაკვირველია, იყო შეცდომები და ზოგჯერ სავალალო შეცდომებიც, მაგრამ სხვა გზა ჩვენ არ გვქონდა.

ამხანაგმა **სტალინმა** მეტალურგებთან საუბარში გასული წლის 26 დეკემბერს განაცხადა:

„ჩვენში ძალიან ცოტა იყო ტექნიკურად მომზადებული ხალხი; ჩვენს წინაშე იდგა დილემა: ან დაგვეწყო ხალხისთვის სკოლებში ტექნიკური მცოდნეობის შესწავლით და ათი წლით გადაგვედო მანქანების დამზადება და მასობრივი ექსპლოატაცია, სანამ სკოლებში ტექნიკურად მომზადებული კადრები არ გამომუშავდებოდნენ, — ან დაუყოვნებლივ შევდგომოდით მანქანების შექმნას და გაგვევითარებია მათი მასობრივი ექსპლოატაცია სახალხო მეურნეობაში, რათა თვით წარმოებასა და მანქანების ექსპლოატაციის პროცესში შევესწავლებინა ხალხისთვის ტექნიკა, გამოგვემუშავებია კადრები. ჩვენ ავირჩიეთ მეორე გზა, ჩვენ აშკარად და შეგნებულად წავედით ასეთ პირობებში აუცილებელ ხარჯებსა და გადახარჯვებზე, რაც დაკავშირებულია ტექნიკურად მომზადებული ადამიანების სიმცირესთან, რომელთაც შეუძლიათ მანქანების გამოყენება. მართალია, ჩვენში ამ ხნის მანძილზე ცოტა მანქანები როდი დაიმტვრა, სამაგიეროდ ჩვენ მოვიგეთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი — დრო და შევქმენით ყველაზე უფრო ძვირფასი მეურნეობაში — კადრები. სამი-ოთხი წლის განმავლობაში ჩვენ შევქმენით ტექნიკურად მომზადებულ ადამიანთა კადრები, როგორც ყოველი სახის მანქანების (ტრაქტორები, ავტომობილები, ტანკები, თვითმფრინავები და სხვ.), წარმოების დარგში, ისე მათი მასობრივი ექსპლოატაციის დარგში. ის, რაც ევროპაში გაკეთდა ათეული წლების მანძილზე, ჩვენ შევძელით საერთოდ და ძირითადად გაგვეკეთებია სამი-ოთხი წლის განმავლობაში. ხარჯები და გადახარჯვები, მანქანების დამტვრევა და სხვა ზარალი უხვად ანაზღაურდა. ეს არის ჩვენი ქვეყნის სწრაფი ინდუსტრიალიზაციის საფუძველი“.

და ეს, რასაკვირველია, აბსოლუტურად სწორია. სხვა გზა ჩვენ არ გვქონია და არც შეიძლება გვქონოდა, ვინმეს რომ ეფიქრა სხვა გზით წასვლა, დღეს ჩვენ თქვენთან ერთად აქ არ ვიქნებოდით ყრილობაზე და ვერ ვიზეიმებდით გამარჯვებას.

ერთადერთი გზა არის კადრების აღზრდის და ჩვენი მრეწველობის განვითარების გზა, რომელზედაც **ლენინმა** და **სტალინმა** მიგვითითეს **(ტაში).** ამის მეოხებით ჩვენ დღეს გამარჯვებულნი ვართ. ჩვენს მრეწველობას ახლა კადრები ჰყავს. ისინი შევქმენით. ათასობით და ათასობით გვყავს მეთაურები, რომელნიც დღეს ცუდად როდი მუშაობენ, ხოლო ხვალ ბევრად უკეთესად იმუშავებენ. ამაში არავითარი ეჭვის შეტანა არ შეიძლება. ჩვენი სამრეწველო უმაღლესი სასწავლებლები, ტექნიკუმები, მუშფაკები, საფაბრიკო-საქარხნო სკოლები, რომლებიც ამხანაგ **სტალინის** მითითებით მოეწყო, უკვე ათიათასობით და ასი ათასობით უშვებენ ინჟინრებს, ტექნიკოსებს, დახელოვნებულ მუშებს, ხოლო მათი კიდევ უფრო მეტი რაოდენობა სწავლობს მშენებლობებზე და დაზგებთან ქარხნებში.

რა ავაგეთ ჩვენ ამ ოთხი წლის განმავლობაში? ავაგეთ მძიმე მრეწველობა, ავაგეთ მრეწველობა, რომელიც საწარმოო საშუალებებს ამზადებს.

რა არის ეს კონკრეტულად? ეს არის მთელი მანქანათმშენებლობა. ყველა მანქანა, ყველა ხელსაწყო, მთელი ზუსტი აპარატურა, მთელი ოპტიკა, თავდაცვის ყველა იარაღი, მათ შორის ყველა ზარბაზანი, ყველა თვითმფრინავი, ყველა ტყვიამფრქვევი, ყველა ტანკი, ყველა მოტორი; ეს არის მთელი შავი და ფერადი მეტალურგია; ეს არის მთელი სათბობი მრეწველობა, ქვანახშირი, ნავთი, ფიქალები; ეს არის ყველა ძირითადი ელექტროსადგური; ეს არის მთელი ქიმიური მრეწველობა; ეს არის საშენ მასალათა უმთავრესი სახეები; ეს არის მთელი რეზინის მრეწველობა; ეს არის ლითონის ყველა ნაწარმი, ტექნიკური ქსოვილები, ეს არის ოქრო, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ამოგვაქვს; ეს არის იშვიათი ელემენტები; ეს არის არალითონის მადნეული სიმდიდრენი.

ნება მომეცით მოკლედ შევჩერდე თვითეულ დარგზე ცალკე.

საბჭოთა კავშირის ელექტროფიკაცია

დავიწყოთ საბჭოთა კავშირის ელექტროფიკაციიდან, თქვენ ყველამ კარგად იცით, თუ რა უდიდეს მნიშვნელობას აკუთვნებდა **ვლადიმერ ილიასძე ლენინი** საბჭოთა კავშირის ელექტროფიკაციის განვითარებას. ჯერ კიდევ 1920 წელს **ლენინი** ამბობდა:

„თუ რუსეთი ელექტროსადგურების და მძლავრ ტექნიკურ მოწყობილობათა ხშირი ქსელით დაიფარება, მაშინ, ჩვენი კომუნისტური სამეურნეო მშენებლობა ნიმუში გახდება მომავალი სოციალისტური ევროპისა და აზიისათვის“.

შემდეგ:

„ჩვენ ვიცით, რომ კომუნისტური საზოგადოების აშენება შეუძლებელია, თუ არ აღვადგენთ მრეწველობას და მიწათმოქმედებას, ამასთან ისინი უნდა აღვადგინოთ არა ძველებურად. ისინი უნდა აღვადგინოთ თანამედროვე, მეცნიერების უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აგებულ, საფუძველზე. თქვენ იცით, რომ ამ საფუძველს ელექტრობა წარმოადგენს“.

რა გავაკეთეთ ჩვენ ამ დარგში საბჭოების მეექვსე ყრილობიდან გასულ ოთხი წლის მანძილზე?

ჩვენი ელექტროსადგურების დადგმული სიმძლავრე 1933 წლის დამლევისათვის შეადგენდა 2.876 ათას კილოვატს, ხოლო 1935 წლის პირველ იანვრისათვის შეადგენს 6.212 ათას კილოვატს. 1933 წლის მიმართ —216 პროც. (ტაში).

საბჭოთა კავშირის ყველა ელექტროსადგურმა 1930 წელს გამოიმუშავა 8.368 მილიონი კილოვატ საათი ელექტროენერგია, ხოლო 1934 წელს ყველა ჩვენმა სადგურმა გამოიმუშავა 20.5 მილიარდი კილოვატ-საათი ელექტროენერგია. 1933 წლის მიმართ—245 პროც.

1930 წელს ჩვენ გვქონდა 6.154 კილომეტრი ელექტროგადაცემათა ხაზები, 1935 წლის პირველი იანვრისათვის გვაქვს 12,207 კილომეტრი,— მეექვსე ყრილობიდან მეშვიდე ყრილობამდე ერთიორად გადიდდა ყველაზე უფრო განვითარებული ელექტროქსელი შექმნილია მოსკოვის ოლქში, სადაც ჩვენ გვაქვს 3.352 კილომეტრი, დონბასში — 1.827 კილომეტრი, ურალში—1724 კილომეტრი, ლენინგრადის ოლქში — 994 კილომეტრი, სიმძლავრის ზრდა რაიონული სადგურებისა და მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის მსხვილი სამრეწველო სადგურებისა, რომლებიც მოქცეული არიან რესპუბლიკებსა და მხარეებში არსებულ რაიონულ ქსელში, შემდეგ სურათს იძლევა:

ათას კილოვატობით

ოლქების დასახელება	1931 წ. 1 იანვრისათვის	1935 წ. 1 იანვრისათვის
მოსკოვის ოლქი	381,5	700,1
ლენინგრადის ოლქი	272,1	516,4
გორკის მხარე	64,0	228
ჩელიაბინსკის ოლქი	27,0	230,0
სვერდლოვსკის ოლქი	32,1	220,6
ივანოვოს ოლქი	33,8	177,5
დასავლეთ ციმბირი	5,5	143,5
აზოვშავიზღვის მხარე	89,2	138,3
სტალინგრადის მხარე	27,0	75,0
ვორონეჟის ოლქი	—	48
ჩრდილოკავკასიის მხარე	17,4	47,0
სარატოვის მხარე	10,5	34,5
თათართა ა. ს. ს. რ.	6,5	24,0
დასავლეთ ოლქი	—	22,0
კარელიის ა. ს. ს. რ.	4,5	19,5
შუა-ვოლგის მხარე	5,8	15,2
ყირიმის ა. ს. ს. რ.	7,5	11,1
კაზაკსტანის ა. ს. ს. რ.	—	3,0
სულ რუსეთის სფსრ-ში:	984,4	2.653,7
უკრაინის სსრ-ში	392,8	1.297,8
ა.-კ. სფსრ-ში	120,6	274,4
უზბეკისტანის სსრ-ში	6,5	27,8
ბელორუსიის სსრ-ში	10,0	26,4
სსრკ-ში	1.514,3	4.280,1
მათ შორის ურალ-კუზბასში	64,6	594,1

ელექტროსადგურების ექსპლოატაციის მხრივ სიმძლავრის დადგმული კილოვატის გამოყენება ჩვენში გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე დასავლეთ-ევროპის ქვეყნებში და ამერიკაში. იქ სიმძლავრის დადგმული კილოვატი წლის განმავლობაში მუშაობს 1500—2500 საათს, ხოლო ჩვენს ენერგეტიკის მთავარ სამმართველოს სადგურებში — 4 ათას საათს.

ჩვენი სადგურების ხელახალი ტექნიკური შეიარაღების მეოხებით ჩვენ გვაქვს თვალსაჩინო მიღწევები სათბობის ხარჯვის შემცირებაში პირობითი სათბობის ხარჯვა კილოვატ-საათზე ენერგეტიკის მთავარ სამმართველოს ყველა სადგურში 1930 წელს უდრიდა 0,859 კილოგრამს, 1931 წელს—0,807, 1932 წ. — 0,773, 1933 წელს—0,728, 1934 წ—0,684 კილოგრამს.

ენერგეტიკის მთავარ სამმართველოს საუკეთესო სადგურებმა 1934 წელს მოგვცეს სათბობის ხარჯვის შემცირების კიდევ უფრო უკეთესი მაჩვენებლები. მაგალითად, კავშირის ჰიდრორაიელსადგურმა (დირექტორი ამხ. **ვახრუშევი,** მთავარი ინჟინერი **ამხ. მუხინი**) — სათბობის ხარჯვა 0,595 კილოგრამი კილოვატ-საათზე; ზუევკის სადგურმა (დირექტორი **ამხ. იარიშკინი,** მანამდე **ამხ. ლოშაკი,** მთავარი ინჟინერი **ამხ. ოგლობლინი**) — სათბობის ხარჯვა 0,596 კილოგრამი კილოვატ-საათზე; ჩელიაბინსკის სადგურმა (დირექტორი **ამხ. ბერეზინი,** მთავარი ინჟინერი **ამხ. გოლუბცოვი**) — 0,006 კილოგრამი; ივანოვოს ჰიდრორაიელსადგურმა (დირექტორი **ამხ. ბელოვი,** მთავარი ინჟინერი **ამხ. პროტასოვი**) — სათბობის ხარჯვა 0,581 კილოგრამი; გორკის სადგურმა (დირექტორი ამხ. **ზვირბული,** მთავარი ინჟინერი ამხ. **ბალაბაევი**) — სათბობის ხარჯვა 0,621 კილოგრამი; ბაქოს კრასინის სახელობის სადგურსაც ასეთივე წარმატებები აქვს: სათბობის ხარჯვა 0,625 კილოგრამი (დირექტორი ამხ. **მანდელბაუმი,** მთავარი ინჟ. ამხ. **ფოგელი**).

1931 წელს პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ გამოტანილი იქნა ცნობილი დადგენილება თბოფიკაციის განვითარების შესახებ. რა გაკეთდა ამ ოთხი წლის განმავლობაში? ამ ოთხი წლის განმავლობაში აგებული და საექსპლოატაციოდ გადაცემულია შემდეგი თბო-ელექტროცენტრალები: კუზნეცკის სადგური—84 ათასი კილოვატი, ბერეზნიაკის — 93 ათასი კილოვატი, იაროსლავის კომბინატის თბოელექტროცენტრალი — 25 ათასი კილოვატი, კრივოიროგის სადგური — 25 ათასი კილოვატი, ლიპეცკის — 24 ათასი კილოვატი, გორკის ავტო-ქარხნის თბოელექტროცენტრალი — 24 ათასი კილოვატი, ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის სადგური—15 ათასი კილოვატი, ლუგანსკის სადგური — 16 ათასი კილოვატი, ურალმანქანათმშენის სადგური — 10 ათასი კილოვატი, გროზნოს სადგური — 25 ათასი კილოვატი, მოსკოვის თბოტექნიკური ინსტიტუტის თბოელექტროცენტრალი— 36 ათასი კილოვატი, კრასნოზავოდსკის (ხარკოვში) სადგური—25 ათასი კილოვატი, ყაზანის სადგური 20 ათასი კილოვატი;

1931 წლის პირველ იანვრისათვის ჩვენ გვქონდა 210 ათასი კილოვატი დადგმული თბოფიკაციური სიმძლავრე, ხოლო 1935 წლისათვის გვაქვს 870 ათასი კილოვატი; — გაიზარდა უფრო მეტად, ვიდრე ოთხჯერ.

სათბობის ეკონომია თბოფიკაციის მეოხებით 1934 წელს ერთ მილიონ ტონა პირობით სათბობს აღემატებოდა. ამ წლების მანძილზე სითბოს გაშვება საბჭოთა კავშირში 6,5-ჯერ გაიზარდა. საერთო სარგებლობის თბოქსელის სიგრძე გაიზარდა 45 კილომეტრიდან 200 კილომეტრამდე. 1935 წლის პირველ იანვრისათვის გაიზარდა 4,4-ჯერ.

ამ შედეგების მისაღწევად საჭირო გახდა დაგვებანდებია ამ წლების მანძილზე მშენებლობაში და ელექტროსადგურების გასაფართოებლად 2.665 მილიონი მანეთი.

მომქმედი რაიონული ელექტროსადგურების ძირითადი საწარმოო ფონდები 1931 წლის პირველ იანვრისათვის შეადგენდნენ 854 მილიონ მანეთს, 1935 წლის პირველ იანვრისათვის — 2.369 მილიონ მანეთს.

ამ წლების განმავლობაში აგებული და საექსპლოატაციოდ გადაცემულია ენერგეტიკის მთავარ სამმართველოს შემდეგი ახალი რაიონული სადგურები:

ენერგეტიკის მთავარ სამმართველოს ახალი რაიონული სადგურები	სიმძლავრე 1935 წ. 1 იანვრისათვის ათას კილოვატობით
1) დნეპრჰესი (უკრაინის სსრ)	434
2) ზუევკა (უკრაინის სსრ—დონბასი)	150
3) ლენინგრადის ჰიდროელსადგური კიროვის სახელობის ლენინგრადი)	100
4) სტალინოგორსკის (მოსკოვი)	50
5) სვირის (ლენინგრადი)	72
6) კამინსკის სადგური ძერჟინსკის სახ. (უკრაინის სსრ)	48
7) რიონჰესი (საქართველო)	48
8) კემეროვის (დასავლეთ ციმბირი)	48
9) საკ. თბოინსტიტუტის თბოელექტროცენტრალი (მოსკოვი)	36
10) კრასნოზავოდსკის თბოელექტროცენტრალი (ხარკოვი)	25
11) ვორონეჟის (ვორონეჟი)	24
12) ბრიანსკის (დასავლეთ ოლქი)	22
13) ძორაჰესი (სომხეთი)	22,5
14) ყაზანის	20
15) გიზელდონი (ჩრდილო - კავკასია)	15
16) ყადირის ჰიდრო რაიელსადგური	13
17) ორეხოვო-ზუევოს თბოელექტროცენტრალი	12,6
18) სარატოვის თბოელცენტრალი	12
19) კრასნოდარის	10,0
20) მინსკის თბოელცენტრალი	6,4
21) სემიპალატინსკის თბოელცენტრალი	3
22) შჩერბინსკის ჰიდროელსადგური (დონბასი)	3
სულ	1.174.6

აგებული და საექსპლოატაციოდ გადაცემულია შემდეგი ახალი მსხვილი საქარხნო ელექტროსადგურები, რომლებიც რაიონულ ქსელში მუშაობენ:

	სიმძლავრე 1935 წ. 1-ლ იანვრისათვის ათას კილოვატობით
1. მაგნიტოგორსკის რაიჰიდროელსადგ. (ჩელიაბინსკის ოლქი)	104
2. კუზნეცკის თბოელექტროცენტრალი (დასავლეთ-ციმბირი)	84
3. ბერეზნიკის თბოელექტროცენტრალი (სვერდლოვსკის ოლქი)	93
4. კრამატორსკის მანქანათმშენებელი ქარხნის ცენტრელსადგური (უკრაინის ს. ს. რ.)	25
5. იაროსლავლის რეზინის კომბინატის თბოელექტროცენტრალი (ივანოვოს ოლქი)	25
6. კრივოიროგის მეტალურგიული ქარხნის თბოელექტროცენტრალი (უკრაინის ს. ს. რ.).	25
7. ლიპეცკის მეტალურგიული ქარხნის თბოელექტროცენტრალი (ვორონეჟის ოლქი)	24
8. გორკის ავტოქარხნის თბოელექტროცენტრალი (გორკის მხარე)	24
9. მაკეევკის მეტალურგიული ქარხნის ცენტრალური ელექტროსადგური (უკრაინის ს. ს. რ.)	24
10. „აზოვსტალის“ ცენტრელსადგური (უკრაინის ს. ს. რ.)	24
11. ნივის ჰიდროსადგური (კარელია)	15
12. ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის თბოელექტროცენტრალი (უკრაინის ს. ს. რ.)	15
13. ლუგანსკის საორთქლმავლო ქარხნის თბოელექტროცენტრალი (უკრაინის ს. ს. რ.)	16
14. ურალის მანქანათმშენის ქარხნის თბოელექტროცენტრალი (სვერდლოვსკის ოლქი	10
სულ	508

გაფართოვებულია შემდეგი რაიონული სადგურები

	სიმძლავრე ათას კილოვატობით:	
	1931 წ. 1-ლ იანვრისათვის	1935 წ. 1-ლ იანვრისათვის
გორკის რაიჰიდროელსადგური	66	204
კავშირის რაიჰიდროელსადგური	36	186
შატურის რაიჰიდროელსადგური	136	180
ჩელიაბინსკის რაიჰიდროელსადგური	27	120
შტეროვსკის რაიჰიდროელსადგური	64	152
მოსკოვის პირველი ჰიდროელსადგური	107,5	119,5
ლენინგრადის მეორე ჰიდროელსადგური	6,5	67,5
შახტის რაიჰიდროელსადგური	44	90
ივანოვოს რაიჰიდროელსადგური	3	99
კიზელოვის რაიჰიდროელსადგური	6	74
იაროსლავის რაიჰიდროელსადგური	8	36
ჩრდილოეთ დონის რაიჰიდროელსადგური	29	70
ხარკოვის	23	28
კრივოიროგის	20	44
ოდესის	26,7	37,1
ნიკოლაევის	7,5	13,6
სარატოვის რაიჰიდროელსადგური	10,5	22,5
სტალინგრადის რაიჰიდროელსადგური	27	75
სამარის რაიჰიდროელსადგური	5,8	15,2
ბელორუსიის რაიჰიდროელსადგური	10	20
ეგორშინის რაიჰიდროელსადგური	10,5	24,5
ნოვოსიბირსკის რაიჰიდროელსადგური	5,5	11,5
ზაჰესი	13,0	25,0
ყირიმ-ენერგო	7,5	11,1
კალინინის თბოელექტროცენტრალი	4,0	10,0
პერმის ჰიდროელექტროსადგური	4,6	8,0
გრიშინის ელექტროსადგური. ცნობები არაა	—	—
დონენერგო	5,9	8,0
სულ გაფართოებულ სადგურებში	711,6	1.757,4

გაფართოვებულია შემდეგი მსხვილი საქარხნო სადგურები:

	სიმძლავრე ათას კილოვატობით	
	1931 წ. 1 იანვრისათვის	1935 წ. 1 იანვრისათვის
1. ბაქოს რაიჰიდროელსადგური „კრასნაია ზვეზდა“ (ა.-კ. ს. ფ. ს. რ.)	89,6	09
2. ბაქოს კრასინის სახელობის რაიჰიდროელსადგური (ა.-კ. ს. ფ. ს. რ.)	18	67,6
3. გროზნოს თბოელექტროცენტრალი (ჩრდილოეთ-კავკასია)	10	25
სულ გაფართოებულ სადგურებში	117,6	201,6

სულ ამ ოთხი წლის განმავლობაში აგებული ახალი რაიონული და მსხვილი სამრეწველო სადგურების სიმძლავრე შეადგენს 1.682.000 კილოვატს. ამ წლების განმავლობაში გაფართოვებულ რაიონული და მსხვილი საქარხნო სადგურების სიმძლავრე გაიზარდა 829 ათასი კილოვატიდან 1.959 ათას კილოვატამდე.

ასეთია ჩვენი საბჭოთა კავშირის ელექტროფიკაციის შედეგები. ელექტროსადგურებმა 1934 წლის გეგმა შეასრულეს 955 მილიონ კილოვატ-საათის გადაჭარბებით. მძიმე მრეწველობის ამოცანა ელექტროსადგურების შემდგომი მშენებლობის დარგში ის არის, რომ 1935 წელს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რაიონულ და მსხვილ საქარხნო ელექტროსადგურებში უნდა ავამუშაოთ 744 ათასი კილოვატის სიმძლავრე.

ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ მეორე ხუთწლედის გეგმის შესრულება და 1937 წელს გამოვიმუშაოთ 38 მილიარდ კილოვატსაათი ელექტროენერგია, აქედან რაიონულ ელექტროსადგურებში — 24,5 მილიარდ კილოვატ-საათი.

რაიონული ელექტროსადგურების მშენებლობაში წელს ბანდდება 925 მილიონი მანეთი.

ასეთია შედეგები, ასეთია მიღწევები. ისინი მცირე როდია, ჩვენ შეგვიძლიან ამით ვიამაყოთ. მაგრამ ელექტროსადგურების მუშაკები ამას არავითარ შემთხვევაში არ უნდა დასჯერდნენ.

ცალკეული სადგურების საუცხოვო ტექნიკურმა მაჩვენებლებმა არ უნდა დაფარონ ჩვენგან ის, რომ ჩვენი ძალიან ბევრი სადგური დღემდე არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ჩვენ ვიცით. ხოლო ჩვენზე უკეთესად იციან იმ ამხანაგებმა, რომლებიც რაიონებში, ქარხნებში, მაღაროებში, სამადნოებში მუშაობენ, თუ რა ხშირად წყდება ენერ-

(გაგრძელება იხ. მე-2 გვ.).

ამხ. სერგო ორჯონიკიძის მოხსენების გაგრძელება

გის მიწოდება, ჩვენს ელექტროსადგურებში დღემდე ავარიები ძალიან ხშირად ხდება. მართალია, ორი უკანასკნელი წლის მანძილზე საგრძნობლად წავიწიეთ წინ ავარიებთან ბრძოლის დარგში, მაგრამ, არავისთვის, მათ შორის ელექტროსადგურთა მუშაკებისთვის, არ არის სავალდებულო იმ ავარიების რიცხვიც, რომლებიც დღეს ჩვენს ელექტროსადგურებში გვაქვს, უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ სრულიად მოვსპოთ ავარიები ჩვენს ელექტროსადგურებში. ჩვენი ელექტროსადგურების მუშაკებმა მთელი ძალღონე უნდა მოიკრიფონ, რომ ჩვენი ელექტროსადგურები განკურნონ იმ ნაკლოვანებებისაგან, რომლებიც მათ დღეს აქვთ.

ქვანახშირის მრეწველობა

გადავდივარ ქვანახშირის მრეწველობაზე. ქვანახშირის ამოღების იმ დონემდე აყვანა, რომ მთლიანად უზრუნველგვეყო ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილება, ქვანახშირის ამოღების მექანიზაცია, ქვანახშირის ადგილობრივი რაიონების განვითარება და ამით შორიდან ქვანახშირის მოტანისაგან თავის დაღწევა, კუზბასის — კუზნეცკისა და მაგნიტოგორსკის ქარხნების მასაზრდოებელი წყაროს — განვითარება, ყარაგანდის და ბურეის განვითარება — აი ამოცანები, რომლებიც დააყენეს პარტიამ და მთავრობამ ქვანახშირის მრეწველობის დარგში. ამოცანები, როგორც ვხედავთ, ადვილი როდი იყო.

1930 წელს ჩვენ ამოვიღეთ 48.453 ათასი ტონა ქვანახშირი, მათ შორის:

	ათას ტონობით
დონბასი	36.957
მოსკოვის ბასეინი	1.818
ურალი	2.381
კუზბასი	3.684
აღმოსავლეთ-ციმბირი	1.360
დასავლეთ ციმბირი	1.630
შუა-აზია	400
ყარაგანდა	12
ა.-კ. ს. ფ. ს. რ.	109
დანარჩენი წვრილი რაიონები	102

ქვანახშირის ასეთი ამოღების დროს მთელი სახალხო მეურნეობა მშიერ ულუფაზე იყო, და ლაპარაკიც არ შეიძლებოდა იმაზე, რომ ასეთი ამოღება უზრუნველყოფდა ჩვენი ქვეყნის სულ უფრო-და-უფრო მზარდ მოთხოვნილებას.

1934 წელს ჩვენ მივეცით სახელმწიფოს 92 მილ. ტონა — 190 პროც. 1930 წლის მიმართ, აქედან:

დონბასმა 60.016 ათასი ტონა — 162 პროც. 1930 წლის მიმართ.

მოსკოვის ბასეინმა 4.906 ათასი ტონა — 269,8 პროც. 1930 წლ. მიმართ.

ურალმა 5.507 ათასი ტონა — 236,8 პროც. 1930 წლ. მიმართ.

კუზბასმა 11.584 ათასი ტონა — 314.4 პროც. 1930 წლ. მიმართ.

აღმოსავლეთ ციმბირმა 3.454 ათასი ტონა — 254 პროც. 1930 წლ. მიმართ.

შორეულმა აღმოსავლეთმა 2.995 ათასი ტონა 180,6 პროც. 1930 წლ. მიმართ.

(უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში მას ექსპლოატაციას უწევს გზათა სახალხო კომისარიატი).

შუა აზიამ 999 ათასი ტონა — 249.5 პროც. 1930 წლ. მიმართ.

ყარაგანდამ 1.830 ათასი ტონა, ხოლო 1930 წელს მხოლოდ 11.900 ტონა.

ა.-კ.ს.ფ.ს. რესპუბლიკამ 239 ათასი ტონა — 219 პროც. 1930 წლ. მიმართ. დანარჩენმა წვრილმა რაიონებმა 600 ათასი ტონა — 606 პროც. 1930 წლ. მიმართ.

როგორც ხედავთ, წარმატება აქ უდაოა. მაგრამ იმისთვის, რომ ამ წარმატებისთვის მიგვეღწია, საჭირო იყო ქვანახშირის მრეწველობაში ოთხი წლის მანძილზე 2.622 მილიონი მანეთის დაბანდება და ქვანახშირის მრეწველობის ძირითადი ფონდების გადიდება 1931 წლის პირველ იანვრისათვის არსებულ 511 მილიონიდან 1.450 მილიონამდე 1935 წლის 1 იანვრისათვის. საჭირო იყო 144 ახალ მაღაროს გათხრის დამთავრება და მათი საექსპლოატაციოდ გადაცემა, აგრეთვე რეკონსტრუირება 32 მაღაროსი ქვანახშირის წლიური ამოღების 70 მილიონ ტონა საერთო სიმძლავრით, საჭირო იყო ქვანახშირის მრეწველობისათვის მიცემა 760 მძიმე საბურღი მანქანისა, 7.900 სანგრევი უროსი, 1 275 ელექტრობურღისა, 297 ელექტრომავლისა. ხოლო ყველაზე მთავარი ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ დავეუფლებოდით ამ მექანიზმებს და მიგვეღწია ამ მექანიზმების მაღალი ნაყოფიერებისათვის.

მუშა-ხელის დენადობა მრეწველობის არც ერთ დარგში არ იყო ისე საგრძნობი, როგორც ქვანახშირის მრეწველობაში. მექანიზმების ათვისების სიძნელემ, ქვანახშირის მრეწველობის მეთაურთა მაშინდელი შემადგენლობის არასაკმაო მომზადებულობამ და აქედან გამომდინარე ორგანიზაციულმა არეულობამ ქვანახშირის მრეწველობის მუშათა შორის, განსაკუთრებით დონბასში, შექმნა საკმაო ძლიერი განწყობილება მექანიზმების და მექანიზაციის წინააღმდეგ. არ იცი როდის გაართმევ თავს ახალ მექანიზმებს, არ იცი როდის შესძლებ მოაწესრიგო ამ მექანიზმების სწორად მოვლა, არ იცი რამდენად ჩქარა მოგვცემენ ამ მექანიზმებს და ყველა საჭირო სათადარიგო ნაწილებს, და ამიტომ განა არ ჯობია გაიყვანო სამუშაოზე ათასობით და ათიათასობით მუშები და ამგვარად გაადიდო ქვანახშირის ამოღება, ასე მსჯელობდა ბევრი მაშინდელი ხელმძღვანელი.

ეს პოზიცია გაკოტრდა. ამ განწყობილებებს, მაშინდელ ორგანიზაციულ არეულობას, ხელმძღვანელობის კანცელარიულ-ბიუროკრატიულ მეთოდებს გამანადგურებელი, სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის და საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს 1933 წლის 8 აპრილის დადგენილებამ.

ამ დადგენილების შემდეგ ჩვენი ქვანახშირის მრეწველობის განვითარება ჯანსაღი გზით წავიდა. ქვანახშირის დონბასმა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სახკომსაბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, უკრაინის ყველა ორგანიზაციის და განსაკუთრებით უკრაინის კომპარტიის (ბ) დონეცის ოლქკომის და მისი ხელმძღვანელების უდიდესი დახმარებით შეასრულა ქვანახშირის ამოღების 1934 წლის პროგრამა, მოგვცა რა 60 მილიონი ტონა ქვანახშირი, რითაც უზრუნველჰყო ჩვენი სახალხო მეურნეობის და კერძოდ უკრაინის მეტალურგიული მრეწველობის ნორმალური განვითარება (ტაში).

ჩვენი საბჭოთა კავშირის ქვანახშირის რაიონების ამოცანაა — მისცეს ჩვენს ქვეყანას 1935 წელს 112,2 მილიონი ტონა, კუზბასმა 14 მილ. მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით 104,1 მილიონი ტონა, დონბასმა უნდა მოგვცეს 68 მილიონი ტონა, კუზბასმა 14 მილ. ტონა. მოსკოვის რაიონმა 7 მილიონი ტონა, „ურალუგოლმა“ — 7 მილიონი ტონა, ყარაგანდამ — 2,5 მილიონი ტონა, აღმოსავლეთ ციმბირმა — 2,5 მილიონ ტონა, „კიზუგოლმა“ — 1.350 ათასი ტონა, ტყვარჩელმა პირველად უნდა მოგვცეს 150 ათასი ტონა. ტყიბულმა — 350 ათასი ტონა.

მეორე ხუთწლედის დამლევისთვის ჩვენ სახელმწიფოს უნდა მივცეთ 152,5 მილიონი ტონა ქვანახშირი. ეს არ არის ადვილი ამოცანა, მაგრამ მისი შესრულება სავსებით შესაძლებელია, საჭიროა მხოლოდ ერთი რამ ვიმუშაოთ უკეთ, ვიდრე დღეს ვმუშაობთ. ჩვენში ჩვეულებრივ ასე ხდება — თუ პროგრამა შეასრულეს, ფიქრობენ, რომ მშვენივრად მუშაობენ, როცა მრეწველობის ესა თუ ის დარგი, ესა თუ ის საწარმო ასრულებს თავის პროგრამას, ხოლო შენ მასთან მიხვალ და ეტყვი — პროგრამა შენ შეასრულე, მაგრამ ისე კარგად ვერ მუშაობ, როგორც საჭიროა. ხალხი გაკვირვებული რჩება, ხელებს შლის და ამბობს: — როგორ, ჩვენ პროგრამა შევასრულეთ და კარგად არ ვმუშაობთ, როგორ შეიძლება ეს?

ძალიან უბრალოდ!

ჩვენ შეიარაღებული ვართ საუკეთესო ტექნიკით. ჩვენი ქარხნები ჩვენი მაღაროები, ჩვენი ფაბრიკები შეიარაღებული არიან ისეთი საუკეთესო თანამედროვე ტექნიკით, რომლის მსგავსი არცერთ ქვეყანას არ აქვს (მქუხარე ტაში).

მაგრამ თქვენ შეიძლება იკითხოთ როგორ მოხდა, რომ არც ერთ ქვეყანას არა აქვს ისეთი მაღალი ტექნიკა როგორც ჩვენ. საიდან ავიღეთ ეს ტექნიკა?

ჩვენ ვყიდულობდით ამერიკელებისგან, გერმანელებისგან, ფრანგებისგან, ინგლისელებისგან, უაღრესად გაუმჯობესებულ მანქანებს, მსოფლიო ტექნიკის უკანასკნელ მიღწევებს და ამით ვაიარაღებდით ჩვენს საწარმოებს. ამ სახელმწიფოებში ბევრი ქარხანა და მაღარო შეიარაღებულია მე-19 საუკუნის და მე-20 საუკუნის დამდეგის მანქანებით. ჩვენი ძირითადი კაპიტალი — ის მილიარდები, რომლებზედაც მე ვლაპარაკობდი, საუკეთესო ტექნიკაა, რომელიც კი მოიპოვება მსოფლიოში.

რა გვაქვს ჩვენ მხედველობაში, როცა ვეუბნებით ქვანახშირის მრეწველობის მუშებს — თქვენ მიმდინარე წელს საკმაოდ კარგად მუშაობდით, თქვენ შეასრულეთ პროგრამა, მაგრამ საჭიროა უკეთ მუშაობა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის, რომ მანქანები, რომლებიც მათ ხელთ არის, ის საჭრევი მანქანა, ის სანგრევი ურო, ის ელექტრომავალი, რომლებიც მათ განკარგულებაშია — ეს მანქანები აქამდის არ არის გამოყენებული ისე, როგორც საჭიროა.

ქვანახშირის მრეწველობამ შეასრულა პროგრამა. უზრუნველჰყო ჩვენი ქვეყანა ქვანახშირით. ჩვენ მშიერ ულუფაზე არ ვზივართ — ეს მართალია. მაგრამ როგორ ვიყენებთ საჭრევ მანქანებს, საჭრევ მანქანებს ვიყენებთ მხოლოდ 74 პროცენტით. ყველა არსებული საჭრევი მანქანის 26 პროც. სრულიად არ მუშაობს. სანგრევ უროებს ვიყენებთ მხოლოდ 49 პროცენტით, ელექტრომავლებს მხოლოდ 71 პროც., ხოლო 29 პროცენტი უმოქმედოდაა. ჩვენ დავხარჯეთ ოქრო, ჩვენ დავხარჯეთ შრომა იმისათვის, რომ გვქონოდა შესაძლებლობა გვემუშავნა ახალ მექანიზმებზე. ხოლო ეს მექანიზმები უმოქმედოდ დგანან, რატომ, რა მიზეზით? ჩვენი საუცხოო მუშაობის მეოხებით? არა, იმის გამო, რომ ჩვენ ჯერ კიდევ სავსებით ვერ დავეუფლეთ ამ ტექნიკას.

საჭიროა ყოველ მიზეზს გარეშე სავსებით დავეუფლოთ მას.

მერე რას იძლევიან ის საჭრევი მანქანები, რომლებიც მუშაობენ? საჭრევი მანქანის საშუალო სადღეღამისო ნაყოფიერება დონბასში (მე ვღებულობ საუკეთესო რაიონს, რომელიც ასრულებს პროგრამას) — უდრის 2.700 ტონას, საზღვრითია თუ არა ეს ციფრი? თუ თქვენ დაელაპარაკებით ქვანახშირის მრეწველობის მუშებს, ისინი გეტყვიან — მივაღწევთ 3 ათას ტონას, შეიძლება 3.200 ტონასაც. აბა რას იტყვით ასეთ ფაქტებზე? აი, მაგალითად, მენჟინსკის სახელობის მაღარო „ტამანში („კადიევუგოლი“) არის საჭრევი მანქანის მემანქანე — არა ამერიკელი, არა ფრანგი, არა გერმანელი და, მით უმეტეს „არა არიული წარმოშობისა“ (სიცილი), არამედ უბრალო გვარის ამხ. **ტელნიხი**, და ეს ამხ. ტელნიხი იძლევა თვეში 10 ათას ტონას 2.700 ტონის ნაცვლად. (**ტაში. ხმები ადგილიდან: იგი ყრილობის დელეგატია**).

— დიახ, ამხ. **ტელნიხი** ყრილობის დელეგატია.

ავიღოთ ილიჩის სახელობის მაღარო: საჭრევი მანქანის მემანქანე ამხ. ტკაჩენკო 2.700 ტონის ნაცვლად იძლევა 9.000 ტონას, ავიღოთ დიმიტროვის სახელობის მაღარო № 5—6 („სტალინუგოლ“). ამხ. **ჟუკოვი** იძლევა 11.700 ტონას (ტაში).

მაშ, როგორ უნდა მუშაობა? ისე, როგორც ახლა ვმუშაობთ, თუ ისე, როგორც მუშაობენ ამხ. ტელნიხი, ტკაჩენკო და ჟუკოვი? მე ვფიქრობ, რომ პასუხი შეიძლება მხოლოდ ერთი — უნდა ვიმუშაოთ ისე, როგორც მუშაობენ ამხ. ტელნიხი, ტკაჩენკო და ჟუკოვი (**ხანგრძლივი ტაში**). 2.700 ტონა და 11.700 ტონა რა უდიდესი რეზერვია და როცა ჩვენ ვლაპარაკობთ რეზერვებზე, ვლაპარაკობთ არა ზოგადი აგიტაციის წესით, არამედ გამოვდივართ ამგვარი ფაქტებიდან.

იგივე სურათია სანგრევი უროების ხაზით, სანგრევ უროს საშუალო ნაყოფიერება ცვლაში იმავე დონბასში 1934 წელს უდრიდა 6,5 ტონას. ხოლო ამხ. **გრიშინმა** მაღაროში № 4-2 („კადიევუგოლ“) რამდენჯერმე მოგვცა 85 ტ., ნაცვლად 6 ნახ. ტონისა. ამხ. **რიაბოშაპკამ** (ძერჟინსკის სახ. მაღარო, „არტიომუგოლი“) მოგვცა 40 ტონა, ამხ. **მურაშკომ** რომელსაც კარგად იცნობენ ქვანახშირის მრეწველობის მუშები), მაღარო „კრასნი პროფინტერნი“, „არტიომუგოლი“) მოგვცა 50 ტონა და ამ გამომუშავებას იძლევა რამდენიმე თვის განმავლობაში. ასეთი მაგალითები ქვანახშირის სხვა რაიონებშიაც მოიპოვება.

ელექტრომავლის საშუალო ერთთვიური ნაყოფიერება დონბასში 1934 წელს უდრიდა 7.940 ტონაკილომეტრს, ხოლო არტემის მაღაროში მემანქანე ამხ. ჩერედნიჩენკო იძლევა 30 ათას ტონაკილომეტრს, დიმიტროვის სახელობის მაღაროში („სტალუგოლი“) — 20 ათას ტონაკილომეტრს ელექტრომავალზე, მაღაროში 19-20 („არტემუგოლი“) — 12 ათას ტონაკილომეტრს. ამგვარად 7.940 — 30 ათასი — 20 ათასი და 12 ათასი ტონაკილომეტრი, აბა ნახეთ, ამხანაგებო, რა უდიდესი რეზერვებია აქ. უნდა ვისწავლოთ მუშაობა ისე, როგორც მუშაობს ამხ. ჩერედნიჩენკო და ჩვენ ერთი-ორად და ერთი-სამად გავადიდებთ ელექტრომავლით გადაზიდვას.

ჩვენს განკარგულებაშია მძლავრი, პირველხარისხოვანი ტექნიკა, და თუ ჩვენს ვისწავლით ამ ტექნიკის ისე გამოყენებას, როგორც მას იყენებენ ამხ. ჩერედნიჩენკო, ტკაჩენკო, ტელნიხი, ჟუკოვი, ჩვენ მივიღებთ პროდუქციის უდიდეს ნამატს, რომლის წინაშე დაიჩრდილება ყველა ის ნამატი, რომელიც ჩვენ ამჟამად გვაქვს და რომლითაც ვამაყობთ.

როცა ლაპარაკობენ იმაზე, რომ გვაკლია ესა და ეს და ამიტომ ვერ ასრულებენ პროგრამას, ეს არ არის სწორი. როცა ხალხი მუშაობს ისე, როგორც საჭიროა, საქმე კარგად მიდის, ყველაფერი საკმაოდ არის: როგორც კი დაიწყებენ დაუდევრად მუშაობას, ვერ შეასრულებენ გეგმას, მაშინ მოყვებიან წუწუნს, რომ ესა და ეს არ ჰყოფნიდათ, ხომ საჭიროა ვინმეს ბრალი დასდონ, უხერხულია საკუთარი თავისთვის ბრალის დადება. მაგრამ, როგორ გამოიყენეთ თქვენ ის, რაც თქვენ მოგეცათ — აი რაშია საქმე.

მე ვფიქრობ, რომ ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა არა თუ შევასრულოთ გეგმა 1935 და 1937 წლებში, არამედ მოგვეპოვება ყველა ტექნიკური შესაძლებლობა იმისთვის, რომ გადაჭარბებით შევასრულოთ ეს გეგმა, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, როგორ აითვისებენ ადამიანები ტექნიკას, როგორ მუშაობენ ისინი. ეს მთლიანად ჩვენს ხელშია. 1931 წლის ზაფხულში ამჟღად გაისმა ამხ. სტალინის სიტყვები: **„ჩვენი პროგრამის რეალობა — ეს ცოცხალი ადამიანებია, ეს ჩვენ ვართ თქვენთან ერთად“.**

განა ჩვენ მიერ მოყვანილი მუშაობის საუცხოო ნიმუშები არ წარმოადგენენ ამ სიტყვების მკაფიო დადასტურებას?

მე ვფიქრობ, რომ ჩვენი ქვანახშირის ბასეინების პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც ყოველთვის დიდ დახმარებას უწევდნენ ჩვენს მუშაობას, დაეხმარებიან ჩვენი ქვანახშირის მრეწველობის მუშებს დაეუფლონ პირველხარისხოვან ტექნიკას, რომლითაც ისინი შეიარაღებული არიან, ხოლო მისი ჯეროვნად დაუფლების შემდეგ ჩვენ ვაცილებით უფრო მეტ ქვანახშირს მივცემთ სახელმწიფოს.

ამჟამად ჩვენ ვაწარმოებთ საცდელ მუშაობას ქვანახშირის მიწისქვეშა გაზიფიკაციის დარგში. არის ზოგიერთი ნიშნები, რომ ეს საქმე წარმატებით დამთავრდება. მაგრამ იმის თქმა, რომ იგი აუცილებლად წარმატებით დაგვირგვინდება, ჯერ კიდევ ძნელია.

კემეროვოში ჩვენ ავაშენეთ ქვანახშირის გადამამუშავებელი ქარხანა ათიათასი ტონა თხევადი სათბობის პროდუქციით და მივიღებთ ნავთის პროდუქტებს, ამხანაგებო, ნავთის მრეწველობის მუშებო, გაიგონეთ — ჩვენ ნავთის პროდუქტებს მივიღებთ ქვანახშირისაგან და თქვენ გაგიჩნდებათ ახალი „კონკურენტები“.

ნავთის მრეწველობა

გადავდივარ ნავთის მრეწველობაზე. ნავთის, ბენზინის, ზეთის მოთხოვნილება იზრდება და წლითიწლობით გაიზრდება. ჩვენი ქვეყნის ტრაქტორიზაცია და ავტომობილიზაცია, ჩვენი ავიაცია, ჩვენი ორთქლმავლები, ჩვენი მარტენები მოითხოვენ დღეს და ხვალაც მოითხოვენ ნავთის სათბობის კიდევ უფრო მეტ რაოდენობას.

1934 წელს ჩვენ გამოვუშვით 72 ათასი ავტომობილი, 1935 წლისათვის გეგმით გათვალისწინებულია 92 ათასი ავტომობილის გამოშვება, მაგრამ ეს ხომ წვეთია ზღვაში. ამერიკაში საავტომობილო პარკი შესდგება 25 მილიონი ავტომობილისაგან. რამდენი ავტომობილი უნდა გამოვუშვათ, რომ დავეწიოთ ამერიკას, და რამდენი ნავთი და ბენზინი უნდა ვიშოვოთ, რომ მივსცეთ საკვები ამ ავტომობილებს.

1934 წელს ჩვენ გამოვუშვით 93 ათასი ტრაქტორი, 1935 წელს უნდა გამოვუშვათ 97 ათასი ტრაქტორი. კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებზე მუშაობს 311 ათასი ტრაქტორი. ყოველივე ეს მოითხოვს საწვავი მასალის უდიდეს რაოდენობას და ჩვენ უნდა დავაკმაყოფილოთ ეს მოთხოვნები. შეგვიძლია თუ არა ჩვენ ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება? გეოლოგიური - საძიებელი სამუშაოების სამმართველოს უფროსის აკადემიკოს ამხ. **გუბკინის** ცნობებით, ნავთის საერთო მარაგი საბჭოთა კავშირში ამჟამად უდრის 3 მილიარდ ტონას (ხოლო 1934 წელს ჩვენ ამოვიღეთ 25,6 მილიონი ტონა). 3 მილიარდი ტონა, ანუ ნავთის მთელი მსოფლიო მარაგის 32 პროცენტი, — რაც ნავთის ბუნებრივი მარაგის მხრივ საბჭოთა კავშირს პირველ ადგილზე აყენებს მსოფლიოში. აქედან ბაქოსა და მის რაიონებში ჩვენ გვაქვს 1.325 მილიონი ტონა, ემბანავთში — 639 მილიონი ტონა, იშიმბაევში — [illegible] მილიონი ტონა, მაიკოპში — 81,8 მილიონი ტონა, გროზნაში — 138 მილიონი ტონა, შუა აზიაში — 240 მილიონი ტონა. ხოლო ჯერ კიდევ რამდენია ჩვენს ქვეყანაში ნავთის გამოუკვლეველი ფართობი?

ჩვენს მიწის წიაღში ნავთი ბევრია და ამ უდიდესი მარაგის არსებობა საშუალებას გვაძლევს. თუ ჩვენ როგორც საჭიროა ისე ვიმუშავებთ, მივიღოთ იმდენი ნავთი, რამდენიც ჩვენს ქვეყანას სჭირდება, ექსპორტის ჩათვლით. საბჭოთა წარმოების მილების და მოწყობილობის ნაკლებობა ჯერ კიდევ გუშინ არ გვაძლევდა საშუალებას გაგვეშალა მუშაობა ისეთი მასშტაბებით, რომლებიც ჩვენ გვესაჭიროება. მილების და მთელი მოწყობილობის შემოტანა ჩვენ გვიხდებოდა საზღვარგარეთიდან, რაშიაც ოქროს ვიხდიდით. ამჟამად ეს მიზეზი ნაწილობრივ აღმოფხვრილია ან წარმოებს მისი აღმოფხვრა და ჩვენ ყოველგვარი შესაძლებლობა გვაქვს ფართოდ განვავითაროთ ნავთის მრეწველობა მშობლიური წარმოების მილებით, მშობლიური წარმოების მოწყობილობით.

ოთხი წლის განმავლობაში ნავთის მრეწველობაში ჩვენ დავაბანდეთ 2.135 მილიონი მანეთი. 1934 წელს ჩვენ ამოვიღეთ 25.600.000 ტონა ნავთი გაზთან ერთად — 135,9 პროცენტი 1930 წლის მიმართ, აქედან აზნავთმა, რომელმაც გადაჭარბებით შეასრულა თავისი წლიური პროგრამა, მოგვცა 20.200.000 ტონა ნავთი.

ნავთის და გაზის ამოღების პროგრამა 1935 წლისათვის განსაზღვრულია 30.300.000 ტონის რაოდენობით. მეორე ხუთწლედის დამლევს ჩვენ უნდა ამოვიღოთ 40.200.000 ტონა ნავთი გაზითურთ. 1935 წელს ჩვენ უნდა გავბურღოთ 1.580.000 მეტრი და ავამოქმედოთ 6 მილაკი და 14 კრეკინგი და მოვაწყოთ მილგაყვანილობა 1.060 კილომეტრის მანძილზე.

ჩვენი მეურნეობის ყველა დარგიდან ნავთის მრეწველობამ პირველმა იწყო 1923-24 წელს გადაჭრით გადასვლა მუშაობის ამერიკულ მეთოდებზე, ამერიკულ ტექნიკაზე. ამ მუშაობამ მაშინ გამოიღო თავისი ნაყოფი, ნავთის მრეწველობის მუშაკებმა თავისი ხუთწლიანი გეგმა ორ ნახევარ წელიწადში შეასრულეს, რის გამო ჩვენმა პარტიამ და მთავრობამ ნავთის მრეწველობა [illegible] აღნიშნეს უმაღლესი ჯილდოთი, მისცეს რა მათ ლენინის ორდენი. მაგრამ ამის შემდეგ ნავთის მრეწველობის მუშაკთა შორის დაიწყო ერთგვარი დამშვიდება. მათ საქმე ისე გაიგეს, რომ რაკი ხუთწლედის შესრულებას ორ ნახევარ წელიწადში მიაღწიეს, ახლა საქმე თვითდინებით წავა. ხოლო, როგორც ვიცით, თვითდინებით ვერაფერს ვერ მივაღწევთ, მით უმეტეს ვერ ავაშენებთ სოციალიზმს.

გროზნოში, სადაც მუშაკები შადრევანებმა გაიტაცა, მხედველობიდან გამორჩათ ახალი ფენების, ახალი უბნების საძიებელი სამუშაოები, რისთვისაც სასტიკად იქნენ დასჯილი. 1934 წელს გროზნელებმა, მოგვცეს 3.594.000 ტონა ნავთი წინააღმდეგ 7.149.000 ტონისა 1930 წ.

ყველა დარგში ჩვენ ძლევამოსილად მივდივართ წინ, ხოლო გროზნავთმა ამჯობინა უკან სვლა.

რა ნაკლოვანებები ახასიათებენ ნავთის მრეწველობას, რაში მდგომარეობს ძირითადი ნაკლი? ეს ნაკლი, ამხანაგებო, უწინარეს ყოვლისა, მდგომარეობს დაუშვებელი ნელი ტემპებით ბურღვაში. ჩვენ დაუშვებლად ნელა ვბურღავთ, ჩვენ ხშირად ბარბაროსულად და არაკულტურულად ვაწარმოებთ მომქმედი ჭაბურღილების ექსპლოატაციას. ავიღოთ ჩვენი ნავთის მრეწველობის ყველა რაიონიდან საუკეთესო რაიონი ბაქოს რაიონი. 1934 წელს აზნავთმა შეასრულა გეგმა, მან შეასრულა გეგმა 1933 წელსაც.

1934 წელს აზნავთმა მოგვცა ზრდა ოთხი მილიონი ტონათი, რაც ბაქოს ნავთის მრეწველობას არასოდეს არ მოუცია (ტაში).

აზნავთმა 1934 წელს მოგვცა 20.200.000 ტონა, ხოლო 1930 წელს იგი იძლეოდა 10,7 მილიონ ტონას. ზრდა 88 პროცენტით და მიუხედავად ამისა, — დიახ, საწყენად ნუ დარჩებათ ბაქოელ ამხანაგებს, — მე ვფიქრობ, რომ მათი მაგალითის მიხედვით ჩვენ უნდა ვისწავლოთ, თუ როგორ არ უნდა მუშაობა (სიცილი).

რასაკვირველია, ბურღვის დარგშიც ჩვენ ერთ ადგილს ვტკეპნით. ავიღოთ ისევ აზნავთი. სისწრაფე ყოველგვარი სახის ბურღვის მიხედვით 1930 წელს აზნავთის ხაზით დაზგა - თვეში უდრიდა 87,9 მეტრს. 1934 წელს — 187,6 მეტრს. საექსპლოატაციო ბურღვაში 1930 წელს იყო 107,7 მეტრი, ხოლო 1934 წელს — 216,8 მეტრი. როგორც ხედავთ, ზრდა დიდია ერთიორად. ხოლო ამერიკულ სისწრაფესთან შედარებით ეს კუს ნაბიჯია. 1200-1500 მეტრის სიღრმეზე ბურღვას და საექსპლოატაციოდ გადაცემას ამერიკელები ახერხებენ ერთი თვის განმავლობაში — ჩვენ კი ასეთი ჭაბურღილების ბურღვას და საექსპლოატაციოდ გადაცემას ვუნდებით ოთხი - ხუთი თვის განმავლობაში, ხოლო ზოგჯერ ერთი წლის და მეტი ხნის განმავლობაშიც. ჩვენ თითქმის არ შეგვიძლია 1500 მეტრის სიღრმეზე მეტი ჭაბურღილის ბურღვა როგორც საჭიროა ისე, ხოლო ამერიკელები თავისუფლად ბურღავენ 2.000-2500 მეტრის სიღრმეზე და ამ სიღრმიდან ქაჩავენ ნავთს.

აქ ხშირად ამბობენ - ამერიკელებს სხვა მოწყობილობა აქვთ და ის რის გაკეთებაც ამერიკელს შეუძლია, ჩვენ არ შეგვიძლიათ. ასეთ ლაპარაკს ადგილი აქვს ყველა ჩვენი რაიონის ნავთის მრეწველობის მუშაკთა შორის. ხშირად გაიგონებთ ასეთ ლაპარაკს: რა დაგიჩემებიათ ამერიკელები, ამერიკელები! ამერიკელი ზის ჭაბურღილთან და თუ მას დასჭირდა რაიმე ტექნიკური მოწყობილობა მილი ან სხვა რამე, იგი ტელეფონით შეუკვეთავს ხოლმე და მაშინვე მოუტანენ - ხოლო ჩვენში რამდენი უნდა იწვალო ამისთვის. ამერიკელებს აქვთ ოთხსისწრაფიანი ჯალამბარები, ამერიკელებს აქვთ მძლავრი ტუმბოები, ამერიკელებს სხვანაირი მილები აქვთ, ხოლო ჩვენ... აბა რანაირად შევედრებით ჩვენ ამერიკელებს?

რასაკვირველია, ასეთი ლაპარაკი არაფრად არ ვარგა. ასეთი ლაპარაკი ჩამორჩენილი ადამიანების ლაპარაკია და, თავისთავად ცხადია, ჩვენ მათ არ უნდა მივბაძოთ. ჩვენ მივბაძავთ იმათ, ვინც იცის მუშაობა. ბაქოს რაიონის ცალკეული ბრიგადების კარგი მუშაობის მაგალითი მოწმობს იმ ადამიანების უმწეობას, რომლებიც ლაყბობენ, რომ შეუძლებელია უკეთესი მაჩვენებლების მიღწევა ბურღვაში.

1934 წელს, როცა ბურღვის საშუალო [illegible] სისწრაფე დაზგა-თვეში 216,8 მეტრს უდრიდა, სტალინის რაიონში ბურღვის ჯგუფის უფროსმა ამხ. **ბაბაევმა** (ერთი თვის განმავლობაში გაბურღა 5 ჭაბურღილი ათას მეტრზე მეტი სიღრმით თვითეული და ამ დროს ბურღვის სისწრაფე დაზგა - თვეში 300 მეტრს აღემატებოდა. საშუალოა 216,8, ხოლო აქ კი — 300 მეტრი. ცალკეულ ჭაბურღილებში უნაყოფოდ დაკარგული დრო ქანაობდა 3-4 პროცენტის ფარგლებში იმ დროს, როცა საშუალოდ აზნავთში უნაყოფოდ დაკარგული დრო 1934 წელს 32 პროცენტს უდრიდა.

მეორე ამხანაგმა **თონიხიანმა**. აზიზბეკოვის სახელობის სარეწაოს (კალას) ბურღვის ჯგუფის უფროსმა გათხარა № 162 ჭაბურღილი 1.190 მეტრის სიღრმეზე, თვეში 517 მეტრის სიჩქარით, და არასაწარმოო დრო 17 პროცენტამდე დაიყვანა.

№ 161 ჭაბურღილი 1.180 მეტრის სიღრმეზე იმავე ამხ. იონისიანმა გათხარა 513 მეტრის სიჩქარით და არასაწარმოო დრო 6 პროცენტამდე დაიყვანა, ხოლო № 165 ჭაბურღილი 1.155 მეტრის სიღრმეზე და 502 მეტრის სიჩქარით თვეში (არასაწარმოო დრო 15 პროც.). ბოლოს, № 208 ჭაბურღილი 1.150 მეტრის სიღრმეზე მან გაბურღა 575 მეტრის სიჩქარით, ამასთან არასაწარმოო დრო შეადგენდა 14 პროცენტს.

ამხ. კაგანოვიჩის სახელობის სარეწაოზე ამხ. **კარპენკომ** გაბურღა 1.400—1.460 მეტრი სიღრმის ჭაბურღილი 330—360 მეტრის სიჩქარით თვეში, ამასთან არასაწარმოო დრო შეადგენდა 8-დან 15 პროცენტამდე.

ამავე დროს ლოკბატანში უფრო ნაკლები სიღრმის დროს, ვიდრე სხვა რაიონებში, სიჩქარე 1934 წლის 10 თვის განმავლობაში უდრიდა 193 მეტრს, ამასთან ზოგიერთ თვეში, როგორც, მაგალითად, სექტემბერში, იგი 93 მეტრამდე ეცემოდა. დროის უნაყოფოდ დაკარგვა (აგვისტო-სექტემბერი) აღწევს 48—50 პროცენტამდე, ე. ი. ნახევარ დროს არ მუშაობდნენ.

ბურღვის ოსტატმა ამხ. **ავანესოვმა** ამხ სტალინის სახელობის სარეწაოზე ბაქოში 10 თვეს ჩააბარა 5 ჭაბურღილი, ამასთან საშუალო სიჩქარე დაზგა-თვეში უდრიდა 500 მეტრს, ბურღვის ოსტატმა [illegible] ამხ. კაგანოვიჩის სახელობის [illegible] ბაქოში № 260 ჭაბურღილი გაბურღა 774 მეტრის სიჩქარით თვეში.

აი მაიკოპიც. ბურღვის ოსტატმა ამხ. **დზუგაევმა** № 164 ჭაბურღილი 1.260 მეტრის სიღრმეზე გაბურღა [illegible] დღეში. ბურღვის ოსტატმა ამხ. **მელნიკოვმა** № 12, ჭაბურღილზე განავითარა 634 მეტრი სიჩქარე, ბურღვის ოსტატმა ამხ. ვოლკოვმა — 624 მეტრი, ამხ. პასკევიჩმა — 535 მეტრი, ამხ. **უსოვმა** 470 მეტრი.

გროზნავთში ამხ. **ცეხარის** ბრიგადამ მალგობეკში ჭაბურღილი გაბურღა 812 მეტრის სიღრმეზე, ამასთან საშუალო სიჩქარე თვეში უდრიდა 540 მეტრს. აი, ამხანაგებო, ციფრებიც: 216,8 საშუალო, 500-700 ცალკეულ ბრიგადებთან.

რაშია აქ საქმე? მე გამოვკითხე ამ მბურღავ ოსტატებს და პასუხი უბრალო აღმოჩნდა — კარგი ბრიგადა შეადგინეს, იგი სწორად გაანაწილეს, შრომა კარგად მოაწესრიგეს, უზრუნველყვეს მოწყობილობის, მილების კარგად მოვლა და შედეგებიც კარგი მიიღეს.

ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ჩვენ არ უნდა გადავიდეთ უფრო მაღალი ხარისხის მოწყობილობაზე, უფრო მაღალი ხარისხის მილებზე? რა თქმა უნდა, არა. ჩვენ უნდა გადავიდეთ და კიდეც გადავალთ. მაგრამ სანამ ჩვენ ვბურღავთ მხოლოდ 200 მეტრის სიჩქარით, სანამ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვახერხებთ სათანადოდ ბურღვას, სანამ თვეში 500 მეტრამდეც კი არ მიგვიღწევია, მანამ ოთხჯერადი სისწრაფის ჯალამბრები ჩვენ არ გვინდა, როგორც ამას მეუბნებოდა აზნავთის უფროსის მოადგილე ამხ. **ბორცი**. ის ამბობდა: თუ ახლა ჩვენ ოთხჯერადი სიჩქარის ჯალამბრებს მოგვცემთ. ჩვენ ისინი ორ სიჩქარეზე უნდა გადავიყვანოთ, რადგან სათანადოდ ბურღვა არ ვიცით.

მოყვანილი მაგალითები მოწმობენ, რომ ბურღვა უკეთესად შეიძლება და რომ ჩვენ უკეთესად უნდა ვბურღოთ იმ მოწყობილობითაც, რომელიც ამჟამად გაგვაჩნია.

რა მდგომარეობაა ექსპლოატაციის მხრივ? აგრეთვე არადამაკმაყოფილებელი. ავიღოთ, მაგალითად, კომპრესორები. ჩვენი ნავთის მრეწველობის მუშაკებმა მშვენივრად იციან, რა უდიდესი მნიშვნელობა აქვთ კომპრესორებს ნავთის მრეწველობისათვის. როცა უნდათ კომპრესორები მიიღონ ისინი მთელი ძალღონით გაიძახიან: „მეტი მოგვეცით, მეტი კომპრესორები მოგვეცით“. რაკი მიიღეს, საჭიროა კიდევ სათანადოდ მოუარონ მათ. ხოლო რას ვხედავთ სინამდვილეში? შეიარეთ საკომპრესოროში. კომპრესორები ბრუნავენ. მუშაობენ. მაგრამ თუ თქვენ მოისურვებთ გაიგოთ რამდენ ჰაერს ქაჩავს კომპრესორი, რამდენს უშვებს ჭაბურღილში ეს კომპრესორი, ამას ვერ გაიგებთ, რადგან არავინ არაფერი არ იცის, როცა საკომპრესოროს უფროსს შევეკითხე მან განაცხადა, რომ არ იცის, რადგან საზომი ხელსაწყოები არ არისო. წარმოიდგინეთ მხოლოდ: ჩვენ ვამზადებთ საზომ ხელსაწყოებს, საზღვარგარეთიდანაც შემოგვაქვს ხელსაწყოები, მრავალი ასეული მილიონის მოწყობილობა შემოვიტანეთ, და არავის მოსვლია აზრად რომ ეს ხელსაწყოები მოეთხოვა.

ამერიკაში ნამყოფ ერთ კარგ ინჟინერს ამხ. **კუზმინს** როგორც ყველა ამტკიცებს, ნიჭიერ ინჟინერს, აზიზბეკოვის სახელობის სარეწაოს (კალა) უფროსს შევეკითხე. ამერიკაშიც, თვით სარეწაოზე და მის ირგვლივ ასევე ჭუჭყი მეფობს, როგორც ჩვენში? — არა, იქ ნავთი მილებით მიედინება, — მიპასუხა მან, — ნავთის ტლაპოს ვერ დაინახავთ. მან გადმომცა დამახასიათებელი შემთხვევა: როცა ერთხელ მსურდა მენახა ნავთი და მსურდა გამეღო ონკანი, მაშინათვე მომვარდნენ, მოიტანეს სტაქანი და მითხრეს: ინებეთ, ნავთი სტაქანით წაიღეთო. მე შევეკითხე ამხ. კუზმინს, ხომ არ არის საჭირო გადმოვიღოთ ამერიკელთა ეს ჩვეულებები და ასევე კულტურულად გაუძღვეთ საქმეს? ამის საწინააღმდეგო მას არაფერი უთქვამს, მაგრამ ჩვენ... ნავთის მრეწველობის მუშაკები ჭუჭყს ძალიან არიან შეჩვეული, ხოლო ყველაზე უფრო ცუდი ის არის, რომ ისინი ღრმად არიან დარწმუნებული, თითქოს სხვანაირად არ უნდა იყოს და არც შეიძლება იყოს. ჭუჭყის და უკულტურობის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გავაჩაღოთ.

ჩვენ ხშირად მოწმენი ვართ, როცა სულ ახლა დიდი დებიტით გაშვებული ჭაბურღილი მეორე — მესამე დღეს წყლიანდება. ჩვენ გვაქვს ავარიების დიდი რაოდენობა, რომელსაც თან სდევს ხშირი ხანძარი. — ყოველივე ეს ექსპლოატაციის აზიური, მეთოდების შედეგია.

ჩვენ ბაქოს ნავთის ყველა სარეწაოზე გვყავს ახალგაზრდა მეთაურთა შემადგენლობა — ინჟინრები **ამხ. ბორცი, პეტერსონი, ნიკიტინი. კუზმინი, ტერ-გაზარიანი, პეტროსიანი და ასობით სხვა ინჟინრები** ეს სწორედ ის ახალგაზრდობაა, რომელიც ახლა იბრძვის ჩვენი მრეწველობისათვის, წინ სწევს მას, წარმოადგენს მის ხერხემალს. ეს ნიჭიერი ინჟინრებია. მათ სამეურნეო გამოცდილება ნაკლები აქვთ, მაგრამ მე არავითარი ეჭვი არ მეპარება, რომ მათგან კარგი ინჟინრები, კარგი სამეურნეო მუშაკები, კარგი მუშაკები გამოვლენ, თუ ისინი ხელს აიღებენ ერთ ცუდ ჩვეულებაზე, რომელიც მათში ჯერ კიდევ ძალიან ძლიერად არის გამჯდარი.

ისინი ღრმად არიან დარწმუნებული, რომ მათ პირდაპირ ყველაფერი იციან. თვითკრიტიკა არ უყვართ. და როცა აკადემიკოსმა ამხ. **გუბკინმა** ნავთის მრეწველობის ჟურნალში მოათავსა საკმაოდ კრიტიკული, მაგრამ მართებული სტატია, მათ შეურაცხყოფა იგრძნეს. ჩემი აზრით კი მათ უნდა ისწავლონ თავის შეცდომებზე. ჩვენ კადრებს ვზრდიდით და ვზრდით არა სასათბურო პირობებში, არამედ ბოლშევიკური თვითკრიტიკის ცეცხლში. თუ ბაქოელი ამხანაგები და ნავთის მრეწველობის ყველა სხვა მუშაკი ხელს აიღებენ შემცდარ წარმოდგენაზე, თითქოს ისინი მონოპოლისტები არიან ნავთის ყველა საქმის ცოდნაში, და ისწავლიან და ისწავლიან, — მათ შეუძლიათ უზრუნველყონ ის ამოღება და ნავთის მრეწველობის ის ზრდა, რომელიც ჩვენ გვესაჭიროება (ტაში).

ასეთივე ახალგაზრდა ინჟინრები ხელმძღვანელობენ საქმეს გროზნავთშიც, რომელიც ამჟამად საკმაოდ სავალალო მდგომარეობაშია. **ამხ. როზენიერი** გროზნავთში და **ამხ. ბორშჩევსკი** მაიკოპნავთში იმავე თაობიდან არიან. ამხ. ბორშევსკი ენერგიული მედგარი მუშაკია; როცა მას შევეკითხე, რატომ ბურღავთ კუსნაბიჯით, რატომ არ შეიძლება სხვანაირად ბურღვა, მანაც განმიმეორა რაღაც „ამერიკული ზღაპრებიდან“. ხოლო შემდეგ, როცა მან საქმეს ხელი მოკიდა, სათანადოდ მოაგვარა მუშაობა და მიაღწია შედეგებს, რომლებზეც მე მოგახსენეთ. მაიკოპნავთმა გეგმა 1934 წელს გადაჭარბებით შეასრულა. ამხ. ბორშევსკიმ შესძლო 1260 მეტრი სიღრმის ჭაბურღილი 38 დღეში გაებურღა და მიაღწია თვეში თითქმის 1000 მეტრი სიჩქარისათვის. ახლა ამოცანაა — ეს კარგი შედეგი ყველა ჭაბურღილზე გავრცელდეს. აგრეთვე ენერგიულად აწარმოებდა მუშაობას ნავთის ახალ რაიონში — მოლგაბეკში **ამხ. როზენიერი**.

ბაქოს ნავთის მუშების გასამარჯვებლად უდიდესი ძალღონე დახარჯა ამიერ - კავკასიის მთელმა პარტიულმა ორგანიზაციამ. რაიკომების მდივანთა საუცხოო კადრები. **ამხ. აკოპოვი, ამხ. ნარიმანოვი, ამხ. ახუნდ-ზადე, ამხ. ბონდარენკო, ამხ. გურევიჩი** და სხვები იყვნენ და არიან ნავთისათვის მოწინავე მებრძოლები.

ბევრი ძალღონე მოანდომა **ამხ. ბაგიროვმა** — აზერბეიჯანის კომუნისტური პარტიის ც. კ.-ის მდივანმა ბაქოს ნავთის მუშების გასამარჯვებლად უდიდესი ძალღონე და ენერგია გამოიჩინა ამიერ - კავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივანმა **ამხ. ბერიამ**, რომელიც კვირეებს და თვეებს ატარებდა ბაქოში, ეცნობოდა თვითეულ რაიონს, თვითეულ ჭაბურღილს (ტაში).

შემდგომი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ მკვეთრად, სწრაფად უნდა გავაძლიეროთ ბურღვის სიჩქარე. ბურღვის იმ სიჩქარეს, რომელიც ახლა გვაქვს, ჩვენ ვერ შევურიგდებით. ნავთის სარეწაოების ხელახალი მოწყობა საჭირო იქნება, მაგრამ დღეს იმ მოწყობილობით, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია, გვაქვს შესაძლებლობა ერთიორად და ერთისამად გავადიდოთ ბურღვის სიჩქარე. საჭიროა მხოლოდ, რომ ნავთის მრეწველობაში ჩაბმულმა ამხანაგებმა ისწავლონ სათანადოდ მუშაობა. თუ ჩვენ მივაღწევთ ბურღვის უფრო მაღალ სიჩქარეს და უარს ვიტყვით ექსპლოატაციის აზიურ მეთოდებზე — გამარჯვება უზრუნველყოფილია. ჩვენ არა თუ ასეთი, არამედ უფრო ძნელი მაღლობებიც აგვიღია, და ამ მაღლობსაც ავიღებთ.

ტორფი ჩვენს სათბობ ბალანსში თვალსაჩინო როლს ასრულებს. 1930 წელს საკავშირო საწარმოებში ჩვენ ამოვიღეთ 4.900 ათასი ტონა ტორფი. გასულ წელს ამოვიღეთ 11.700.000 ტონა. მექანიზებული ამოღების წილმა 65 პროცენტს მიაღწია. ტორფს და ფიქალებს ის უდიდესი მნიშვნელობა აქვთ, რომ ისინი გვანთავისუფლებენ შემოსატან ქვანახშირისაგან. რარიგ ძნელიც იყოს ტორფის ამოღება, რარიგ არასასიამოვნო იყოს ეს მუშაობა, ჩვენ იგი უნდა განვავითაროთ. საჭიროა მხოლოდ მოვახდინოთ ამ საქმის სათანადო მექანიზაცია.

ჩვენ აგრეთვე ძალიან სწრაფად უნდა განვავითაროთ გდოვის ფიქალების წარმოება, რათა გავანთავისუფლოთ ჩვენი ქვეყანა ლენინგრადისათვის საჭირო სათბობის დიდძალი რაოდენობის გადაზიდვისაგან.

შავი მეტალურგია

გადავდივარ შავ მეტალურგიაზე. ყველაზე უფრო ძნელი, ყველაზე უფრო რთული ამოცანა ჩვენთვის იყო შავი მეტალურგიის განვითარება. ულითონოდ შეუძლებელი იყო ლაპარაკი ჩვენი ქვეყნის რაიმე ინდუსტრიალიზაციისა და მეურნეობის რეკონსტრუქციაზე.

ომამდელი მეტალურგია იძლეოდა 4.200.000 ტონა თუჯს, 4.200.000 ტონა ფოლადს და 3.500.000 ტონა ტკეცილ ლითონს. 1930 წელს ჩვენ გვქონდა 5 მილიონი ტონა თუჯი, 5.863.000 ტონა ფოლადი, 4.813.000 ტონა ტკეცილი ლითონი, აქედან ხარისხობრივი ტკეცილი 242 ათასი ტონა, ხოლო ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილება ძალიან დიდი იყო. ფეროშენადნობის წარმოება ჩვენში მაშინ თითქმის სულ არ ყოფილა, ხოლო უმისოთ ხარისხოვან ტკეცილს ვერ მიიღებ. პარტიისა და მთავრობის წინაშე იდგა ამოცანა — დაჩქარებული ტემპებით აწარმოონ ახალი უდიდესი მეტალურგიული ქარხნების მშენებლობა. ჩვენ უდიდესი მასშტაბებით გავშალეთ ახალი ქარხნების მშენებლობა და ძველი ქარხნების რეკონსტრუქცია. დავიწყეთ კუზნეცკის და მაგნიტოგორსკის „ზაპოროჟსტალის“, „აზოვსტალის“. მშენებლობა, ტულის, ლიპეცკის. კრივოიროგის, ტაგილსკის ქარხნების აშენება, შევუდექით ძერჟინსკის სახელობის ქარხნის, მაკეევკის, ვოროშილოვის სახელობის ქარხნის, „კრასნი ოქტიაბრის“, „ელექტროსტალის“ და ზლატოუსტის ქარხნების რეკონსტრუქციას; პირველი ურალის, ნიკოპოლსკის, მარიუპოლის. ტაგანროგის, კარლ ლიბკნეხტის, სინაბსკის, ლიპეცკის, ვიქსუნსკის, მაკეევკის და სხვ. მილის ქარხნების მშენებლობას.

საეჭვოა, რომ ოდესმე რომელიმე ქვეყანას ეშენებინოს ერთსა და იმავე დროს ამდენი მეტალურგიული ქარხანა.

თქვენ იცით, თუ რა უდიდეს შრომას და სახსრებს მოითხოვს მეტალურგიული ქარხნების მშენებლობა. აქ საქმე მარტო იმაში კი არ არის, რომ ააშენო საბრძმედო საამქრო, მარტენის ან სატკეცი ღუმელი, არამედ იმაში, რომ მოძრაობაში მოიყვანო ყოველივე ეს. ხოლო ამისთვის საჭიროა უდიდესი მუშაობა მადნის, ფლიუსების, ცეცხლგამძლე მასალის, კოქსის, ელექტროენერგიის, ტრანსპორტის და დამხმარე საწარმოთა რემონტის მხრივ საკმარისია ითქვას, რომ ერთ ტონა ლითონზე საჭირო ხდება ხუთი ტონა ნედლეულის გადამუშავება. მაგნიტკის ტვირთბრუნვა თითქმის უდრის მთელი სამხრეთ ურალის გზის ტვირთბრუნვას, იმ გზის ტვირთბრუნვას, რომელიც მომსახურებას უწევს მას. მაგნიტკის და კუზნეცკის წყალსადენი, თვითეული ცალკე, ლენინგრადის წყალსადენზე მეტია. მაგნიტკის ველზე, რომელიც ჯერ კიდევ ამ რამდენიმე წლის წინათ სრულიად შიშველი იყო, აშენდა უზარმაზარი ქარხანა და ქალაქი, რომლის მოსახლეობა 220 ათასი კაცისაგან შესდგება. ხოლო ციმბირში წარმოიშვა კუზნეცკის ქარხანა ქალაქით, რომლის მოსახლეობა 170 ათასი კაცისაგან შესდგება.

აქედან შეიძლება დაინახოთ, თუ რა უდიდესი სახსრები უნდა დაგვებანდებინა მეტალურგიაში იმისათვის, რომ დაგვეყენებინა იგი ფეხზე. ლენინის პარტია არ ჩერდება სიძნელეების წინაშე. ოთხი წლის მანძილზე შავ მეტალურგიაში მან დააბანდა 5.306 მილიონი მანეთი. ამ ოთხი წლის განმავლობაში ჩვენ ავამუშავეთ 24 ახალი ბრძმედი, აქედან 800-დან 1000 კუბომეტრამდე ტევადობით — 13 ბრძმედი და 1.000 კუბომეტრზე მეტი ტევადობით — 6 ბრძმედი. ბრძმედების საერთო მოცულობა 27 ათასი კუბომეტრიდან (1930 წელს) გავადიდეთ 49 ათასამდე, ზრდა — 81 პროცენტით. საექსპლოატაციოდ გადავეცით 80 ახალი მარტენის ღუმელი, რომელთა ფსკერის ფართობი 3

(გაგრძელება იხ. მე-3 გვ.)

ამხ. სერგო ორჯონიკიძის მოხსენების გაგრძელება

ათას კვ. მეტრს უდრის, გავადიდეთ ფსკერის ფართობი 48 პროცენტით. მწყობრში ჩადგა და აღდგენილ იქნა 35 საგლინავი დაზგა შემდეგი სიმძლავრით: ბლიუმინგების — 5.150.000 ტონა, მწმენდავი დაზგების — 1.055.000 ტონა, აქედან 5 მძლავრი ბლიუმინგი, რომელთა ბადალიც ჩვენს ქვეყანაში წინათ არ ყოფილა. ამუშავდა ათი ახალი სამილე დაზგა 232 ათასი ტონა სიმძლავრით, და ეს იმ დროს, როცა 1930 წელს რკინის მილების მთელი წარმოება უდრიდა 264 ათას ტონას. ამუშავდა 1.493 საკოქსე ღუმელი 8,1 მილიონი ტონა კოქსის სიმძლავრით იმ დროს, როცა კოქსის მთელი გამოწვა 1930 წელს უდრიდა 6 მილიონ ტონას.

კირაქვას ახალი კარიერების სიმძლავრე უდრის 7,400 ათას ტონას. 1930 წელს ფაქტიურად მიღებულ იქნა 1.679.000 ტონა კირაქვა, ხოლო 1934 წელს—7 მილიონი ტონა. შეიქმნა დოლომიტის ახალი კარიერები 689 ათასი ტონა სიმძლავრით, ამასთან 1930 წელს ამოღებულ იქნა 140 ათასი ტონა, ხოლო 1934 წელს 638 ათასი ტონა დოლომიტი.

ცეცხლგამძლე მრეწველობის ბაზით ჩატარდა ახალი ქარხნების დიდი მშენებლობა, გაფართოვდა ძველი ქარხნები, მოხდა კარიერების მექანიზაცია. თუ 1931 წლის პირველ იანვრისათვის ცეცხლგამძლე მასალის მრეწველობის სიმძლავრე 1.227 ათას ტონას უდრიდა, 1935 წლის პირველ იანვრისათვის მან 2.451 ათას ტონას მიაღწია.

თუ 1931 წელს ჩვენ საზღვარგარეთიდან შემოვიტანეთ 268 ათასი ტონა ცეცხლგამძლე მასალა, ახლა ამის შესახებ უკვე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. თუ 1930 წელს ცეცხლგამძლე თიხის და ფლიუსების კარიერებზე მთელი მუშაობა ხელით წარმოებდა, ამჟამად ამ კარიერებზე ჩვენ გვაქვს 48 მოტომავალი (1930 წელს არცერთი არ გვქონია), 48 ექსკავატორი (გვქონდა 8), ვიწრო და ფართო ლიანდაგის 80 ორთქლმავალი (გვქონდა 16).

1934 წელს, 1930 წელს ამოღებულ 10.600 ათასი ტონის ნაცვლად, ამოღებულ იქნა 21.700 ათასი ტონა მადნეული, ე. ი. ოთხი წლის განმავლობაში ამოღება ერთიორად და კიდევ მეტად გაიზარდა. ამ წლების მანძილზე ამუშავებული ყველა ახალი სამადნოს და მაღაროს საერთო სიმძლავრე აღემატება წლიური მოპოვების 15 მილიონ ტონას. გარდა კრივოიროგისა, სადაც ოთხი წლის განმავლობაში ამუშავდა ახალი ქარხნები, რომელთა სიმძლავრე 8.200 ათას ტონას უდრის, რამაც, 1930 წელთან შედარებით, სიმძლავრე ერთიორად გაადიდა. დამუშავებულ იქნა რკინის მადნეულის ახალი რაიონები მაგნიტოგორსკში, რომლებიც იძლევიან 5 მილიონ ტონა მადანს, წარმოებს ხალილოვსკის რკინის მადნის რაიონის, ტელბესის დამუშავება და გაგვყავს რკინის გზა მთიანი შორიის მადნეულის ახალი საბადოებისაკენ.

ისე როგორც ქვანახშირის მრეწველობაში, გამარჯვება მრეწველობის ამ დარგში მთლიანად ემყარება ყველა სამუშაოს ფართო მექანიზაციას. მაგალითად, კრივოიროგში, 1930 წელს არსებულ 90 სახვეტი ჯალამბრის ნაცვლად, ჩვენ გვაქვს 624 სახვეტი ჯალამბარი, 33 ელექტრომავალი (1930 წელს სრულიად არ გვქონია).

შავ მეტალურგიას მოეპოვება 1.778 ორთქლმავალი, 21.900 ვაგონი და 6.500 კილომეტრი რკინიგზის ლიანდაგები.

დღეს ჩვენ გვაქვს მძლავრი მეტალურგია და გვყავს ჩინებული კადრები, რომლებიც მომსახურეობას უწევენ ამ მეტალურგიას. 1934 წელს მეტალურგებმა გადაჭარბებით შეასრულეს თუჯის და ტკეცილი ლითონის გეგმა და ამავე დროს დაგვაკლეს 250 ათასი ტონა ფოლადი. გეგმის გადაჭარბებით შესრულება უზრუნველყოფილ იქნა კარგი მუშაობით მადნის, კოქსის, ფლიუსების, ცეცხლგამძლე მასალის ქარხნების, აგრეთვე საქარხნო ტრანსპორტის დარგში.

თუჯის მხრივ ჩვენ პირველი ადგილი დავიკავეთ ევროპაში, როცა გამოვუშვით 10.440 ათასი ტონა თუჯი. წლის განმავლობაში ზრდა უდრის 3.332 ათას ტონას. რაც არც ერთ ქვეყანას არ მოუცია (ტაში) 1930 წლის მიმართ ეს 208 პროცენტს უდრის.

ჩვენ გამოვუშვით 9,565 ათასი ტონა ფოლადი — 163 პროცენტი 1930 წლის მიმართ. ფეროშენადნობი გამოვუშვით 67 ათასი ტონა, 1930 წელს კი გამოშვებული იყო 800 ტონა; ელექტროფოლადი—287 ათასი ტონა. წინააღმდეგ 42 ათასი ტონისა 1930 წელს.

ტკეცილი ლითონი გამოვუშვით 7.024 ათასი ტონა—146 პროც. 1930 წლის მიმართ, აქედან ხარისხოვანი ტკეცილი 1.249 ათასი ტონა, ნაცვლად 242 ათასი ტონისა 1930 წელს; წარმოება ერთიხუთად გადიდდა. რკინისმილები 469,6 ათასი ტონა, 1930 წელს გამოშვებული იყო 264 ათასი ტონა — 177,7 პროც. 1930 წლის მიმართ. რკინიგზის რელსები — 786 ათასი ტონა, ნაცვლად 1930 წელს გამოშვებულ 40 ათასი ტონისა.

თუ, ამხანაგებო, თუჯის გამოდნობას შევადარებთ სხვა ქვეყნებთან, დავინახავთ, რომ ჩვენ გვაქვს 10.400 ათასი ტონა, გერმანიას 1934 წელს ჰქონდა 8.720 ათასი ტონა, საფრანგეთს — 6.180 ათასი ტონა, ბრიტანეთს — 6 მილიონი ტონა, ბელგიას — 2.900 ათასი ტონა, ჩეხოსლოვაკიას — 610 ათასი ტონა. პოლონეთს—380 ათასი ტონა, იტალიას—580 ათასი ტონა, შვეციას—550 ათასი ტონა, ავსტრიას — 140 ათასი ტონა, ამერიკას — 16,5 მილიონი ტონა, იაპონიას — 2.300 ათასი ტონა თუჯი.

გუშინ ამხ. როზენგოლცმა თქვენ უკვე გაცნობათ, რომ ჩვენ არამც თუ არ ვფიქრობთ თუჯის შემოტანას, არამედ ჩვენ იაპონიას მივყიდეთ დაახლოებით ასი ათასი ტონა თუჯი და, თუ საჭირო იქნება, შეგვიძლია გავყიდოთ გაცილებით უფრო მეტი.

თითქოს გამარჯვება არ უნდა იყოს ცუდი, ამხანაგო მეტალურგებო. მეტალურგები ახლა ზეიმობენ, თავისთავს გამარჯვებულებად თვლიან, მათ გამარჯვებას დაამყარეს მსოფლიო რეკორდი, თუჯის მხრივ მოგვცეს ზრდა 3.332 ათასი ტონის რაოდენობით.

მსოფლიოში ეს არსად არ არის. კარგი საქმეა, ვეთანხმებით, თქვენთან ერთად მეც მიხარია, ამხანაგო მეტალურგებო, ვხარობთ ყველანი, ხარობს მთელი ჩვენი ქვეყანა (ტაში).

ჩვენმა პარტიამ და მთავრობამ დიდი შრომა და სახსრები დახარჯეს, სანამ ჩვენ ამ შედეგებს მივიღებდით. მაგრამ შეგვიძლია თუ არა ჩვენ ამით დავმშვიდდეთ?

ბირმანი (პეტროვსკის სახელობის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი). არა. **ორჯონიკიძე:** ბირმანი გვიპასუხებს, რომ არ შეგვიძლია. მე ვეთანხმები ამხ. ბირმანს. თუ ავიღებთ ბრძმედის წარმოებას. ჩვენ წელს, გასულ წელთან შედარებით, უეჭველად კარგი კოეფიციენტები გვაქვს. 1933 წელს ბრძმედის მოცულობის გამოყენების კოეფიციენტი უდრიდა 169-ს ხოლო 1934 წელს — 1,31. ეს კარგია. მაგრამ საკმარისია თუ არა ეს? სრულიადაც არა. და რომ ეს საკმარისი არ არის, ამას ადასტურებენ თვითმეტალურგები. კუზნეცკის ქარხანამ 1934 წლის განმავლობაში მოგვცა კოეფიციენტი — 1,14, მაკეევკის კიროვის სახელობის ქარხანამ — 1,14, სტალინის ქარხანამ—1,17, პარტიული ყრილობის შემდეგ მან საგრძნობლად გააუმჯობესა თავისი მუშაობა. კრივოიროგის ქარხანამ 1,18, „აზოვსტალმა" — 1,21, მაგნიტოგორსკის სტალინის სახ. ქარხანამ — 1,23, პეტროვსკის სახელობის ქარხანამ — 1,24. ქვევით აღარ ღირს კითხვა.

ხატაევიჩი: [illegible] ციფრებია.

ორჯონიკიძე: არა, ამხ. ხატაევიჩ. მე აბსოლუტურად ახალი ციფრები მაქვს, შეგიძლიათ დარწმუნდეთ.

ხატაევიჩი: კუზნეცკთან შედარება არ შეიძლება.

ორჯონიკიძე: კარგი, ამხ. ხატაევიჩ, კუზნეცკთან შედარება არ შეიძლება. ვეთანხმებით. ეს მექანიზებული ქარხანაა ვეებერთელა ბრძმედებით. მე ვფიქრობ, რომ კუზნეცკის ქარხანა უნდა მუშაობდეს გაცილებით უფრო უკეთ, ვიდრე ამჟამად მუშაობს. იგი არ უნდა შეჩერდეს კოეფიციენტზე 1,14, არამედ უნდა მოგვცეს 1. პეტროვსკის სახელობის ქარხანა არ უნდა შეჩერდეს 1,24-ზე, მიუხედავად იმისა, რომ 1933 წელს მან მოგვცა 1.54. მან კიდევ უფრო უნდა გააუმჯობესოს თავისი მუშაობა.

ბირმანი: დეკემბერში 1,15.

ორჯონიკიძე: დეკემბერში 1,15. აბა, ამხანაგო ბირმან, დაგიჭირეთ სიტყვაზე. მოგვეცით კოეფიციენტი 1,15 (ტაში).

და თუ თქვენ ამხ. ბირმან, მოგვცემთ წლიურ კოეფიციენტს 1,15-ს.

ბირმანი: მოგცემთ!..

ორჯონიკიძე: ...და ყველა ქარხანა მიბაძავს თქვენს მაგალითს და მოგვცემს კოეფიციენტს 1,15-ს, ჩვენ ყოველდღიურად იმ ბრძმედებში, რომლებიც დღეს გვაქვს, გამოვადნობთ არა 31, არა 32, არამედ 40 ათასამდე ტონა თუჯს. მოდით და დავდოთ ეს ხელშეკრულება აქ ყრილობაზე, ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს წინაშე (ტაში).

ვოროშილოვი: მახეში გაები, ბირმან! (სიცილი, ტაში).

ორჯონიკიძე: ყრილობაზე მოცემული სიტყვა, ამხ. ბირმან, უნდა შესრულდეს ყოველ მიზეზს გარეშე (ტაში).

თქვენ გახსოვთ, ამხანაგებო, როცა მეტალურგები გამოცხადდნენ ამხ. სტალინთან და მოლოტოვთან გამარჯვების პატაკით, ამხ. სტალინმა შეაქო მეტალურგები—ბრძმედელები და ამავე დროს მიუთითა ფოლადის და ტკეცილის ჩამორჩენაზე, ხოლო ეს ძირითადია. ზოგჯერ ამბობენ: რას იზამ, ჩვენი ქვეყანა საკმაოდ არ არის მომარაგებული ლითონით და ამიტომ უკან დაბრუნებული ნამტვრევი ცოტაა. ამიტომ ჩვენ საკმაო რაოდენობით არ მოგვეპოვება დიდი მოცულობის მარტენის ღუმელები. როცა მე ვხედავ რა ხდება ჩვენს ქარხნებში, უნდა ვთქვა, რომ ყოველივე ეს სიმართლეს მოკლებულია. რასაკვირველია, ჩვენ არა გვაქვს იმდენი ნამტვრევი, რამდენიც აქვს, მაგალითად, გერმანიას, მაგრამ იმ ნამტვრევს, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მოიპოვება, ჩვენ საკმაოდ არ ვაგროვებთ (ხმები: სწორია). არ არის მართალი აგრეთვე ისიც, რომ ჩვენ გვაკლია მარტენის ღუმელები. მართალია ერთი რამ. ამხ. ბირმან, ჩვენ ვერ კიდევ ხეირიანად ვერ ვმუშაობთ მარტენებზე. უკეთ ვმუშაობთ, ვიდრე გასულ წლებში, უეჭველია, გვაქვს საგრძნობი მიღწევა, მაგრამ ეს არ არის საკმარისი.

ფსკერის კვადრატულ მეტრიდან ჩვენ ვიღებთ 3.4 ტონას, ეს ყოვლად შეუწყნარებელია. სცადეთ გააუმჯობესოთ მუშაობა, გაუთანასწორდით საუკეთესო ღუმელს, საუკეთესო საამქროებს და თქვენ მიიღებთ უდიდეს ნამატს. ძერჟინსკის სახ. ქარხანაში ჩვენ ფსკერის კვადრატული მეტრიდან ვიღებთ 5 ტონა ფოლადს, ასეთივე მდგომარეობაა აქ ბოლო დროს მარტენების ახალ საამქროში ამხ. გუდ ვზნიაკოვთან კიროვის სახ. მაკეევკის ქარხანაში, ეს გვაქვს აგრეთვე ამხ. სტეპანოვთან ქარხანა „სერპი მოლოტში", ეს გვაქვს ამხ. ტრიდუბოვთან „კრასნი ოქტიაბრში", კარგი მაჩვენებლები გვაქვს ამხ. ბირმანთან (ცალკე ღუმელებში), ამხ. ზავენიაგინთან მაგნიტკაში, ამხ. ბუტენკოსთან კუზნეცკში, მაგრამ არ არის საკმარისი მაღალი მაჩვენებლების მიღწევა ცალკე ღუმელებზე. საჭიროა ყველა ღუმელის კარგი მუშაობა და მაშინ ჩვენ უდიდესი ნამატი გვექნება, აქ რეზერვები გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე საბრძმედო წარმოებაში. საბრძმედო წარმოებაში ჩვენი მეტალურგები გაცილებით უფრო წინ წავიდნენ, ვიდრე სამარტენო წარმოებაში.

იგივე უნდა ითქვას ტკეცილზე. ჩვენი სტანები დაზგები აქამდის საკმაოდ სუსტადაა გამოყენებული. ავარიები, გაცდენა—ჩვენი სტანების დაზგების უბედურებაა. ასწავლეთ ამ დაზგებზე მუშაობა, როგორც საჭიროა, და მაშინ 1935 წლის პროგრამა არა თუ მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც იქნება შესრულებული.

მეტალურგიის პროგრამა, რომელიც მთავრობამ მოგვცა 1935 წლისათვის, როდია უფრო დაძაბული, ვიდრე 1934 წლის პროგრამა, ამაზე ამხანაგი მეტალურგები უნდა დამეთანხმონ. და თუ ისინი ამაზე მეთანხმებიან და თავს იქნევენ თანხმობის ნიშნად, მათ 1935 წელს გადაჭარბებით უნდა შეასრულონ მთელი მეტალურგიის პროგრამა, როგორც თუჯის, ისე ფოლადის და ტკეცილის პროგრამა. ამის შესაძლებლობა მათ მოეპოვებათ (ტაში. ხმები: შევასრულებთ!). აქ ჩვენ ილაპარაკობდით იმაზე, რომ გადაჭარბებით შევასრულეთ 1934 წლის პროგრამა და პირველ ადგილზე გამოვედით ევროპაში. მაგრამ ამერიკის შეერთებულ შტატებს ჩვენ ჯერ კიდევ დიდად ჩამოვრჩებით, ამერიკის შეერთებული შტატების ბრძმედების სიმძლავრე უდრის 45 მილიონ ტონას, ხოლო ფოლადის გამომდნობ საამქროების სიმძლავრე 67 მილიონ ტონას.

ვლადიმერ ილიჩმა დასახა ამოცანა—**დავეწიოთ და გავუსწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს.** მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ყოველგვარი კვეხნის და გადაჭარბების გარეშე მტკიცედ განვუცხადოთ ჩვენი საბჭოთა კავშირის საბჭოების ყრილობას; თუ იმისთვის, რომ 5 მილიონ ტონა თუჯიდან მივეღწია 10 ნახ. მილიონ ტონამდე, ჩვენ დაგვჭირდა ოთხი წელიწადი, იმისთვის, რომ 10 მილიონ ტონიდან მივაღწიოთ თითქმის 20—21 მილიონ ტონას, ჩვენ ყოველ შემთხვევაში დაგვჭირდება არა უმეტეს ოთხი წლისა (მქუხარე ტაში).

ფერადი მეტალურგია

ამხანაგებო, გადავდივარ ფერად მეტალურგიაზე. ფერადი მეტალურგიაში ჩვენ ოთხი წლის მანძილზე დავაბანდეთ 2.160 მილიონი მანეთი. ფერადი მეტალურგიის პროდუქცია 1934 წელს გაიზარდა 64 პროცენტით 1930 წლის მიმართ,—და მიუხედავად ამისა ჩვენ მაინც ფერადი ლითონების დიდ ნაკლებობას განვიცდით. მრეწველობის ეს დარგი, გარდა სპილენძისა, სუსტად იყო განვითარებული ან სრულიად არ არსებობდა ჩვენში.

საკმარისია აღინიშნოს, რომ 1930 წელს დამზადდა მხოლოდ 4.400 ტონა თუთია, ამასთან ელექტროლიტის თუთია სრულებით არ გვქონია. 1934 წელს ჩვენ დავამზადეთ 27 ათასი ტონა თუთია, აქედან 4,425 ტონა ელექტროლიტის თუთია.

ტყვია 1930 წელს იყო 11 ათასი ტონა, 1934 წელს 27 ათასი ტონა.

ალუმინი არც 1930 წელს, არც 1931 წელს, არც 1932 წელს ჩვენ არ გვქონდა, ხოლო 1934 წელს ჩვენ ვოლხოვსკის და დნეპროვსკის ახლად აგებულ ქარხნებში დავამზადეთ 14.400 ტონა. 1935 წლის პროგრამაა 35 ათასი ტონა. ჩვენ არ გვქონდა აგრეთვე ნიკელი და 1935 წელს ჩვენმა ურალსკის ქარხანამ პირველად მოგვცა 863 ტონა. ამ ბოლო დროს ნიკელის მადნის საბადოები აღმოჩნდა კარელიაში (მონჩე-ტუნდრა). ნიკელის მდიდარი მადნები გვაქვს ჩვენ აქტიუბინსკის რაიონში, ამ რაიონებში ჩვენ ვიწყებთ ნიკელის ორი დიდი ქარხნის მშენებლობას.

ალუმინის დარგში ჩვენ უნდა დავამთავროთ დნეპრის ალუმინის კომბინატი 45 ათასი ტონა პროდუქციით, 1935 წელს ჩვენ ვხარჯავთ 32 მილიონ მანეთს. ურალის ალუმინის კომბინატის მშენებლობის დასაჩქარებლად კანდალაკშში აშენდება ალუმინის [illegible] ქარხანა, ამგვარად, მეორე ხუთწლედის დამლევს ჩვენ გვექნება 80 ათასი ტონა ალუმინი, რითაც ჩვენ პირველ ადგილს დავიკავებთ ევროპაში და მეორე ადგილს მსოფლიოში.

1935 წელს უნდა დავამზადოთ 45 ათასი ტონა თუთია და 46 ათასი ტონა ტყვია. 1937 წელს თუთიის წარმოებამ უნდა მიაღწიოს 90 ათას ტონამდე, ტყვიის—115 ათას ტონამდე.

წელს ჩვენ ვაშენებთ მაგნიუმის ორ ქარხანას—ერთს სოლიკამსკში და მეორეს ზაპოროჟიეში.

მოქმედი სპილენძსადნობი ქარხნები უკანასკნელ წლებში ძალიან ცუდად მუშაობდნენ და მხოლოდ გასული წლის მეორე ნახევრიდან დაიწყეს მუშაობის გაუმჯობესება. 1935 წელს ეს საქმე მოწესრიგდება. გასულ წელს ჩვენ დავამზადეთ 53.600 ტონა შავი სპილენძი. 1935 წლის პროგრამა ითვალისწინებს 71 ათასი ტონის დამზადებას. ახალმა ადამიანებმა, რომლებიც ჩვენ გავგზავნეთ ურალში, უკვე მოგვცეს გარკვეული შედეგები. ამხ. **ლიტვინოვი**, რომელიც ლენინგრადიდან გადაყვანილ იქნა კალატინის ქარხანაში, საუცხოვო დირექტორი აღმოჩნდა.

შენდება პრიბალხაშის სპილენძსადნობი კომბინატი ასი ათასი ტონა პროდუქციით, შუა ურალის კომბინატი— 50 ათასი ტონა პროდუქციით და [illegible] კომბინატი—20 ათასი ტონა პროდუქციით, უახლოეს დროში ხელი უნდა მოვკიდოთ ალმალიკის სპილენძის საბადოს და ჯიზკაზგანის დამუშავებას, ამ რაიონში ჩვენ ამჟამად გვაქვს მდიდარი მადანი, მაგრამ ეს ადგილი ძალიან დაშორებულია რკინის გზას.

ხარისხოვანი ფოლადი, ლეგირებული ფოლადი მოითხოვს ვოლფრამის, მოლიბდენის და სხვა იშვიათი ლითონების წარმოებას. აქ ჩვენ დღემდე რამდენადმე თვალსაჩინო წარმოება არა გვაქვს, ხოლო ამ ლითონებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენს სახალხო მეურნეობაში. საჭიროა უახლოეს წლებში მივაღწიოთ იშვიათი ლითონების საბადოების კვლევაძიების გაძლიერებას და მოვაგვაროთ მათი წარმოება ჩვენში.

ოქროს მრეწველობა ვითარდება, წელს მან გადაჭარბებით შეასრულა პროგრამა.

ქიმიური მრეწველობა

ქიმიური მრეწველობა საბჭოების მეექვსე ყრილობის წინ ძალიან მოისუსტებდა, ჩვენ მაშინ გვქონდა მხოლოდ ერთი თანამედროვე ტიპის აზოტ სასუქის ქარხანა გორკის მხარეში ჩერნორეჩიეში. ამ წლების განმავლობაში ჩვენ ავაშენეთ და გადავეცით საექსპლოატაციოდ აზოტ - სასუქის ქარხნები ბერეზნიკში, სტალინოგორსკში, გორლოვკაში, ჩვენ ავაგეთ გოგირდმჟავის ახალი ქარხნები, გავადიდეთ რა სიმძლავრე 375 ათასი ტონიდან 968 ათას ტონამდე 1930 წლიდან ზრდა 258 პროც. 1934 წელს ჩვენ მივიღებთ გოგირდმჟავს 708 ათას ტონას ნაცვლად 356 ათასი ტონისა 1930 წელს.

ჩვენ ავამუშავეთ იაროსლავსკის რეზინის დიდი კომბინატი, ავაგეთ და ავამუშავეთ სინთეტიური კაუჩუკის სამი ქარხანა, რომელთა ათვისება 1934 წელს საკმაოდ კარგად მიმდინარეობდა. 1935 წელს ჩვენ მივიღეთ 11 ათასი ტონა სინთეტიური კაუჩუკი. ეს უეჭველად ჩვენი მიღწევებია განსვენებული აკადემიკოსი **ლებედევი** სინთეტიური კაუჩუკის დამზადების მეთოდის ავტორი იყო, ხოლო ახალგაზრდა სამეურნეო მუშაკებმა და ინჟინერებმა იაროსლავლში ამხ. **ხარიტომა**, ვორონეჟში **ამხ. კროლმა**, ეთერმოვოში **ამხ. მატვიევმა**, ყოფილმა სამხედრო მუშაკებმა, **ოსინოვმა**, **შმიდტის** მეთაურობით, ქარხნის დამკვრელებთან და დამხმარე ჭკლებთან ერთად დააყენეს ეს საქმე და ძირითადი უკვე გაარკვიეს. სომხეთში ჩვენ ვაშენებთ სინთეტიური კაუჩუკის ქარხანას გამოყენებითი ქიმიის სახელმწიფო ინსტიტუტის მეთოდის მიხედვით. საგრძნობლად გაიზარდა პლასტიკური მასების წარმოება.

ამ წლების მანძილზე ქიმიურ მრეწველობაში დაბანდებული იქნა სამი მილიარდი მანეთი, საწარმოო ფონდები 585 მილიონიდან 2,300 მილიონ მანეთამდე გაიზარდა. საერთო პროდუქცია 968 მილიონიდან გაიზარდა 2,372 მილიონ მანეთამდე 1934 წელს ზრდა 1930 წელთან შედარებით 245 პროც.

ხელოვნური აბრეშუმის წარმოება 1930 წელს შეადგენდა სულ 600 ტონას, 1934 წელს 5.430 ტონას. ყოველივე ეს გაკეთდა უკანასკნელ ოთხ წელიწადში.

ჩვენ მრეწველობის ამ დარგშიაც არ ვიდექით ერთ ადგილზე. პირიქით, შექმნილია ახალი წარმოებანი, აგებულია ახალი ქარხნები, მაგრამ ჩვენი მოთხოვნილებებთან შედარებით ეს ცოტაა, ქიმიური მრეწველობის წინაშე დასახული დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანები. უნდა დავამთავროთ სტალინოგორსკის ქიმიური კომბინატის მეორე და მესამე რიგის, გორკის კომბინატის მეორე რიგის მშენებლობა, დავამთავროთ მშენებლობა კემეროვოში, ლისიჩანსკში, კამინსკ-ზაპოროჟიეში, ჩირჩიკის კომბინატის მშენებლობა, უკანასკნელის პროდუქცია სავსებით მოხმარდება შუა აზიის ბამბის მინდვრების განოყიერებას. უნდა ავაშენოთ ქარხნები ალექსინსა და კამენსკში, მძლავრად უნდა განვავითაროთ პლასტიკური მასების და ხელოვნური აბრეშუმის წარმოება. ავაშენოთ კალიუმის მეორე სამადნო. გავაფართოვოთ აპატიტების წარმოება.

მხოლოდ ამ სამუშაოების დამთავრების შემდეგ ჩვენ შეგვეძლება ვთქვათ, რომ საბჭოთა კავშირს აქვს მძლავრი, მისი შესაფერი ქიმიური მრეწველობა. საჭიროა მაქსიმალური უნარი და ენერგია გამოვიჩინოთ იმისთვის, რომ მეორე ხუთწლედის დამლევს გვქონდეს დიდი ქიმიური მრეწველობა. ამ ამოცანების გადაჭრა მოითხოვს ძალღონის უდიდეს დაძაბვას, მაგრამ ქიმიური მრეწველობა აყვანილი უნდა იქნას ჯეროვან სიმაღლეზე და აყვანილ იქნება კიდეც.

საშენი მასალები და საამშენებლო ინდუსტრია

ამ დარგში ოთხი წლის მანძილზე ჩვენ დავაბანდეთ 1.323 მილიონი მანეთი, გავადიდეთ რა ფონდები 1930 წელს არსებულ 441 მილიონ მანეთიდან 1199 მილიონ მანეთამდე 1935 წლის 1 იანვრისათვის.

საშენი მასალების პროდუქცია შეადგენს 136 პროც. 1930 წლის მიმართ. საამშენებლო ინდუსტრია სწრაფად უნდა წავსწიოთ წინ.

მანქანათმშენებლობა

გადავდივართ მანქანათმშენებლობაზე. ჩვენი მანქანათმშენებლობა ოთხი წლის განმავლობაში უდიდესად გაიზარდა და ახლა წარმოადგენს საუცხოო, თანამედროვე ტექნიკით შეიარაღებული ქარხნების დიდძალ რაოდენობას. უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში აგებული მანქანათმშენებელი ქარხნები შეიარაღებულია უაღრესად გაუმჯობესებული დაზგებით და მანქანებით.

უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე მანქანათმშენებლობაში დაბანდებულია 7.580 მილიონი მანეთი, ძირითადი ფონდები 1931 წლის პირველ იანვრის 2,349 მილიონიდან გადიდდა 1935 წლის პირველ იანვრის 6.169 მილიონ მანეთამდე 262 პროცენტით 1930 წლის მიმართ. საერთო პროდუქცია 1930 წლის 3,812 მილიონიდან გაიზარდა 1934 წლის 9,828 მილიონამდე 258 პროცენტი 1930 წლის მიმართ.

ერთი მუშის გამომუშავება 5.662 მანეთიდან გაიზარდა 9,547 მანეთამდე (1934 წელს) — 168 პროცენტი 1930 წლის მიმართ. თვითღირებულების შემცირება შემდეგნაირად მიმდინარეობდა: 1930-31 წელს 3 პროც. 1932 წელს—4, 1933 წ.— 11, 1934 წ. — 10 პროცენტი....

როგორც ხედავთ, მანქანათმშენებლობის ზრდა უდიდესია. მაგრამ ეს ციფრები ჯერ კიდევ არ გამოხატავს ნამდვილ წარმოდგენას ჩვენს მანქანათმშენებლობაზე. ამისათვის უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენთვის საჭირო იყო არამარტო მრავალი ქარხნის აგება, არამედ, რაც მთავარია, საჭირო იყო დავუფლებოდით ტექნიკას, აგვეთვისებია ახალი წარმოება, ახალი [illegible], ახალი პროდუქცია, რომელიც წინათ ჩვენს ქვეყანაში არ მზადდებოდა.

ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ავაშენეთ მანქანათმშენებლობის ისეთი გიგანტები, როგორიცაა სატრაქტორო ქარხნები სტალინგრადისა და ხარკოვში, გორკის საავტომობილო ქარხანა, მოსკოვის საავტომობილო ქარხანა, ჩელიაბინსკის სტალინის სახელობის სატრაქტორო ქარხანა გიგანტები ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. საავტომობილო მრეწველობის ამ ქარხნებმა 1930 წელს გამოუშვეს 4 ათასი სატვირთო მანქანა, ხოლო 1934 წელს ჩვენმა საავტომობილო ქარხნებმა მოგვცეს 55.366 სატვირთო მანქანა. სამსუბუქო ავტომობილებს 1930 წელს სრულიად არ ვამზადებდით, ხოლო 1934 წელს გამოვუშვით 17 ათასი ცალი; 1930 წელს გამოვუშვით 12.731 ტრაქტორი, ხოლო 1934 წელს — 91,3 ათასი ტრაქტორი. აქედან 10.573 მუხლუხოვანი ტრაქტორი. 1930 წლის ჩვენ სრულიად არ ვამზადებდით სახნავ ტრაქტორებს ხოლო 1934 წელს გამოვუშვით 2.680 ცალი. ურალის მანქანათმშენებელი ქარხანა, კრამატორსკის ქარხანა, ლუგანსკის ორთქლმავლების მშენებელი ქარხანა, ხარკოვის სატურბინო ქარხანა, თვითმფრინავების და მოტორების პირველხარისხოვანი ქარხნები, ბურთოსაკისრის, ინსტრუმენტალური, დაზგათმშენებლობის ქარხნები ყველა ამ ქარხნებს ჩვენ ვაშენებდით და ავაშენეთ ამ წლების განმავლობაში.

დიდად გაფართოვდა ეგრეთწოდებული ძველი ქარხნები. მე ვლაპარაკობ „ეგრეთწოდებულზე" იმიტომ, რომ თითქმის არ დარჩენილა არცერთი ქარხანა, რომელიც არ იყოს რეკონსტრუირებული, ამასთან, როგორც წესი, ძირითადი ფონდები 2-3 ჯერ და კიდევ უფრო მეტად გადიდებოდა.

თუ რამდენად გაიზარდა ჩვენი მანქანათმშენებლობის პროდუქცია, ჩანს იქიდან, რომ 1934 წლის საკავშირო მნიშვნელობის საწარმოების ბაზით მანქანათმშენებლობის 9 მილიარდი პროდუქციიდან, ახალი პროდუქცია, რომელიც ათვისებულ იქნა 1930 წლიდან დაწყებული, უდრის თითქმის 6 მილიარდს, ე. ი. მთელი პროდუქციის თითქმის ორ მესამედს.

ამჟამად ჩვენი კავშირისათვის საჭირო თითქმის მთელი მოწყობილობა, ყველა მანქანა, მცირე გამონაკლისის გარდა, ჩვენს ქარხნებში მზადდება.

იმპორტის ციფრები, რომლებიც **ამხ. როზენგოლცმა** მოიყვანა, მოწმობენ, რომ მანქანების და მოწყობილობის იმპორტი უკანასკნელი წლების განმავლობაში კლებულობს. 1930 წელს ჩვენ შემოვიტანეთ 372 მილიონი მანეთის მანქანა, 1931 წელს — 452 მილიონი მანეთის, ხოლო 1934 წლის თერთმეტი თვის განმავლობაში მხოლოდ 48 მილიონი მანეთის. ამასთან როგორც მე უკვე ვთქვი, საბჭოთა მანქანათმშენებლობის პროდუქცია ამ წლების განმავლობაში 3,8 მილიარდი მანეთიდან 9,8 მილიარდ მანეთამდე გაიზარდა. **ამხ. სტალინი** ჩვენი პარტიის მე-17 ყრილობაზე ამბობდა, **რომ მანქანათმშენებლობა ეს არის ჩვენი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის გასაღები.** ეს იმას ნიშნავს, რომ მანქანათმშენებლობამ წლითი - წლობით უნდა მოგვცეს სულ უფროდაუფრო მეტი მანქანები, მოწყობილობა, მექანიზმები, საუცხოო ხარისხის და საკმაო რაოდენობით. მანქანათმშენებლობამ უნდა მოახდინოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის რეკონსტრუქცია და მოგვცეს საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის მთელი საჭირო შეიარაღება. მან შრომატევადი პროცესების, მძიმე ფიზიკური სამუშაოების, საამშენებლო სამუშაოების მექანიზაციისათვის უნდა მოგვცეს უაღრესად გაუმჯობესებული მანქანები. ჩვენ დღემდე მშენებლობას ვაწარმოებთ მუშათა უდიდესი მასის მეშვეობით. ეს ძვირი ჯდება და სამუშაოს დამთავრებასაც აგრძელებს აქ ფართო გასაქანი უნდა მიეცეს მექანიზაციას.

განსაკუთრებით მწვავედ დგას საკითხი ყოველგვარი სახის **ტრანსპორტის** შეიარაღების შესახებ. არავისთვის არ შეადგენს საიდუმლოებას, რომ ამჟამად ტრანსპორტი ვერ აკმაყოფილებს სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებას. ლითონის, სათბობი მასალის, საამშენებლო მასალის მზა ნაწარმის უდიდესი რაოდენობა ადგილებზე აწყვია და ელოდება გადაზიდვას. მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის ბაზით გადაუზიდავი აწყვია 450 ათას ვაგონზე მეტი ტვირთი. ამ ტვირთებზე უდიდესი მოთხოვნილებაა ამ მასალების მიუწოდებლად შეუძლებელია სახალხო მეურნეობის, განსაკუთრებით მძიმე მრეწველობის, განვითარების ნორმალური მიმდინარეობა. მძიმე მრეწველობამ უყოყმანოდ უნდა შეასრულოს მისი ვალდებულებანი, რომელიც პარტიამ და მთავრობამ დააკისრეს მას ტრანსპორტის მიმართ. მან 1935 წელს რკინიგზის ტრანსპორტს უნდა მისცეს 80 ათასი ვაგონი და 1.485 ორთქლმავალი, მთელი საჭირო მოწყობილობა, სათადარიგო ნაწილები და რელსები. ამ უდიდესი პროგრამის შესასრულებლად ჩვენ მოვახდინეთ ისეთი ქარხნების მობილიზაცია, რომლებიც წინათ არ ამზადებდნენ ვაგონებს.

მთელი მძიმე მრეწველობის ღირსების საქმეს წარმოადგენს სტალინური განაწესის შესრულება ტრანსპორტისათვის.

მოწინავე თანამედროვე დაზგათმშენებლობის უფლების მოსაპოვებლად პირველად აბარებენ გამოცდას ჩვენი დაზგათმშენებელი ქარხნები.

1935, 36 და 37 წლებში მათ უნდა მოგვცენ 10 ათას დაზგაზე მეტი საავტომობილო და საავიაციო მრეწველობისათვის და დიდძალი სამჭედლო - საწნეხო და სხვა მოწყობილობა, რომლებსაც ჩვენ დღემდის არ ვამზადებდით.

ამ პროგრამის შესრულება იქნება პასუხი **ამხ. სტალინისათვის**, რომელმაც პარტიის მე-14 ყრილობაზე სთქვა:

> „ჩვენ გვინდა დავამზადოთ არა მარტო ავტომობილები, არამედ ავტომობილების დამამზადებელი მანქანებიც".

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ პასუხი ასეთი იქნება, რომ დაზგათმშენებლობამ გამოცდა ჩააბარა. დაზგათმშენებლობა ამჟამად წარმოებს არამარტო დაზგათმშენებელ ქარხნებში, არამედ დაზგების ნახევარზე მეტს ამზადებენ ის ქარხნები, რომლებიც სპეციალურად თავდაცვის საქმეზე მუშაობენ, და სხვა დიდი და პატარა ქარხნები. მაგ.: „უდმურტი". იჟევსკის ქარხნის დაზგები, ტულის ქარხნის დაზგები ამაყად დგანან საიმპორტო დაზგების გვერდით.

ამ წლების განმავლობაში აგრეთვე გაიზარდა ზუსტი მანქანათმშენებლობა და ოპტიკა. მათი პროდუქცია 1930 წლის 72 მილიონი მანეთიდან გაიზარდა 1934 წლის 212 მილიონ მანეთამდე. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა იმ მოთხოვნებთან შედარებით, რომლებსაც მათ უყენებენ სახალხო მეურნეობა და ჩვენი ქვეყნის თავდაცვა.

შეუძლებელია წარმოების კულტურულად და მეცნიერულად გაძღოლა ოპტიკისა და საზომი ხელსაწყოების გარეშე. ჩვენი მანქანათმშენებლობის ეს დარგები ყოველნაირად უნდა დაჩქარდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი მუშაობა არ იქნება ზუსტი, ხოლო არაზუსტი მუშაობა ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაგვაკმაყოფილებს.

წელს მანქანათმშენებლობას მიეცა საამშენებლო მექანიზმების დიდი დაკვეთა 164 მილიონი მანეთის რაოდენობით. ეს დაკვეთა ყოველ მიზეზს გარეშე უნდა შესრულდეს, დროა, ამხანაგებო, სერიოზულად მოვკიდოთ ხელი ჩვენი საამშენებლო სამუშაოების მექანიზაციას. მანქანათმშენებლობის წარმოების გეგმა 1935 წლისათვის განსაზღვრულია 11,267 მილიონი მანეთის რაოდენობით. ამ თანხაში უკვე არ შედის პროდუქცია ადგილობრივი მრეწველობისა, რომელიც 1935 წლიდან ჩვენ ჩამოგვშორდა. მთელი ჩვენი სახალხო - სამეურნეო გეგმის შესრულება უდიდესად დამოკიდებულია მანქანათმშენებლობის გეგმის შესრულებისაგან. მანქანათმშენებლობაში ჩვენ გვაქვს ყველა წანამძღვარი იმისათვის, რომ შევასრულოთ 1935 წლის გეგმა ისე, როგორც მეორე ხუთწლედის მთელი გეგმა. ჩვენ ავაშენეთ საუცხოო ქარხნები, ტექნიკის დაუფლებაც რიგიანად მიმდინარეობს, მაგრამ მანქანათმშენებლობაში ჩვენ უდიდესი რეზერვები გვაქვს. ეს რეზერვები მდგომარეობენ იმაში, რომ ჩვენ არასრულად ვიყენებთ მუშახელს. არასრულად ვიყენებთ მოწყობილობას, არა ეკონომიურად ვხარჯავთ მასალას და, უწინარეს ყოვლისა, ლითონს. ჩვენში ნაწიბურების დატოვება ძალიან დიდია. დაზგა დიდხანს ტყუილა - უბრალოდ მუშაობს და ხეხავს ნაჭედს იმ დროს, როცა ეს ნაჭედები მინიმალური ნაწიბურებით უნდა იყოს მიცემული.

დღემდე ჩვენი მანქანათმშენებლობის ყოველგვარ ნაკლს ფარავდა ლითონის დეფიციტი, მაგრამ ახლა ლითონი ბევრი გვაქვს, ხოლო მომავალში კიდევ უფრო მეტი გვექნება, მანქანათმშენებლობა საგრძნობლად უნდა ამოძრავდეს. დღესვე უნდა ვიყოთ მზად დიდძალი ლითონის გადამუშავებისათვის და, მაშასადამე, იმისათვის, რომ დიდი რაოდენობით დავამზადოთ მანქანები და მოწყობილობა.

მანქანათმშენებლობამ ამხ. სტალინის მიერ პარტიის მე-17 ყრილობაზე მოცემულ მითითებათა შესასრულებლად უნდა მოგვცეს იმდენი დაზგა, მოწყობილობა, მექანიზმები, რამდენსაც მოითხოვს ჩვენგან ჩვენი ქვეყანა. ამასთან აღნიშნული მანქანების, მოწყობილობის და მექანიზმების ხარისხი და კონსტრუქცია სრულიად უნაკლო უნდა იყოს. მანქანების კონსტრუქცია განუწყვეტლივ უნდა უმჯობესდებოდეს. უნდა გადმოვიღოთ ამერიკის და ევროპის ტექნიკის ყველა საუკეთესო ნიმუში და გამოვიყენოთ ჩვენში, ამასთან შემდეგშიაც საჭიროა მათი გაბედულად გაუმჯობესება. აქ ყველაზე უფრო საშიშია— ერთ ადგილზე გაყინვა. აქედან გამომდინარეობს კონსტრუქტორის უდიდესი როლი, კონსტრუქტორი— მანქანის სული და გული. რამდენადაც ჩვენ ავაშენეთ ქარხნები, მოვაწყვეთ წარმოება, დასამზადებელი მანქანების შემდგომი გაუმჯობესება და ახალი კონსტრუქციის მანქანების გამოშვება დამოკიდებულია კონსტრუქტორისაგან. კონსტრუქტორს ჯერ კიდევ არ უჭირავს წარმოებაში ის ადგილი, რომელიც მას შეეფერება. ჩვენს მანქანათმშენებლობაში თავისი ადგილი ჯერ კიდევ ვერ დაიკავა ოსტატმაც. მისგან ხომ დამოკიდებულია ის, თუ როგორი ხარისხის გამოვა მანქანა. კონსტრუქტორი და ოსტატი საწარმოში უნდა იქცნენ ცენტრალურ ფიგურებად. გასაგებია, რომ კონსტრუქტორი ახალი მანქანების კონსტრუირების დროს უნდა გამოდიოდეს იქიდან, რომ ეს მანქანა წარმოებაში იგუებოდეს არსებულ მოწყობილობას. საწარმოს საწარმოო განყოფილების მიერ ზედმიწევნით დამუშავებული უნდა იქნეს ტექნოლოგიური პროცესი.

მანქანების ხარისხი დღემდე ყოველთვის ჯერ კიდევ არ დგას თავის სიმაღლეზე. ჩვენ ზოგჯერ აქ ვაწყდებით უმზგავსო გარეგნულ გაფორმებას. მე ბაქოში ვნახე ჩვენი ქარხანა „ბარეკის" კომპრესორები, რომლებიც საზღვარგარეთის კომპრესორებთან ერთად მუშაობენ. მუშაობის ხარისხით ჩვენი კომპრესორი არ ჩამოუვარდება უცხოურისას, მაგრამ გარეგნობით უმზგავსოდ გამოიყურება. მე ვნახე ჩვენი ონკანები მაგნიტკაზე და კუზნეცკის ქარხანაში, რომლებიც გაკეთებულია ძველი კრამატორსკის ქარხნის მიერ; ცუდი მონტაჟის გამო, უბრალო რამეების გამო ონკანებ, არ მუშაობდნენ და მათი დამდგმელები არც იყვნენ დაინტერესებული ამით.

უნდა შევითვისოთ, დაბოლოს, რომ პროდუქცია, რომელსაც ჩვენ ვუშვებთ, უნდა იყოს კომპლექტური და უსათუოდ მაღალი ხარისხის ქარხანა, რომელიც არა სათანადო ხარისხის და არაკომპლექტურ პროდუქციას იძლევა თავის თავს არცხვენს მთელი ქვეყნის წინაშე.

ჩვენს მანქანათმშენებლებს კიდევ ერთი უბედურება სჭირთ. როცა მათ დაკვეთებს სთავაზობენ, ისინი ძალიან ხშირად სვამენ საკითხს იმის შესახებ, რომ ამ დაკვეთების მიღება და შესრულება მათ არ შეუძლიათ, რადგან მათ არ ჰყოფნით დაზგები. ამასთან, როგორც წესი, შემოწმებისას ირკვევა, რომ არსებული დაზგებიც მთლიანად სრულებით არ არიან დატვირთული და ზეგავლენის მოხდენის შემდეგ დაკვეთებს ღებულობენ და ასრულებენ. მე, ამხანაგებო, არ მინდა ბევრი ქარხანა შევარცხვინო მთელი ქვეყნის წინაშე, მაგრამ ვიტყვი, რომ ჩვენ გვაქვს ქარხნები, რომლებიც მოწინავეებად ითვლებიან, მოწყობილობას კი იყენებენ 50—60 პროცენტზე არა უმეტესად, ძალიან ხშირად ის ქარხნები გაჰყვირიან, რომ მათ დაზგები არ ჰყოფნით. ამ უმზგავსოებას ბოლო უნდა მოეღოს.

ჩვენს მანქანათმშენებლებს ჯერ კიდევ საკმარისად არ აქვთ განვითარებული გემოვნება ახალი კონსტრუქციებისა და ახალი მანქანებისადმი, მექანიზმების გაუმჯობესებისადმი, ხოლო უამისოდ აუცილებელია ჩამორჩენა და შეფერხება. ასეთი კონსერვატიზმის წინააღმდეგ უნდა გავაჩაღოთ უაღრესად გადამწყვეტი ბრძოლა.

ამ წლების განმავლობაში ჩვენ ავითვისეთ დიდძალი ახალი წარმოება. ამ წლების მანძილზე მანქანათმშენებლობაში ჩვენ გამოვზარდეთ სათანადო კადრები. აქ ჩვენ გვყავს კარგი წარმოების მუშაკებიც და კარგი კონსტრუქტორებიც. მაგრამ იმისათვის, რომ ეს ინჟინრები, კონსტრუქტორები შეიარაღებული იყვნენ თანამედროვე ტექნიკური ცოდნით მათ განუწყვეტლივ წინ უნდა წასწიონ თავიანთი ცოდნა.

მძიმე მრეწველობა—მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის ბაზაა

ჰო, ამხანაგებო. როგორ ვმუშაობდით ჩვენ ამ ოთხი წლის განმავლობაში მძიმე მრეწველობის შესაქმნელად. მაგრამ მძიმე მრეწველობას ჩვენ ვქმნიდით არა უბრალოდ იმისათვის, რომ გვემუშავა თვით მძიმე მრეწველობისათვის. არამედ ვქმნიდით იმისათვის, რათა მას გაემართლებინა თავისი დანიშნულება, როგორც სახალხო მეურნეობის ყველა დანარჩენ დარგების რეკონსტრუქციის ბაზა, გადაგვეყვანა ისინი, და პირველ რიგში სოფლის მეურნეობა, ლენინის სიტყვით რომ ვთქვათ, „მანქანურ წარმოებაზე".

გადავიდეთ საკითხზე იმის შესახებ, თუ როგორ ამარაგებდა მძიმე მრეწველობა სოფლის მეურნეობას. ოთხი წლის განმავლობაში მძიმე მრეწველობამ სოფლის მეურნეობას მისცა:

ბორბლიანი ტრაქტორები	240.000	ცალი.
მუხლუხოვანი ტრაქტორები	8.377	„
საბარგო ავტომობილები	43.535	„
სამგზავრო ავტომობილი	80.690	„
მოტორები კომბაინებისათვის	30.102	„

ოთხი წლის განმავლობაში ლენინური პარტიის მიერ აგებულმა საავტომობილო და სატრაქტორო ქარხნებმა სოფლის მეურნეობას მისცეს ტრაქტორები და მოტორები კომბაინებისათვის საერთო ძალღონებით 4.800 ათას ცხენის ძალამდე.

თქვენ კი გახსოვთ, როგორ ოცნებობდა ვლადიმერ ილიჩი 100 ათასით ტრაქტორზე.

მძიმე მრეწველობამ ამ ავტომობილებისა და ტრაქტორებისათვის მოგვცა:

ნავთობი	5.840	ათასი ტონა
ლიგროინი	720	„ „
ბენზინი	687	„ „
ავტოლი	500	„ „

მძიმე მრეწველობამ სოფლის მეურნეობას ოთხი წლის განმავლობაში მიაწოდა:

სატრაქტორო გუთნები მარცვლეულისათვის	248.599	ცალი
სატრაქ. კორპუსიანი გუთნები მარცვლეულისათვის	853.055	„
ცხენის გუთნები	455.616	„
სატრაქტორო სათესი მანქანები	96.533	„
სათესი ცხენის მანქანები	102.176	„
კულტივატორები ბამბისათვის	3.531	„
სათიბი ცხენის მანქანები	209.716	„
კომბაინები	37.424	„
სამკალი მანქანები — „ლობოგრეიკები"	99.825	„
სამკალი მანქანები — ძნასაკრავები	94.886	„

(მე-4 გვ.)

ამხ. სერგო ორჯონიკიძის მოხსენების გაგრძელება

შორმბოჟი სელ. ჩეჩები	2.134 ცალი
სიმინდის პიკერები	7.257 „
სატრაქტორო სალეწი მანქანები	61.758 „
სალეწი ცხენის მანქანები	6.521 „
ჭარხალთხრელი მანქანები	2.331 „

მძიმე მრეწველობამ დაამზადა სასუქები კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებისათვის:

სუპერფოსფატი 2.677 ათასი ტონა.

აზოტის სასუქები (სულფატ-ამონიუმზე გადაყვანით) 485 ათასი ტონა.

ნედლი სელვინიტი 1.507 ათასი ტონა.

მავნებლებთან ბრძოლის საშუალებანი სულ დამზადებულია 64,6 მილიონი მანეთის (26—27 წ. ფასებში).

ამგვარად, მძიმე მრეწველობამ სოფლის მრეწველობას ოთხი წლის განმავლობაში მიაწოდა სულ 4 მილიარდ მანეთზე მეტი ღირებულების სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ტრაქტორები, ავტომობილები, ლითონმჭრელი დაზგები, ნავთისძრავები, ლოკომობილები. სვადასხვა მოწყობილობა, ტყვიცილი, ლითონის ნაწარმი და მავნებლებთან ბრძოლის საშუალებები, საწვავი მასალა ტრაქტორებისა და ავტომობილებისათვის.

ლითონზე გადატანით სოფლის მეურნეობას ამ ხნის განმავლობაში მანქანების, ტრაქტორების, ავტომობილების, ტყვიცილის, ლითონის ნაწარმის სახით მიეცა 3.600 ათასი ტონა ლითონი, მათ შორის 730 ათასი ტონა ხარისხოვანი და მაღალხარისხოვანი ლითონი.

ასე შეასრულა მძიმე მრეწველობამ ოთხი წლის განმავლობაში თავისი ვალდებულება სოფ. მეურ. რეკონსტრუქციის მიმართ. როგორც ხედავთ, ცოტა როდია გაკეთებული, განსაკუთრებით თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ეს კეთდებოდა იმ პერიოდში, როცა თვით მძიმე მრეწველობა იქმნებოდა. ამჟამად და შემდგომ წლებში მძიმე მრეწველობას ძალუძს მთლიანად უზრუნველყოს ჩვენი სასოფლო მეურნეობის მთელი მოთხოვნილება (ტაში).

ოთხი წლის განმავლობაში მძიმე მრეწველობამ გზათა სახალხო კომისარიატს მიაწოდა:

ორთქლმავლები—3.718 ცალი (მათგან „ფ. დ."—250 ცალი),

საქონლის ვაგონები—85.590 ცალი,

სამგზავრო ვაგონები—4.890 ცალი,

თბომავლები—12 ცალი,

ელექტრომავლები—37 ცალი.

რელსები—1,5 მილიონი ტონა, რაც უზრუნველყოფს 20 ათასი კილომეტრი გზის დაგებას,

ტყვიცილი—983 ათასი ტონა,

ზესადები და ქვესადები—533 ათასი ტონა,

ამბოხები—72.800 ტონა.

სავაჭრო ჭანჭიკები—9.600 ტონა.

ლურსმანი—36.200 ტონა

ტელეგრაფის მავთულები—34.400 ტონა,

ტროსები—4.200 ტონა.

ოთხი წლის განმავლობაში გზათა სახალხო კომისარიატს მიეცა უშუალოდ ლითონი და ორთქლმავლები, ვაგონები, რელსები და სხვა მანქანები, მოწყობილობა, ლითონის ნაწარმი, მილები 6.200 ათასი ტონა.

მძიმე მრეწველობამ გზათა სახალხო კომისარიატს ოთხი წლის განმავლობაში მიაწოდა 76,5 მილიონი ტონა ქვანახშირი და 10,6 მილიონი ტონა ნავთის სათბობი.

სულ 3 მილიარდი მანეთის მანქანები, ლითონი, მოწყობილობა და სათბობი.

ეს, რა თქმა უნდა, არც ისე ცოტაა, მაგრამ საკმარისი არ არის გზათა სახალხო კომისარიატის საჭიროებასთან შედარებით. მძიმე მრეწველობამ გზათა სახალხო კომისარიატს 1935 წელს უნდა მისცეს საგრძნობლად მეტი მოძრავი შემადგენლობაც, ლითონიც, ვაგონებიც და ყოველივე, რაც გზათა სახალხო კომისარიატს ესაჭიროება.

რკინისგზის ტრანსპორტს მძიმე მრეწველობისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. მძიმე მრეწველობა ვერ განვითარდება, თუ მას ტრანსპორტი სწორ მომსახურებას ვერ გაუწევს. ტრანსპორტის სულ მცირე შეფერხებაც კი მთელს ჩვენ მრეწველობას აავადებს. მძიმე მრეწველობამ გზათა სახალხო კომისარიატს მომსახურეობა უნდა გაუწიოს, უნდა მისცეს მას ყოველივე აუცილებელი, მაგრამ ნება მომეცით ვთქვა ამხანაგური კრიტიკის წესით, რომ გზათა სახალხო კომისარიატმაც მძიმე მრეწველობას უკეთ უნდა გაუწიოს მომსახურება, ვიდრე ეს დღეს არის (ტაში), გზათა სახალხო კომისარიატმა უკეთ უნდა გამოიყენოს მისთვის მიწოდებული ვაგონები (ხმა ადგილიდან—„მართალია"!), ორთქლმავლები და მოწყობილება, ვიდრე მათ იგი დღეს იყენებს.

სრულიად არადამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს ვაგონების გამოყენება ჩვენი რკინისგზელების მიერ, როცა ვაგონი საათში 5 კილომეტრს იადის და, ამგვარად, დღეღამეში 120 კილომეტრზე მეტს არ აკეთებს. ვაგონების ასეთი გამოყენება ვერაფრით ვერ გამართლდება.

მძიმე მრეწველობამ ოთხი წლის განმავლობაში მსუბუქ, კვების, სატყეო მრეწველობას, საგზაო მშენებლობას, კავშირგაბმულობას მიაწოდა 2.400 საზღვაოსნო და სამდინარო გემები.

როგორც ხედავთ, მძიმე მრეწველობა ეწეოდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ხელახალ შეიარაღებას. ამასთან წლითიწლობით სულ უფროდაუფრო მეტი მანქანები ეძლეოდა სხვა დარგებს და სულ უფროდაუფრო ნაკლები ხმარდებოდა თვით მძიმე მრეწველობის შეიარაღებას. მაგალითად, 1934 წელს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატს მანქანათმშენებლობამ მისცა 6.700 მილიონი მანეთის სასაქონლო პროდუქცია; აქედან მძიმე მრეწველობაში წავიდა მხოლოდ 2.130 მილ. მანეთი, ანუ 32 პროც. დანარჩენი 4.570 მილიონი მანეთის, ანუ მანქანათმშენებლობის მთელი პროდუქციის 68 პროც. მიეცა სახალხო მეურნეობის სხვა დარგებს. ამ წლების განმავლობაში მძიმე მრეწველობამ დაამზადა ავტომობილები, ტრაქტორები, თვითმფრინავები, ტანკები, ორთქლმავლები, ლოკომობილების დიზელები, ნავთის მანქანები და სხვა—34 მილიონი ცხენის ძალის საერთო სიმძლავრისა.

ომამდელი მრეწველობის ძრავების სიმძლავრე 1913 წელს უდრიდა დაახლოებით 3 მილიონ ცხენის ძალას.

ფართო მოხმარების საგნების წარმოება

მძიმე მრეწველობა ზრუნავდა არამარტო მეტალურგიულ ქარხნებზე, ტრაქტორებზე და სხვა მანქანებზე, არამედ იგი აძლევდა აგრეთვე ჩვენს ქვეყანას ფართო მოხმარების პროდუქციას. ამ წლების განმავლობაში მან დაამზადა:

თუჯის ჭურჭელი 59,2 ათასი ტონა.

რკინის ჭურჭელი 101,6 ათასი ტონა.

ცელი 14.468.000 ცალი.

ნავთქურა 2.349.000 ცალი.

პრიმუსი 685.000 ცალი.

დანა და ჩანგალი 14.935.000 წყვილი.

სანავთე ლამფა 4.405.000 ცალი.

ელექტროსანათური 130,6 მილიონი ცალი.

ელექტროგათბობის ხელსაწყოები 11.211.000 ცალი.

ველოსიპედი 594,5 ათასი ცალი,

ჯიბის საათი 328,1 ათასი ცალი.

მაგიდის საათი 1.727,8 ათასი ცალი.

პატეფონი 221,5 ათასი ცალი.

ფირფიტა 8,1 მილიონი ცალი.

საკერი მანქანა (საოჯახო) 1.345,4 ათასი ცალი.

ფოტოაპარატი (ცხრა×თორმეტზე)—193,1 ათასი ცალი.

გლუსუნა 889,5 ათასი წყვილი.

რკინის საწოლი 1.263 ათასი ცალი.

ლურსმანი 45,8 ათასი ტონა.

რეზინის ფეხსაცმელი 245,8 მილიონი წყვილი.

პლასტინი ლანჩისთვის 60 ათასი ტონა.

მუშამბა 31,7 მილიონი ცალი.

საავეჯო ქსოვილი 5.412 ათასი ცალი.

ნაწარმი პლასტიკური მასებისაგან (კბილის საწმენდი ჩოთქი, სავარცხელი, სათამაშოები, სამეურნეო ნაწარმი და სხვ.) 81,5 მილიონი მანეთისა.

საღებავები (ზუმბურ საღებავები, ანილინ საღებავები და სხვა ქიმიკატები)—59,1 მილიონი მანეთის.

ნავთი—4,148 ათასი ტონა.

ოთხი წლის განმავლობაში დამზადდა ფართო მოხმარების საგნები 4.653 მილიონი მანეთისა.

ეს, რასაკვირველია, არ არის საკმარისი. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი და ამხ. სტალინი ჩვენი მძიმე მრეწველობისაგან მოითხოვენ, რათა მან მეტი ყურადღება მიაქციოს ფართო მოხმარების საგნების დამზადებას და ისინი მართალი არიან, რადგან მძიმე მრეწველობას გაცილებით უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს მოგვცეს უფრო მეტი ფართო მოხმარების საგნები, ვიდრე იგი იძლევა ამჟამად. მაგრამ ფართო მოხმარების საგნები რაც შეიძლება მაღალი ხარისხის უნდა იქნეს. მხედველობაში იქონიეთ, რომ ჩვენი ქვეყნის მილიონი და ათეული მილიონი ადამიანები ჩვენს მრეწველობას შეაფასებენ მის მიხედვით, თუ ფართო მოხმარების როგორ საგნებს მივაწოდებთ ჩვენ მათ.

შრომის საკითხები

მძიმე მრეწველობაში მუშაობს 6.111 ათასი მუშა, ტექნიკოსი, ინჟინერი, სამეურნეო მუშაკი, მუშათა მომარაგების განყოფილებების მუშაკი, მეცნიერების მუშაკი და მათი მომსახურებელი პერსონალი, აქედან ნახევარ მილიონამდე ქალი. ხელფასის თვიური ფონდი შეადგენს 1.094 მილიონ მანეთს.

და ამ ვეებერთელა არმიისთვის საჭირო იყო ბინების, სკოლების საავადმყოფოების, საბავშვო დაწესებულებების, კლუბების აშენება, გზების გაყვანა და სხვ. ერთი სიტყვით, საჭირო იყო ახალი ქალაქების აშენება, რასაც ჩვენ ვაკეთებდით და ვაკეთებთ. ქალაქები მაგნიტოგორსკი, სტალინსკი, ბერეზნიკი ჩელიაბინსკის საუკეთესო ნაწილი, სოლიკამსკი, ქვემო ტაგილი და ქვანახშირის რაიონის ქალაქები ჩვენ ავაგეთ ამ წლების განმავლობაში.

1931 წლის 1 იანვრისათვის მძიმე მრეწველობის საბინაო ფართობი უდრიდა 11.700 ათას კვადრატულ მეტრს; 1935 წლის 1 იანვრისათვის იგი შეადგენს 23 მილიონ კვადრატულ მეტრს; 1930 წლის მიმართ 196 პროც., ამასთან ქვანახშირის მრეწველობაში საბინაო ფართობი გაიზარდა 81 პროცენტით, ნავთის მრეწველობაში — 36 პროც., შავ მეტალურგიაში — 186 პროც., მანქანათმშენებლობაში — 200 პროც., ქიმიაში — 325 პროც., და დანარჩენ დარგებში — 48 პროც. ამ ოთხი წლის მანძილზე მძიმე მრეწველობის სოციალურ-საყოფაცხოვრებო და კომუნალურ მშენებლობაში დაბანდებულია 3.200 მილიონი მანეთი, მაგრამ მომავალში ჩვენს წინაშე ამ მიმართულებით დასახულია უდიდესი ამოცანები. ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ ჩვენი მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები, მოსამსახურეები ბინებით, ამასთან ნათელი მოხერხებული, კარგი ბინებით. შემუშავებულია ქალ. მაგნიტოგორსკის და ტაგილის ახალი პროექტები და ამ პროექტების მიხედვით აგებულ იქნება ნამდვილი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, სოციალისტური ქალაქები. წელს საბინაო-საყოფაცხოვრებო მშენებლობისთვის გადადებულია 920 მილიონი მანეთი, მუშათა ხელფასი ამ წლების განმავლობაში გაიზარდა 76,9 პროც.

აქედან:	%%
მანქანათმშენებლობაში	67,9
ელექტროსადგურებში	68,1
ქიმიურ მრეწველობაში	64,1
ნავთის მრეწველობაში	96,5
მეტალურგიაში	87,2
ქვანახშირის მრეწველ.	94,2
რკინა-მადნის მრეწველ.	110,9

საინჟინრო - ტექნიკური პერსონალის ხელფასი გაიზარდა 77 პროცენტით. ამ ოთხი წლის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა შრომის ხელფასის სწორად დაყენების და გათანაბრებასთან ბრძოლის დარგში, რადგან ოთხი წლის წინათ გათანაბრება გაბატონებული იყო ჩვენს მრეწველობაში. იგი ჯერ კიდევ არ არის სავსებით აღმოფხვრილი. ის რასაც საშუალო ხელფასს უწოდებენ, არა თუ ხელს არ უწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდას, არამედ პირიქით აფერხებს მას. შრომის ნაყოფიერების მხრივ ჩვენ გვაქვს თვალსაჩინო მიღწევები ზრდა 49 პროცენტით. მაგრამ თუ ჩვენ ბოლოს მოვუღებთ გათანაბრებას, საშუალო ხელფასს და გადავალთ პროგრესიულ სანარდო სამუშაოებზე, ჩვენ მივიღებთ შრომის ნაყოფიერების და საშუალო ხელფასის კიდევ უფრო დიდ ზრდას.

ჩვენ ერთადერთი ქვეყანა ვართ მსოფლიოში 7 საათის სამუშაო დღით. მაგრამ ეს 7 საათი დღის სავსებით არ არის გამოყენებული. ხელფასის სწორი ორგანიზაცია საუკეთესო ბერკეტი იქნება შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის. იქ, სადაც სწორად ორგანიზებულია შრომის ხელფასი, ჩვენ გასაოცარი შედეგები გვაქვს. ავიღებთ მხოლოდ ორ ქარხანას მაკეევკის კიროვის სახელობის მეტალურგიულ ქარხანას და მოსკოვის ქარხანა „სერპ ი მოლოტს", უკანასკნელში ოთხი წლის განმავლობაში საერთო პროდუქცია გაიზარდა 82 პროცენტით, ამასთან მუშების რიცხვი შემცირდა 22 პროცენტით. შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 134 პროცენტით. ეს შედეგი დიდი მუშაობისა როგორც წარმოების ორგანიზაციის, ისე წამყვან პროფესიების ფონდის გამოყოფის ხაზით. მოსკოვის ქარხანა „სერპ ი მოლოტის" მარტენების საამქროს მუშის საშუალო ნაშოვარი 1934 წლის მესამე კვარტალში შეადგენდა 261 მანეთს, ნოემბერში 271 მანეთს, ხოლო ფოლადის [illegible] გამომდნობმა ამავე პერიოდში მიიღო 550 მანეთი და 705 მანეთი. ფოლადის გამომდნობის თანაშემწემ მიიღო 350 და 374 მანეთი, ამგვარად საშუალო—261 მანეთი, ხოლო ფოლადის გამომდნობი ღებულობს 705 მანეთს. აი სად არის ფოკუსი. აი რატომ შესძლო ამხ. სტეპანოვმა ერთდაიმავე დროს გაედიდებია შრომის ნაყოფიერება და ხელფასი.

ასეთივე მდგომარეობაა მაკეევკის კიროვის სახელობის ქარხანაში. აქ ამხ. გვახარიამ მიაღწია იმას, რომ მას აქვს ყველაზე იაფი თუჯი ჩვენს ქვეყანაში და ყველაზე მაღალი ხელფასი. მაკეევკის ქარხნის ბრძმედების საამქროს უფროსი აკეთებს 2—2,5—3 ათას მანეთს და კიდევ მეტს იმის მიხედვით, თუ როგორ ასრულებს იგი თავის გეგმას. ამგვარადვე აკეთებენ მუშებიც.

ამ წლებში ჩვენ შევქმენით თვალსაჩინო სასურსათო ბაზა. მუშათა მომარაგების განყოფილებებს საგრძნობი სახსრები მოეპოვებათ.

დაგროვებანი მძიმე მრეწველობაში

ამხ. სტალინმა თავის შესანიშნავ ექვს მითითებაში აღნიშნა, რომ მრეწველობა უნდა შეუდგეს დაგროვებას. რას ვაკეთებთ ჩვენ ამ მიმართულებით?

1931 წელს მძიმე მრეწველობას ჰქონდა მოგება 430 მილიონი მანეთი, 1934 წელს მძიმე მრეწველობის მოგებამ შეადგინა 1.336 მილ. მანეთი, ზრდა მეტია,- ვიდრე სამჯერ.

დაგროვებათა ზრდის ყველაზე მეტი ტემპები გვაქვს მანქანათმშენებლობაში. 1931 წელს მანქანათმშენებლობამ მოგვცა 122 მილ. მანეთი მოგება, 1934 წელს—497 მილიონი. მანქანათმშენებლობის ყველაზე უფრო მომგები დარგებია ავტო-სატრაქტორო და ელექტროტექნიკური. მრეწველობის ამ დარგებიდან ავტო-სატრაქტორო დარგმა 1931 წელს მოგვცა 6 მილიონი, 1934 წელს—229 მილიონი; ელექტროტექნიკურმა 1931 წელს—63 მილიონი, 1934 წელს—192 მილიონი. ტრაქტორები, რომელთაც უშვებენ სტალინგრადისა და ხარკოვის სატრაქტორო ქარხნები, ჯერ კიდევ 1932 წელს იძლეოდნენ ზარალს, ხოლო 1934 წელს ამ ქარხნების მიერ გამოშვებულ ტრაქტორებისაგან თვითღირებულების შემცირების გამო გვაქვს მოგება 400 მანეთამდე თვითეულ ტრაქტორზე.

მოგებათა დაგროვების და ამორტიზაციის საერთო ჯამი მძიმე მრეწველობაში 1931 წელს უდრიდა 870 მილიონ მანეთს, ხოლო 1934 წელს შეადგენს 2.037 მილიონს.

ამ წლების განმავლობაში ჩატარდა უდიდესი საორგანიზაციო მუშაობა. ჯერ განმსხვილებულ და შემდეგ ლიკვიდირებულ იქნენ უზარმაზარი გაერთიანებანი, რომელთაც არ შესწევდათ კონკრეტული ხელმძღვანელობის უნარი. მართველობის ოთხრგოლიანი სისტემის ნაცვლად მოეწყო ორრგოლიანი. ლიკვიდირებულია, თუმცა ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის აღმოფხვრილი, ფუნქციონალობა.

წარმოებს ბრძოლა და მიღწეულია წარმატებები, მაგრამ ჯერ კიდევ როდია აღმოფხვრილი კანცელარულ-ბიუროკრატიული მმართველობის მეთოდები. მთავარ სამმართველოებიდან, ტრესტებიდან მუშაკების დიდი რაოდენობა გადასროლილ იქნა პირდაპირ საწარმოებში, ხოლო საქარხნო სამმართველოდან საამქროებში. გაერთიანებათა ყოფილი უფროსები, მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის ცალკეულ სამმართველოების ყოფილი უფროსები ამჟამად სხედან დირექტორებად ქარხნებში და საკმაოდ კარგად მუშაობენ. მე ვფიქრობ, რომ ეს დირექტორები უფრო კმაყოფილი არიან ახლა, ვიდრე იყვნენ მაშინ, როცა ისინი სამმართველოში ისხდნენ (ხმები: „სწორია"). მუშაკების გადასროლა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ კადრები გვყავს. ჩვენმა უმაღლესმა ტექნიკურმა სასწავლებლებმა, ტექნიკუმებმა, მუშფაკებმა ოთხი წლის განმავლობაში გამოუშვეს 39 ათასი ინჟინერი, 50 ათასი ტექნიკოსი, 60 ათასი მუშფაკებიდან და საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლიდან—347 ათასი. ჩვენს უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში, ტექნიკუმებში, მუშფაკებში და საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლებში სწავლობს 377 ათასი კაცი, აქედან 91 ათასი ქალია. ეს ჩვენი მომავალი კადრებია.

კადრების შექმნის მხრივ ამ წლების განმავლობაში ბევრი გაკეთდა. კადრები ჩვენ გვყავს. მათ შორის ბევრი არის ნიჭიერი ადამიანი. მე აქ არ დავასახელებ მათ გვარებს იმიტომ, რომ ყველას ვერ ჩამოვთვლით.

ბევრი ჯაფა დასჭირდა იმას, რომ ამ მოკლე ვადაში ნედლი მასალისაგან [illegible] მცოდნე ადამიანები. ბევრი ჭურჭელი დავამტვრიეთ, ბევრი კოპი დავისვით შუბლზე. ჩვენ ცოდნა შევძინეთ არა მარტო ინჟინერებს, ტექნიკოსებს, ეკონომისტებს, სამეურნეო მუშაკებს, ბუხჰალტრებს, არამედ მათთან, ერთად მილიონობით მუშებსაც და სხვ.

მაგრამ იმედი მაქვს, რომ სამეურნეო მუშაკები ისე არ გაიგებენ, რომ ამ დარგში ყველაფერი გაკეთებულია. არა, რასაკვირველია, ყველაფერი არ არის გაკეთებული. საჭიროა კიდევ და კიდევ მუშაობა კადრებზე, ხოლო, რაც მთავარია, ჩვენს ტექნიკოსებს, ინჟინერებს, ეკონომისტებს და სამეურნეო მუშაკებს მოუხდებათ მუშაობა თავისთავზე, რათა არ ჩამორჩნენ.

იცოდეთ, რომ, ვინც თავისთავზე არ მუშაობს, ის ჩამორჩენილია. ჩვენი კადრები იზრდებიან კომუნიზმის დიადი მშენებლობის ეპოქაში მათ აქვთ ყველა შესაძლებლობა გახდენ თავიანთი საქმის ნამდვილი ოსტატები.

დავეწიოთ და გავუსწროთ

მძიმე მრეწველობის პირველი ხუთწლედი ჩვენ გადაჭარბებით შევასრულეთ და 109,6 პროცენტს მივაღწიეთ. მძიმე მრეწველობის მეორე ხუთწლედის მეორე წლის გეგმა გადაჭარბებით შევასრულეთ და 1934 წელს სახალხო მეურნეობას, გეგმით დასახული 23 პროცენტის ნაცვლად, 27 პროცენტი შევმატეთ. თვითღირებულების გეგმა პირველად შევასრულეთ და, იგი 7 პროცენტით შევამცირეთ.

მძიმე მრეწველობა მთელი ძალღონით იბრძვის მესამე წლის გეგმის და მთელი მეორე ხუთწლედის შესასრულებლად.

4 წლის წინათ ჩვენმა მრეწველობამ გიგანტური მასშტაბით იწყო ახალი ქარხნების, ახალი მადნეულის, ახალი მაღაროების, ახალი ელექტროსადგურების მშენებლობა. იგი უსწრაფეს ტემპებს ანვითარებდა. ამასთან ჩვენ გამოვდიოდით დიდი მასწავლებლის ლენინის დებულებიდან — „დავეწიოთ და გავუსწროთ" და ჩვენი ბელადის ამხ. სტალინის მიერ სამეურნეო მუშაკთა პირველ თათბირზე მოცემულ მითითებებიდან, რომ:

> „ჩვენ მოწინავე ქვეყნებს 50—100 წლით ჩამოვრჩით. ჩვენ ეს მანძილი 10 წელში უნდა გავირბინოთ".

რა ადგილის დაკავება შევძელით ჩვენ მსოფლიო მეურნეობაში?

გადავიდეთ ფაქტებზე. ქვანახშირის მხრივ ჩვენს ქვეყანას 1930 წელს მეხუთე ადგილი ეკავა, 1934 წელს მან მეოთხე ადგილი დაიკავა მსოფლიოში. ნავთის მხრივ მთელი ამ წლების მანძილზე მტკიცედ გვიკავია მეორე ადგილი მსოფლიოში. თუჯის მხრივ მეხუთე ადგილიდან, რომელიც 1930 წელს გვეკავა, 1934 წელს წამოვიწიეთ მეორე ადგილზე. ჩვენ წინ არის მხოლოდ ამერიკა. ფოლადის მხრივ მეხუთე ადგილიდან მესამეზე გადავედით. ტრაქტორების დამზადების მხრივ მეორე ადგილიდან, რომელიც 1930 წელს გვეკავა, 1934 წელს მთელს მსოფლიოში პირველი ადგილი დავიკავეთ (ხანგრძლივი ტაში). გვაქვს ყველაზე უფრო მძლავრი სასოფლო - სამეურნეო მანქანათმშენებლობა ევროპაში. სატვირთო ავტომანქანების გამოშვების მხრივ მეცხრე ადგილიდან, რომელიც 1930 წელს გვეკავა, 1934 წელს მესამე ადგილი მოვიპოვეთ მსოფლიოში ჩვენ წინ არიან ამერიკა და ინგლისი. ელექტროენერგიის გამომუშავების მხრივ ჩვენი ქვეყანა 1913 წელს მეხუთმეტე ადგილზე იმყოფებოდა. ჯერ კიდევ 1930 წ. ჩვენ გვეკავა მეცხრე ადგილი, ამ 4 წლის მანძილზე ჩვენ ავედით მესამე ადგილზე მსოფლიოში და ვიმყოფებით ინგლისის დონეზე.

ამ წლების განმავლობაში, რომლებიც ყველა კაპიტალისტური ქვეყნებისათვის კრიზისის გაგრძელებას წარმოადგენდა, ჩვენი ქვეყნის მძიმე მრეწველობა შეუჩერებლივ განაგრძობდა თავის ძლევამოსილ მსვლელობას, მან თავისი პროდუქცია 1928 წელთან შედარებით გაადიდა უფრო მეტად, ვიდრე 4-ჯერ, მაშინ, როცა ამერიკის შეერთებული შტატები დღემდე რჩება 1928 წლის 67 პროცენტის დონეზე, გერმანია, — 81 პროცენტის, საფრანგეთი — 84 პროცენტის, ხოლო, ინგლისი 104 პროცენტის დონეზე.

იმ დროს, როცა ჩვენს ქვეყანაში არც ერთი უმუშევარი არ არის, კაპიტალისტურ ქვეყნებში ამჟამად უმუშევრობისაგან 22 მილიონზე მეტი კაცი იტანჯება.

განვითარების ტემპების დასახასიათებლად შეიძლება შემდეგი მაგალითი მოვიყვანოთ. თუჯის გამოდნობის ხუთი მილიონიდან ათ მილიონ ტონამდე გასადიდებლად საფრანგეთს დასჭირდა 7 წელი, გერმანიას — 10 წელი, ამერიკას — 15 წელი, ინგლისს — 36 წელი, ჩვენ კი დაგვჭირდა მხოლოდ 4 წელი (მქუხარე ტაში).

ამას ახლა ვერ უარყოფენ ვერც ერთი ქვეყნის რამდენადმე საქმეს ოდნავ მაინც გაცნობილი ადამიანები, დაწყებული გაზეთის რეპორტიორებიდან და გათავებული სერიოზული ეკონომისტებით და სახელმწიფო მოღვაწეებით. მით უფრო უცნაურად გვეჩვენება ბატონ ჰიტლერის განცხადება შრომის კონგრესზე ბერლინში 1934 წლის 16 აპრილს.

„ეს საბჭოთა რუსეთი, — ამბობს იგი, — მოგვაგონებს ჭაობით მიმავალ კაცს, რომელიც ძლიერი კაცის ხელს ეყრდნობა. ეს საბჭოთა რუსეთი ყოველთვის ეყრდნობა კაპიტალისტური სახელმწიფოების ხელს. იგი თავის სამუშაო ძალას, ინჟინრებს და მანქანებს სულ კაპიტალისტური სახელმწიფოებისაგან ღებულობს".

„საჭირო იყო იგი საკუთარ ფეხზე დაგვეყენებია, — ისეთი ქვეყნისათვის, როგორიც რუსეთია, ეს სავსებით შესაძლებელი იქნებოდა, და გამოვეცხადებია მისთვის: ახლა თვითონ შექმენით თქვენი სამოთხე. აი მაშინ დავინახავდით შედეგებს".

ეს ტრაბახა განცხადება პირველად როდი გვესმის ბატონ ჰიტლერისაგან.

თავის წიგნში „ჩემი ბრძოლა" ბატონი ჰიტლერი, არწმუნებს თავის მომხრეებს, რომ გერმანიისათვის საბჭოთა კავშირთან სამხედრო კავშირი ხელსაყრელი არ არის, ამბობს: „მსოფლიოს საყოველთაო მოტორიზაციას, რომელიც უახლოეს ომში კოლოსალურ, გადამწყვეტ როლს ითამაშებს, ჩვენ თითქმის ვერაფერს ვერ დავუპირისპირებდით. თვითონ გერმანია ამ დარგში სამარცხვინოდ ჩამორჩა. მაგრამ ასეთი ომის შემთხვევაში მას თავისი მცირე მარაგიდან რუსეთიც უნდა შეენახა, ვინაიდან რუსეთს ჯერ კიდევ არა აქვს არც ერთი თავისი საკუთარი ქარხანა, რომელიც მართლაც დაამზადებდა, ვთქვათ, ნამდვილ, ცოცხალ სატვირთო მანქანას" (სიცილი, ტაში).

ბატონ ჰიტლერის ყველა ეს ტრაბახა განცხადება მოწმობს მხოლოდ იმას, რომ იგი სრულიად უვიცია საერთოდ სამეურნეო და ტექნიკური განვითარების და განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნის განვითარების საკითხებში. (მქუხარე ტაში).

რაც შეეხება გერმანიასთან სამხედრო კავშირის საკითხს, ჩვენ არასოდეს არ გვიფიქრია და აზრადაც არ მოგვსვლია დაგვედვა ასეთი კავშირი. ეს ძალიან კარგად იცის ყველამ, და უნდა ვიფიქროთ, რომ იცის ბატონმა ჰიტლერმაც, ყოველ შემთხვევაში ბატონ ჰიტლერს არ დასჭირდება ამაზე თავის შეწუხება. (მქუხარე ტაში).

როგორც ცნობილია, ჩვენი მთავრობის მთელი პოლიტიკა მიმართულია მშვიდობიანობის შენარჩუნებისაკენ, მაგრამ ჩვენ ძალიან კარგად ვიცნობთ კაპიტალიზმის მგლურ კანონს იმის შესახებ, რომ პატივს სცემენ მხოლოდ ძლიერს, სუსტებს კი სცემენ. ამიტომ ჩვენ, ვაწარმოებთ რა მშვიდობიანობის მტკიცე პოლიტიკას, ამავე დროს არ ვივიწყებდით და არ ვივიწყებთ ჩვენი დიდი სამშობლოს თავდაცვას. (მქუხარე ტაში).

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. მოლოტოვმა თავის მოხსენებაში საბჭოების ყრილობაზე განაცხადა, რომ ჩვენს არმიაში ერთ წითელარმიელზე მექანიკური ცხენის ძალის რაოდენობა ოთხჯერ გაიზარდა. ამხ. ტუხაჩევსკიმ თავის გუშინდელ ბრწყინვალე გამოსვლაში თქვენ უფრო დაწვრილებით გაგიმარტათ, თუ როგორაა მომარაგებული ჩვენი წითელი არმია მოტორებით, სატვირთო მანქანებით და თავდაცვის სხვა საშუალებებით. ჩვენ ამას მთლიანად ვადასტურებთ და ვაცხადებთ, რომ მძიმე მრეწველობის მიერ ამ წლების განმავლობაში წითელი არმიისათვის მიწოდებული პროდუქციის ოდენობა 4—5-ჯერ გადიდდა. და ნება მიბოძეთ დღეს განვუცხადო საბჭოების მე-7 ყრილობას, რომ მძიმე მრეწველობა მზადაა შეასრულოს თავისი ვალდებულებანი ჩვენი ქვეყნის თავდაცვის მიმართ. იგი ჩვენს წითელ არმიას აძლევს ყველაფერს, რაც კი საჭიროა იმისათვის, რომ ჩვენი დიდი სამშობლოს საზღვრები მიუვალი იყოს ჩვენი მტრებისათვის (მქუხარე ოვაცია, შეძახილები: „ვაშა", მთელი დარბაზი ფეხზე დგება).

1935 წლის ამოცანები

ჩვენი პარტიის მე-17 ყრილობაზე ამხ. სტალინმა პარტიის და მრეწველობის მუშაკების წინაშე დასახა შემდეგი მორიგი ამოცანები:

1) შევუნარჩუნოთ მანქანათმშენებლობას მისი ამჟამინდელი წამყვანი როლი მრეწველობის სისტემაში.

2) აღმოვფხვრათ შავი მეტალურგიის ჩამორჩენა.

3) მოვაწესრიგოთ ფერადი მეტალურგიის საქმე.

4) ფართოდ გავშალოთ ადგილობრივი ქვანახშირის ამოღება ყველა უკვე ცნობილ რაიონში, მოვაწყოთ ნახშირის ამოღების ახალი რაიონები (მაგალითად, შორეულ აღმოსავლეთის ბურეის რაიონში), გადავაქციოთ კუზბასი მეორე დონბასად.

5) სერიოზულად მოვკიდოთ ხელი ნავთის ბაზის ორგანიზაციის ურალის ქედის დასავლეთ და სამხრეთ კალთების რაიონში.

6) გავშალოთ ფართო მოხმარების საქონლის წარმოება ყველა სამეურნეო სახალხო კომისარიატების ხაზით.

7) განვავითაროთ ადგილობრივი საბჭოთა მრეწველობა, მივსცეთ მას საშუალება გამოიჩინოს ინიციატივა ფართო მოხმარების საქონლის წარმოების საქმეში და ყოველგვარი დახმარება გავუწიოთ მას ნედლეულით და სახსრებით.

8) გავაუმჯობესოთ გამოსაშვები საქონლის ხარისხი. შევწყვიტოთ არაკომპლექტური პროდუქციის გამოშვება. დავსაჯოთ ყველა ის ამხანაგი, პიროვნებათა მიუხედავად რომლებიც არღვევენ ან გვერდს უვლიან საბჭოთა ხელისუფლების კანონებს პროდუქციის ხარისხის და კომპლექტობის შესახებ.

9) მივაღწიოთ შრომის ნაყოფიერების სისტემატიურ ზრდას, თვითღირებულების შემცირებას და სამეურნეო - ანგარიშის დანერგვას.

10) მოვსპოთ გაუპიროვნება მუშაობაში და გათანაბრება ხელფასის სისტემაში.

11) აღმოვფხვრათ ხელმძღვანელობის კანცელარულ - ბიუროკრატიული მეთოდი სამეურნეო სახალხო კომისარიატების ყველა რგოლში, სისტემატიურად შევამოწმოთ, თუ როგორ ასრულებენ ქვემდგომი ორგანოები ხელმძღვანელი ცენტრების გადაწყვეტილებებს და მითითებებს".

მძიმე მრეწველობის მუშაკები თავისი ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით მთელი 1934 წლის განმავლობაში იბრძოდნენ ამხ. სტალინის მიერ ჩვენს წინაშე დასახული ამოცანების გადაჭრისათვის. ამის შედეგად ჩვენ უკვე გვაქვს პირველი მნიშვნელოვანი წარმატებანი. მძიმე მრეწველობა საბჭოების მეშვიდე ყრილობას შეხვდა 1934 წლის გადაჭარბებით შესრულებული გეგმით, იგი მზად არის კიდევ უფრო მეტი ძალით და ენერგიით განავრცოს ბრძოლა 1935 წლის გეგმის და მეორე ხუთწლედის გეგმის შესრულებისათვის.

1935 წელს ჩვენ უნდა მოვახდინოთ ახალი გაქანება: მივსცეთ ჩვენს ქვეყანას 23.568 მილიონი მანეთის პროდუქცია ზრდა 1934 წლის მიმართ 19,6 პროცენტით.

გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება 14 პროცენტით.

გამოვიმუშაოთ 24,9 მილიარდი კილოვატსაათი ელექტრო - ენერგია.

ამოვიღოთ 104.08 მილიონი ტონა ქვანახშირი (ხოლო სულ მთელ საბჭოთა კავშირში 112 მილიონი ტონა).

ამოვიღოთ 30.330 ათასი ტონა ნავთი.

გამოვადნოთ 12,5 მილიონი ტონა თუჯი.

გამოვადნოთ 11,8 მილიონი ტონა ფოლადი.

მივსცეთ ჩვენს ქვეყანას 8650 ათასი ტონა ტყვიცილი ლითონი.

71 ათასი ტონა სპილენძი.

25 ათასი ტონა ალუმინი.

97 ათასი ტრაქტორი 1900 ათასი ცხენის ძალის საერთო სიმძლავრით, აქედან ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხნის მუხლუხოვანი ტრაქტორები 15 ათასი ცხენის ძალის.

92 ათასი ცალი ავტომობილი.

20 ათასი ცალი კომბაინი.

81 ათასი ცალი ორღერძიანი ვაგონი გზათა სახალხო კომისარიატისათვის.

1485 ორთქლმავალი, მათ შორის 470 ორთქლმავალი „ფდ" სერიის.

0,5 მილიარდი მანეთის ფართო მოხმარების საქონელი.

მძიმე მრეწველობამ 1935 წელს უნდა შეასრულოს 7.634 მილ. მანეთის სააღმშენებლო სამუშაოები, ამასთან მან საექსპლოატაციოდ უნდა გადასცეს:

ბრძმედები	6
მარტენის ღუმელები	34
ელექტროღუმელები	24
ღუმელები ფეროშენადნობებისათვის	6
საგლინავი დაზგები	22
ბიმეტალის საგლინავი დაზგები	7
მილსაგლინავი დაზგები	6
საკოქსე ბატარეები	9
სააგლომერაციო ტინტები	10
ნავთის პირველადი გადამუშავების მილაკები	6
კრეკინგები	14
მაღაროები	41

747.000 კილოვატი დაწესებული სიმძლავრე რაიონულ და მსხვილ სამრეწველო ელექტროსადგურებზე.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, ამხანაგებო, რომ ჩვენი პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის, მისი ბელადის **ამხანაგ სტალინის** ხელმძღვანელობით მძიმე მრეწველობა შეასრულებს მასზე დაკისრებულ ამოცანებს.

გაუმარჯოს კომუნისტ ბოლშევიკების დიად უძლეველ პარტიას— ლენინ-სტალინის პარტიას!

გაუმარჯოს ჩვენი გამარჯვებათა ორგანიზატორს, სულის ჩამდგმელს, ჩვენს ბელადს, ჩვენს მეგობარს, ჩვენს მასწავლებელს, ჩვენს დიდ **სტალინს!**

(ყველა ფეხზე დგება. მქუხარე ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის „ვაშა" ძახილი: „გაუმარჯოს მძიმე მრეწველობის არმიის სარდალს ამხ. ორჯონიკიძეს"!).

კამათი ამხ. სერგო ორჯონიკიძის მოხსენების გარშემო

პირველი თებერვლის დილის სხდომა

პირველი თებერვლის დილის სხდომა იხსნება ამხ. ისაევის თავმჯდომარეობით.

სხდომის დარბაზში გამოჩნდება ქალაქ კალინინის მუშებისა და მშრომელების დელეგაცია, რომელსაც დარბაზი ხანგრძლივი ტაშით ხვდება. დელეგაციას თან მოაქვს ამხ. სტალინის დიდი სურათი, კალინინელ ფეიქარ ქალთა მიერ ხელით გაკეთებული მათი პროდუქციის ნიმუშებიდან.

დელეგაციის სახელით ყრილობას მიესალმება

ამხ. ოსოკინი

იგი მკაფიო და მოხდენილ სიტყვაში ლაპარაკობს კალინინელ ფეიქარ ქალების და სხვა საწარმოთა მუშების წარმატებებზე, რომლებიც მოპოვებულია პარტიის და დიდი ბელადის ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით.

„ჩვენ, — ამბობს ამხ. ოსოკინა,—ამჟამად, ავითვისეთ რა რთული მანქანები, რომლებიც მოგვცა ჩვენმა მძიმე მრეწველობამ, ვიძლევით აგრეთვე ისეთ ქსოვილებს, რომლებიც თავისი ხარისხით და სახით არ ჩამოუვარდება უცხოეთის საუკეთესო ნიმუშებს. ჩვენ ვიძლევით არა მარტო ლამაზს, არამედ გამძლე ქსოვილებს. ჩვენ ვაძლევთ ჩვენს საყვარელ წითელ არმიას კარგ, მაგარ ტანსაცმელს. ამ განცხადებას ყრილობა მქუხარე ტაშით ხვდება. ჩვენ გვაქვს მიღწევები, არამარტო ბამბეულის მრეწველობაში, არამედ სხვა დარგებშიაც. ჩვენ ერთერთი პირველი ადგილი დავიჭირეთ მოსკოვის ოლქის ოცი ქალაქის შეჯიბრებაში, ჩვენ უხეიროდ არ ვატარებთ ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის ლაშქრობას ჩვენი ბავშვების უკეთ მომსახურებისათვის".

თავისი სიტყვის დასასრულს ამხ. ოსოკინა სთხოვს ყრილობას და საკავშირო მთავრობას დაეხმარონ ქალაქ კალინინს საბინაო მშენებლობასა და ელექტრო-სადგურების აგებაში.

— გაუმარჯოს საბჭოთა მე-7 საკავშირო ყრილობას!

— გაუმარჯოს საკავშირო სტაროსტას ამხ. კალინინს!

— გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ, ძვირფას ამხანაგს სტალინს!

მთელი დარბაზი მქუხარე ოვაციით ფარავს ამხ. ოსოკინის მისასალმებელ სიტყვას.

კალინინელ ფეიქართა დელეგაციას სცვლის სვერდლოვის ოლქის ვერხნე-ისეტსკის ქარხნის საუკეთესო დამკვრელთა დელეგაცია, რომელსაც მქუხარე ტაშით ხვდებიან დელეგატები. სიტყვა

ამხ. ფედოტოვისა

რომელიც ყრილობას მიესალმება დელეგაციის სახელით, ურალის გრანდიოზულ წარმატებათა ბრწყინვალე ილუსტრაციაა.

„უკვე აღარ არის ძველი, დემიდოვის ურალი—ამაყად უბნება ყრილობას ამხ. ფედოტოვი. არის მსხვილი ინდუსტრიისა და საკოლმეურნეო სოფლის ახალი სოციალისტური ურალი".

ჩვენ შევქმენით მეორე მეტალურგიული და ქვანახშირის ბაზა ურალში, ავამუშავეთ 90 ახალი სამრეწველო საწარმო. შევქმენით ისეთი კომბინატები, როგორიც არის ბერეზნიკოვსკის ქიმიური, კალიუმის და მთელი რიგი სხვა კომბინატები. მეშვიდე საკავშირო ყრილობისათვის ჩვენ ვადაზე ადრე შევასრულეთ თუჯის, სპილენძის, მადნის, ოქროს ამოღების გეგმა. ჩვენ წარმატებით ვეუფლებით რთულ მექანიზმებს ჩვენს საკუთარ საწარმოებში ვქმნით იმ მოწყობილობას,რომელიც წინათ საზღვარგარეთიდან შემოგვქონდა. ძირეულად შეიცვალა ჩვენი მუშა. აქ ამ დარბაზში არიან ადამიანები, რომელთაც მთელი ქვეყანა იცნობს, აი საბჭოთა კავშირის საუკეთესო ფოლადისმდნობელი ამხ. ლაროხოვი, აი ამხ. ადრუვანოვი, დაჯილდოებული ლენინის ორდენით, აი ამხ. კულკოვი — ქვემო-ტაგილის ქარხნის საბრძმედო საამქროს საუკეთესო ოსტატი. ყველა ეს ადამიანები აღზარდა საბჭოთა ხელისუფლებამ, ჩვენმა დიადმა კომუნისტურმა პარტიამ, ჩვენმა დიდმა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა" — ამბობს ამხანაგი ფედოტოვი, რომლის სიტყვებს მთელი დარბაზი მქუხარე ტაშით ხვდება.

დასასრულ ამხ. ფედოტოვი სვერდლოვის ოლქის მუშების სახელით სიტყვას იძლევა, რომ შესრულებული იქნება ის ამოცანები, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დააკისრეს სვერდლოვის ოლქის მუშებს. ამხ. ფედოტოვის უკანასკნელ სიტყვებს: „გაუმარჯოს მძლავრ უძლეველ პროლეტარიატის დიქტატურას! გაუმარჯოს საბჭოთა მიწის ბატონ-პატრონს საბჭოთა მე-7 საკ. ყრილობას! გაუმარჯოს ჩვენ დიდ ბელადს მეგობარს და საყვარელ ამხ. სტალინს! ყრილობა მქუხარე ტაშით ხვდება და ფეხზე ამდგარი ოვაციას უმართავს სოციალისტური ურალის წარჩინებულ ადამიანებს.

ამხ. ფედოტოვის გამოსვლის შემდეგ იხსნება კამათი მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის ამხ. გ. კ. ორჯონიკიძის საანგარიშო მოხსენების ირგვლივ.

უკანასკნელი წლების განმავლობაში — ამბობს

ამხ. სუხომლინი

საბჭოთა უკრაინამ მიაღწია განსაკუთრებულ სამრეწველო აღმავლობას. საბჭოთა მეექვსე ყრილობის შემდეგ მძიმე მრეწველობაში კაპიტალურ დაბანდებანი სამჯერ გაიზარდა, განსაკუთრებით დიდია კაპიტალური დაბანდება უკრაინის დონბასში, რამაც რადიკალურად შეცვალა მისი სახე. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ შევქმენით ახალი დონბასი, მძლავრი, მექანიზებული დონბასი, რომელიც ასრულებს თავის გეგმებს. განსაკუთრებული გაქანება მიიღო უკრაინის ადგილობრივმა მრეწველობამ, რომელიც ამჟამად ითვლის 714 საწარმოს, რომელთაგან [illegible], როგორც, მაგალითად, ფაიფურის და ქაშანურის, პოლიგრაფიულს, სამკერვალო საწარმოებს საკავშირო მნიშვნელობა აქვთ.

თავისი სიტყვის დასასრულს ამხ. სუხომლინი, ხაზს უსვამს, რომ ბოლშევიკებს აქ შეპყრობით მიღწეულ წარმატებებით გატაცება და ჩერდება ადგილობრივი მრეწველობის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე (ნედლეულის გადახარჯვა, საბრუნავ საშუალებათა არასაკმაოდ გამოყენება, წუნის მაღალი პროცენტი, არაშემჭიდროებული სამუშაო დღე) და მოუწოდებს ადგილობრივი მრეწველობის მუშაკებს აღმოფხვრან ეს ნაკლოვანებები ისე, რომ ადგილობრივი მრეწველობა ჩააყენონ საბჭოთა კავშირის მოწინავე საწარმოთა პირველ რიგებში.

ამხ. ტრეიბუდი

(ქარხანა „კრასნი ოქტიაბრი")

თავის სიტყვაში სტალინგრადის ქარხანა „კრასნი ოკტიაბრის" მაგალითზე გვიჩვენებს, თუ რას შეიძლება მივაღწიოთ, თუ პატიოსნად, ბოლშევიკურად შევასრულებთ ამხანაგ სტალინის ექვს მითითებას, რომლებიც წარმოადგენენ მძლავრ იარაღს პროგრამის წარმატებით შესასრულებლად. „სტალინგრადის მეტალურგიული ქარხანა წლითი-წლობით არ ასრულებდა თავის პროგრამას. როცა ჩვენთან მოვიდა ამხანაგი სერგო, მან გვითხრა: განსაკუთრებულ რჩევა-დარიგებას მე თქვენ ვერ მოგცემთ, გარდა იმისა, რაც მოცემულია პარტიის და მისი ბელადის ამხანაგ სტალინის მიერ. განახორციელეთ ისინი. ჩვენ დავირაზმეთ და გასულ წელს გეგმა ვადამდე შევასრულეთ,—გამოვუშვით 443 ათასი ტონა მაღალ-ხარისხოვანი ლითონი და მივიღეთ 9,5 მილიონი მანეთი მოგება. მაგრამ ქარხანა „კრასნი ოკტიაბრს" მეტის მოცემა შეუძლია,—აღნიშნავს ამხ. ტრეიბუდი,—თუ სათანადოდ გამოიყენებს შინაგან რეზერვებს. მთავარი ის არის, რომ ულმობელი ბრძოლა გამოვუცხადოთ მარტენის ღუმელების, [illegible] გაცდენას. ყურადღების ცენტრში უნდა მოვაქციოთ ცოცხალი ადამიანი, როგორც ეს მიგვითითა ამხანაგმა სტალინმა ჩვენ მეტალურგების უკანასკნელ თათბირზე.

(გაგრძელება იხ. მე-5 გვ.)

კამათი ამხ. ს. ორჯონიკიძის მოხსენების გარშემო

ამხ. ლიხაჩევი

(მოსკოვის ამხ. სტალინის სახ. ავტოქარხანა)

მოუთხრობს ყრილობას იმ წარმატებებს, რომლებიც მოსკოვის ავტოქარხნის მუშაკებს მოუპოვებიათ.

„შარშან—ამბობს ამხ. ლიხაჩევი—ამხანაგმა სერგომ პარტიის მე-17 ყრილობაზე დაგვისახა სამუშაო დღის შემჭიდროების ამოცანა.

ახლა ჩვენ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ამ მხრივ მნიშვნელოვანი ძვრები გვაქვს. თუ 1934 წლის იანვარში სამუშაო დღის შემჭიდროება უდრიდა 5 საათსა და წუთს, ივლისში ის შეადგენდა 6 საათსა და 3 წუთს, ხოლო ნოემბერში 6 საათსა და 18 წუთს. მაგრამ ეს მიღწევები,—ხაზს უსვამს ამხ. ლიხაჩევი, — ოდნავადაც არ არის საკმაო. ჩვენ ვისწავლეთ,—განაგრძობს ამხ. ლიხაჩევი,—კარგი, გამძლე ავტომობილების კეთება. დაე—აცხადებს ამხ. ლიხაჩევი—ჰიტლერის ავტომობილმა, რომელზედაც გუშინ ლაპარაკობდა ამხ. სერგო, სცადოს და გაეჯიბროს საბჭოთა ავტომობილს, რომელმაც გადალახა ყარაყუმის ქვიშნარი და რომელიც ჩვენი ერთგული მეგობარი და თანაშემწეა ჩვენს სოციალისტურ მშენებლობაში. ყრილობა ტაშით და სიცილით ხვდება სიტყვებს ჰიტლერის ავტომობილის შესახებ.

დასასრულ ამხანაგი ლიხაჩევი პირობას აძლევს საბჭოთა ყრილობას, რომ ამხ. სტალინის სახელობის ავტომობილის ქარხანა როგორც რაოდენობით, როგორც კომპლექტებით, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლებით შეასრულებს იმ პროგრამას, რომელიც მას მისცეს პარტიამ და მთავრობამ, ყრილობა ამხ. ლიხაჩევის ამ ვალდებულებას მქუხარე ტაშით ხვდება.

ამხ. ლიტვინოვი

(ურალი)

მოუთხრობს ყრილობას იმ წარმატებებს, რომლებსაც კალატინსკის სპილენძსადნობმა ქარხანამ უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში მიაღწია.

კალატინსკის ქარხანა თავის პროგრამას წლითიწლობით არ ასრულებდა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩვენს ქარხანაში ამხანაგი სერგო ჩამოვიდა, ქარხანა ახლებურად ამუშავდა. 1934 წელს ქარხანამ შეასრულა წლიური პროგრამა და ჩვენს ქვეყანას მისცა 12 ათასი ტონა სპილენძი. ჩვენ აამუშავეთ ყველა აგრეგატი, დავეუფლეთ ტექნიკას, გეგმაზე მეტად შევამცირეთ თვითღირებულება. ამხ. სტალინის და ორჯონიკიძის მითითებათა მტკიცედ და განუხრელად განხორციელებით, — ამთავრებს ამხ. ლიტვინოვი,—ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ 1935 წლის გეგმას არა თუ მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შევასრულებთ.

ყრილობა დიდი ინტერესით ისმენს შორეული კოლსკის ნახევარ-კუნძულის წარმომადგენელს

ამხ. კონდრიკოვს

— სოციალისტური საზოგადოების გამარჯვებამ ხურომძლევარმა, დიდმა სტალინმა,—ამბობს ამხ. კონდრიკოვი, — 1930 წელს ჩვენ დაგვისახა ამოცანა აგვეთვისებია შორეული ჩრდილოეთი, გამოგვეყენებია იგი სოციალიზმის ინტერესებისათვის, ამ წლების განმავლობაში ჩვენ, ბელადის დირექტივის შესრულების გზით, შევქმენით სამადნოები, ქარხნები, ფაბრიკები, ავაგეთ ახალი ქალაქები. ამ წლების განმავლობაში ჩვენს ქვეყანას მილიონობით ტონა აპატიტი მივეცით. ხაზგასმით აღნიშნავს რა განსვენებული სერგეი მირონის-ძე კიროვის განსაკუთრებულ ყურადღებას კოლსკის ნახევარ-კუნძულის ბუნებრივ სიმდიდრეთა დამუშავების საკითხებისადმი, ამხ. კონდრიკოვი ამბობს:

„ქ. კიროვსკი, ყოფილი ხიბინოგორსკი, კომუნიზმის საქმისათვის ამ უდიდესი მებრძოლის სახელის ღირსი უნდა იყოს. და ჩვენ ფიცს ვდებთ მისი ხსოვნის წინაშე —გადავაქციოთ ეს მხარე ნიკელის, სპილენძის, ალუმინის მხარედ, ლითონის მხარედ, დიდი სტალინის ხელმძღვანელობით, მძიმე მრეწველობის სარდლის ამხანაგ სერგო ორჯონიკიძის მეთაურობით, ჩვენ ამ ამოცანას შევასრულებთ, — ამთავრებს ამხ. კონდრიკოვი. მის სიტყვებს მთელი დარბაზი მქუხარე ტაშით ხვდება.

დიდი ყურადღებით ისმენს ყრილობა კუზბასის ქვანახშირის ტრესტის მმართველს

ამხ. პლეხანოვის

ცოცხალ, მკვეთრ გამოსვლას, ის მოგვითხრობს იმ განსაცვიფრებელ ცვლილებებზე, რომლებიც უკანასკნელი წლების განმავლობაში კუზნეცკის ალატაუს კალთებთან მოხდა. იმ მიდამოში, რომელიც წინათ თავისი უდაბურობით გვაშინებდა, ამჟამად დღედაღამე გაჩაღებული მუშაობაა. საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთში შექმნილია ჩვენი ქვეყნის ქვანახშირის მეორე ბაზა — კუზნეცკის ბასეინი, რაც ერთერთი დამამტკიცებელი საბუთია, თუ რა განუსაზღვრელი შესაძლებლობანი არსებობს საწარმოო ძალების აყვავებისათვის პროლეტარიატის დიქტატურის დროს. კუზბასის განვითარებაში ჩანს ამხანაგ სტალინის ბრძნული გამჭრიახობა. გასულ 4 წლის განმავლობაში კუზბასმა ჩვენს ქვეყანას მისცა 33 მილიონ ტონაზე მეტი ქვანახშირი. 1934 წელს მთავარმა სამადნოებმა, მაგალითად, პროკოპიევისამ. პროგრამა ვადაზე 36 დღით ადრე დაამთავრეს. კუზნეცკის ბასეინის მაგალითზე განსაკუთრებით ნათლად ჩანს წარმოებაში პირველად მოსულ ადამიანების გარდაქმნის შესანიშნავი პროცესი. შეიქმნა დამკვრელების, თავისი საქმის პირველხარისხოვანი ოსტატების საუცხოო არმია. მაღაროელები წარმატებით ეუფლებიან მექანიზაციას მექანიზებული ამოღება 1934 წელს შეადგენდა 62,5 პროცენტს. წელს იგი აყვანილი იქნება 75 პროცენტამდე. თვალსაჩინოთ გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. საჭრელი მანქანის საშუალო თვიური ნაყოფიერება კუზბასში უდრის 5 ათას ტონას, დონბასში კი მხოლოდ 2700 ტონას. ქვანახშირის საუკეთესო დამკვრელები, მაგალითად, შიშლიანიკოვი, საჭრელ მანქანაზე იძლევიან 14 ათას ტონას. ეს მსოფლიო რეკორდია. პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ კუზბასის მაღაროელებს ყველაზე მოწინავე ტექნიკა მისცეს. შემდგომი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ გავაუმჯობესოთ ამ ტექნიკის მართვა გამოყენება. ბევრი ნაკლი გვაქვს. ხშირად თვალში გვეცემა დაუდევრობა, ჭუჭყი. ბევრმა ჯერ კიდევ ვერ შეიგნო „წვრილმანების“ გადამწყვეტი მნიშვნელობა წარმოებაში.

კუზბასს დიდი დახმარება უნდა აღმოუჩინოს რკინიგზის ტრანსპორტმა. ამჟამად გასაზიდად ყრია დაახლოებით ერთი მილიონი ტონა ქვანახშირი. კუზბასის მაღაროელები ბოლშევიკური დაჟინებით იბრძოლებენ ამხ. სტალინის მიერ წამოყენებული ლოზუნგისათვის — გადავაქციოთ კუზბასი მეორე დონბასად,—ამთავრებს სიტყვას ამხ. პლეხანოვი.

კაზაკსტანის ინდუსტრიალიზაციის განვითარების გიგანტურ შესაძლებლობაზე მოახსენებს ყრილობას.

ამხ. ანდრონიკოვი

საბჭოების მე-6 ყრილობიდან მე-7 ყრილობამდე კაზაკსტანში შეიქმნა „ემბანავთი“, ტრესტი „ემბანავთი“ საგამოკვლევო წამოწყებიდან საექსპლოატაციო გაერთიანებად გადაიქცა. მას ჩვენი ქვეყნისათვის უკვე ასიათასობით ამოაქვს ნავთი. იზრდება საბჭოთა კავშირის ქვანახშირის მესამე ბაზა. ყარაგანდა, რომლის მარაგს 50 მილიარდი ტონის რაოდენობით ანგარიშობენ. ყარაგანდის ბასეინის მაღაროელებმა 1935 წელს უკვე მოგვცეს 2,5 მილიონი ტონა.

კაზაკსტანის წინაშე უმდიდრესი პერსპექტივა იშლება ფერადი მეტალურგიის განვითარებაში. ფერადი ლითონების მარაგი გამოკვლეული იქნა, უმთავრესად, საბჭოების მე-6 ყრილობის შემდეგ. აღმოჩენილია ახალი საბადოები: კოუნრადსკის, ძეზკაზგანსკის და სხვ. გაიშალა სპილენძის სადნობი მრეწველობის გიგანტის—ბალხაშის კომბინატის მშენებლობა. იგი წლიურად გამოუშვებს 100—125 ათას ტონა სპილენძს. უკვე წელს უნდა შევუდგეთ ქარხნის დაგეგმვას ძეზკაზგანის საბადოს ბაზაზე.

აუცილებლად საჭიროა წინ წავწიოთ ალტაის ბუნებრივ სიმდიდრეთა განვითარება. ამისათვის უნდა გამოვიყენოთ ირტიშის ენერგეტიკული სიმძლავრე.

კაზაკსტანის ინდუსტრიალიზაციასთან ერთად იზრდება პროლეტარიატიც. რესპუბლიკაში ითვლება 200 ათასზე მეტი მუშა, მათგან 40 პროცენტი კაზაკებია. უკვე უნდა მოვაგვაროთ მუშების კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება.

ამხ. რახმანოვის სიტყვა

აზერბაიჯანის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. უსეინ რახმანოვი

ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვების შედეგად, ინდუსტრიალიზაციის, რომელსაც ასე გენიალურად ატარებს ჩვენი პარტია, დიდი სტალინის მეთაურობით, საბჭოთა კავშირი გადაიქცა სოციალიზმის მიუვალ ციხე - სიმაგრედ. ჩვენი ქვეყნის ეს ისტორიული გამარჯვება შესაძლებელი გახდა კლასობრივი მტრების და მათი საზიზღარი აგენტურის — ყველა ჯურის ოპორტუნისტების განადგურების შედეგად. ამ ბრწყინვალე წარმატებებს ჩვენ მივაღწიეთ მხოლოდ დიდი სტალინის გენიალური ხელმძღვანელობის მეოხებით. დიდია მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის ამხ. ორჯონიკიძის როლი ჩვენი მძიმე მრეწველობის შექმნის, განმტკიცების და განვითარების საქმეში.

ამხ. სერგო თავის მოხსენებაში ლაპარაკობდა მანქანათმშენებლობის დარგში მიღწეულ ბრწყინვალე წარმატებებზე. ჩვენ, ბაქოელებს, რომლებიც ვალდებული ვართ მივსცეთ ჩვენს ქვეყანას ნავთი, გვესმის და სავსებით შეგნებული გვაქვს ჩვენზე დაკისრებული პასუხისმგებლობა. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, რომელიც თანდათანობით ვითარდება, უკვე უფრო გადიდებულ მოთხოვნებს უყენებს მრეწველობას. აზერბაიჯანის ნავთის მრეწველობას ძირითადი ადგილი უჭირავს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს თხევადი სათბობით მომარაგების საქმეში.

ბაქოს ნავთის საბადოები ჩვენს ქვეყანას აძლევენ საბჭოთა კავშირში ამოღებული მთელი ნავთის დაახლოებით 60 პროცენტს.

აზერბაიჯანის ნავთის მრეწველობამ თავის განვითარებაში დიდ წარმატებებს მიაღწია. დღეს იგი უკვე წარმოადგენს რეკონსტრუირებულ მრეწველობას მძლავრი ტექნიკური ბაზით.

მე მინდა მოვახსენო საბჭოების ყრილობას, რომ, თუ ბაქოს ნავთის მრეწველობის მუშებმა 1930 წელს ჩვენს ქვეყანას მისცეს 10.774 ათასი ტონა ნავთი, 1934 წელს მათ მისცეს 19.100 ათასი ტონა ნავთი (ტაში).

მე-6 და მე-7 ყრილობებს შორის განვლილ პერიოდში ბაქოს ნავთის მრეწველობის მუშაკებმა ნავთის ამოღება თითქმის 8½ მილიონი ტონათი გაადიდეს. ბაქოს ნავთის მრეწველობის მუშაკების ეს გამარჯვება შესაძლებელი გახდა იმის გამო, რომ მათ ყოველდღიურ დახმარებას უწევდა პირადად ამხ. სტალინი, რომელსაც აინტერესებდა ეს წარმატებანი და, რომელიც ზრუნავდა მათზე, აძლევდა რა მათ ყოველდღიურ მითითებებს, თუ როგორ უნდა ბრძოლა ნავთისათვის. ნავთისათვის ბრძოლაში გამოიზარდნენ და განმტკიცდნენ ბაქოს მუშათა რიგები. დაწინაურდნენ მრავალი ათეული საუცხოვო ინჟინრები ტექნიკოსები და ბურღვის ოსტატები. თავგანწირვით იბრძოდა ნავთისათვის ბაქოს მთელი ბოლშევიკური ორგანიზაცია ამხ. ბერიას და ბაგიროვის ხელმძღვანელობით. აზნავთის რეორგანიზაციამ, უფრო სწორად მისმა დაწვრილებამ, რომელიც ჩატარდა 1933 წლის დეკემბერში ამხ. სტალინის ინიციატივით, გადამწყვეტი გავლენა იქონია 1934 წელს ნავთისათვის ბრძოლის წარმატებაზე.

ჩვენ გუშინ ყურადღებით მოვისმინეთ ამხ. სერგოს მოხსენება, განსაკუთრებით მისი ის ადგილი, სადაც იგი ლაპარაკობდა აზნავთის მუშაობის დეფექტებზე. მე ვფიქრობ, რომ ამხ. სერგომ სრულიად სწორად აღნიშნა ის დიდი დეფექტები, რომლებიც მოიპოება აზერბაიჯანის ნავთის მრეწველობის მუშაობაში. ჩვენი ამოცანაა პრაქტიკული დასკვნები გამოვიყვანოთ ყოველივე იქიდან, რაც იყო ნათქვამი ნავთის მრეწველობის მუშაობის დეფექტების შესახებ და ვეცადოთ, რაც შეიძლება სწრაფად, რაც შეიძლება მალე აღმოვფხვრათ ისინი.

ნავთის მრეწველობაში ერთერთ სერიოზულ საკითხს, რომლის შესახებ გარკვეულად არის ნათქვამი საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებსა და ამხ. სტალინის პირად მითითებებში, და რომელიც ამხ. სერგომ დააყენა თავის მოხსენებაში, წარმოადგენს ბურღვის საკითხი. ბურღვის საკითხი ახლანდელ პირობებში წარმოადგენს გადამწყვეტ საკითხს ნავთისათვის ბრძოლაში. ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ შარშან ამხ. სტალინის ინიციატივით და ამხ. სერგოს უშუალო დახმარებით ნავთის მოწყობილობის დამამზადებელი ქარხნები რამდენადმე უფრო მეტად მობრუნდნენ პირით ნავთის მრეწველობისაკენ და ნავთის მოწყობილობის ხარისხმა 1934 წლიდან იწყო თვალსაჩინოდ გაუმჯობესება.

იმის გამო, რომ აზნავთის ტექნიკური მომარაგების საკითხები დაყენებულია სწორედ ისე, როგორც მე ვილაპარაკე, 1934 წელს აზერბაიჯანის ნავთის მრეწველობას ძირითადად არ დასჭირვებია საიმპორტო მოწყობილობა.

ჩვენ ძალიან კარგად გვაქვს შეგნებული ის უდიდესი პასუხისმგებლობა, რომელიც გვაწევს ჩვენ საბჭოთა ქვეყნისათვის თხევადი სათბობის მიწოდების საქმეში. დღეს ჩვენ ვუცხადებთ საბჭოების მე-7 ყრილობას, რომ პარტიის და მთავრობის მიერ ჩვენს წინაშე დასახულ ამოცანა—მივსცეთ ჩვენს ქვეყანას 1935 წელს 22 მილიონი ტონა ნავთი—ჩვენ შევასრულებთ საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, შენი ამხ. სერგო, პირადი დახმარებით და ა.-კ. სამხარეო კომიტეტის და პირადად ამხ. ბერიას ყოველდღიური კონკრეტული ხელმძღვანელობით. (ტაში).

ამხანაგებო, საბჭოთა აზერბაიჯანი და მთელი ამიერ-კავკასიის ფედერაცია მარტო ნავთით როდია მდიდარი. იმ წარმატებებმა, რომლებსაც მიაღწია ჩვენმა პარტიამ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში, თავისი გამოხატულება ჰპოვეს მთელი ამიერ კავკასიის და, კერძოდ, აზერბაიჯანის ინდუსტრიალიზაციაში.

ოქტომბრის რევოლუციამდე აზერბაიჯანს, ბაქოს ნავთის მრეწველობის გარდა, არავითარი სხვა მრეწველობა არ გააჩნდა. აბა, შეხედეთ დღეს, დღეს ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის სწორად გატარების შედეგად, ჩვენ საბჭოთა აზერბაიჯანში გვაქვს ახლად წარმოშობილი სამრეწველო ცენტრები. ჩვენ გვაქვს განჯის და ნუხის სამრეწველო ცენტრები, გვაქვს როგორც მძიმე, ისე მსუბუქი მრეწველობის მრავალი განვითარებული დარგების საბჭოთა აზერბაიჯანის სხვა პუნქტებშიაც.

მე მინდოდა წამომეყენებია საბჭოთა აზერბაიჯანის შემდგომი ინდუსტრიალიზაციის ზოგიერთი პრაქტიკული საკითხები.

საბჭოთა აზერბაიჯანს დიდი წარმატებები აქვს ელექტროფიკაციის საქმეში. ყველა მისი ელექტროსადგურის სიმძლავრე 190—195 ათას კილოვატს აღწევს. მაგრამ მრეწველობა რომელიც სწრაფად ვითარდება, გაძლიერებულ მოთხოვნებს აყენებს ელექტროენერგიაზე და ამ მხრივ უახლესი დროის პრაქტიკულ ამოცანას წარმოადგენს ჰიდროსადგურების მშენებლობა აზერბაიჯანში, რათა გამოვიყენოთ მისი უმდიდრესი ჰიდრო-ენერგეტიული შესაძლებლობანი.

შარშან ჩვენ დავიწყეთ ტერტერის ჰიდრო-სადგურის მშენებლობა. მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა ავღნიშნოთ, რომ ტერტერის ჰიდრო-სადგურის მშენებლობა ძალიან ნელი ტემპებით მიმდინარეობს (გამოტოვებულია). მე ვფიქრობ, რომ ამხ. სერგო, რომელიც საკმაოდ იცნობს ამ საკითხს, გაითვალისწინებს მას და 1935 წელს აღმოგვიჩენს აქტიურ დახმარებას. ტერტერის ჰიდრო-სადგურის მშენებლობა ჩვენ უნდა გავშალოთ უფრო გაძლიერებული ტემპებით.

აზერბაიჯანში ჩვენ გვაქვს ყოველგვარი პირობები, ყოველგვარი შესაძლებლობანი ალუმინის მრეწველობის შესაქმნელად. ჩვენ უკვე ავაშენეთ თიხნარის საცდელი ქარხანა განჯაში, რომელმაც ბრწყინვალე შედეგები მოგვცა ალუმინის მისაღებად განჯის ალუნიტების გამოყენების საქმეში. ალუმინის მრეწველობის განვითარების საკითხი წარმოადგენს ერთერთ სერიოზულ საკითხს იმ საკითხთაგან, რომლებიც დასახულია მძიმე მრეწველობის წინაშე. ამიტომ უნდა გადაწყდეს საკითხი აზერბაიჯანში განჯის ალუნიტების ბაზაზე ალუმინის კომბინატის მშენებლობის შესახებ.

რამდენიმე სიტყვა სინთეტიური კაუჩუკის ქარხნის შესახებ. ნავთის მრეწველობის არსებობა და ნავთის მრეწველობის ნარჩენების გამოყენების შესაძლებლობა აზერბაიჯანის პირობებში ქმნიან ხელსაყრელ მდგომარეობას მრეწველობის მთელი რიგი ახალი დარგების გაშლისათვის. მე მხედველობაში მაქვს ნავთის გაზების ნარჩენებიდან სინთეტიური კაუჩუკის მიღების შესაძლებლობა. შარშან დაიწყო სინთეტიურ კაუჩუკის საცდელი ქარხნის მშენებლობა, ეს ქარხანამ უნდა დაამზადოს კაუჩუკი ნავთის გაზის ნარჩენებიდან. ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ ქარხანაში ჩატარებული ცდები ხელსაყრელ შედეგებს მოგვცემენ და აზერბაიჯანში შეიქმნება სინთეტიური კაუჩუკის წარმოების ორგანიზაციის შესაძლებლობა.

და უკანასკნელი, რაზედაც მე დავამთავრებ ჩემს სიტყვას, ეს არის საბჭოთა აზერბაიჯანში მეტალურგიული მრეწველობის გაშლის შესაძლებლობანი. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ თუ აზერბაიჯანის პირობებში შეიქმნება მეტალურგიული ქარხანა დაშკესანის სამადნოების ბაზაზე, მაშინ ნავთის მრეწველობის მილებით, ლითონით მომარაგების საქმე დაყენებული იქნება კიდევ უფრო სწორ გზაზე. ამ მხრივ ჩვენ გვესაჭიროება დახმარება ჩვენ უნდა გადავსჭრათ საკითხი დაშკესანის სამადნოების ბაზაზე განჯაში მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის შესახებ.

ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა, რომელსაც ასე ბრწყინვალედ ახორციელებს ჩვენი დიდი პარტია გენიალური სტალინის მეთაურობით, უზრუნველყოფს ჩვენთვის ყველა პირობას, რათა კიდევ უფრო გაძლიერებით გამოვიყენოთ საბჭოთა კავშირის ნაციონალურ განაპირა მხარეების ბუნებრივი სიმდიდრენი და საშუალებას მოგვცემს მოვახმაროთ ეს სიმდიდრენი სოციალიზმის მშენებლობას.

ამხ. ზავენიაგინი

მაგნიტოგორსკის ქარხნის უფროსი

თავის სიტყვაში ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ განხორციელდა ურალ-კუზნეცკის კომბინატის შექმნის ამოცანა, რომელიც ამხ. სტალინმა დააყენა. მაგნიტოგორსკის გიგანტს—ამ კომბინატის შემადგენელ ნაწილს ახლა შეუძლია გაუტოლდეს მსოფლიოს ყოველ ინდუსტრ. გიგანტს. გასულ წელს მაგნიტოგორსკის და კუზნეცკის ქარხნის ბრძმედებმა გამოადნეს 2 მილიონი ტონა თუჯი. მაგნიტოგორსკის ქარხნის მშენებლობაში ამ წლების მანძილზე დაბანდებულია 1 მილიარდი მანეთი. გარდა ოთხი ბრძმედისა, მუშაობენ კოქს-ქიმიური კომბინატი, სამადნო, მარტენის საამქრო 9 ღუმელით, საგლინავ საამქროში ამუშავებულია 4 სტან-დაზგა.

წარმოებს მუშაობა მთელი ქარხნის მშენებლობის დასამთავრებლად. აქ ძირითადი სიძნელეა ტრანსპორტი. საკმაოდ ვერ ვღებულობთ საშენ მასალას. მიუხედავად იმისა, რომ ხეტყე უახლოეს რაიონებში მზადდება, გზათა სახალხო კომისარიატს იგი ვერ მოაქვს. უფრო სწრაფად უნდა გავიყვანოთ გზა მაგნიტოგორსკი—უფა. სათანადოდ უნდა დავაყენოთ საკოქე ქვანახშირის ამოღება კუზბასში. ცუდი კოქსი შლის საბრძმედე ღუმელების მუშაობას.

ამხ. ზავენიაგინი განსაკუთრებით ჩერდება ამხანაგ სტალინის მითითებებზე, რომლებიც მან მეტალურგებთან საუბრის დროს მოგვცა. მაგნიტკის პროლეტარები კისრულობენ ვალდებულებას, ერთი-ორად გაადიდონ ფოლადის და [illegible] გამოშვება. ისინი იბრძოლებენ იმისათვის, რომ ქარხანა ღირსი იყოს ატაროს დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის სახელი.

ყრილობის პირველი თებერვლის დილის სხდომაზე უკანასკნელი გამოდის სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ვ. ი. ჩუბარი.

ამხ. ჩუბარის გამოსვლის შემდეგ ყრილობის სხდომა დახურულად ცხადდება. ყრილობის დელეგატები დიდ თეატრში დაესწრნენ წითელარმიელთა თვითმოქმედების საღამოს.

ჩვენი ქვეყნის ძლიერება

„პრავდის“ მოწინავე 2/II

ამხანაგ ორჯონიკიძის მოხსენება საბჭოების მე-7 ყრილობაზე, რომელიც დღეს იბეჭდება, უეჭველად; წარმოადგენს სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ეპოქის ერთერთ ყველაზე უფრო მკაფიო დოკუმენტს. მასში საბჭოთა კავშირის ხალხები დაინახავენ იმის დამაჯერებელ და უდაო დამამტკიცებელ საბუთს, რომ ლენინის და სტალინის დიადი და ნაყოფიერი იდეები განხორციელდნენ და ახლა ისინი უკვე გადაიქცნენ თანამედროვეობის უძლიერეს მატერიალურ ძალად.

ამხ. ორჯონიკიძის მოხსენებაში მშრომელთა მასები დაინახავენ ჩვენი სამშობლოს ახალ ინდუსტრიალურ სახეს. მილიარდობით ანგარიში, რომელსაც ყრილობის ტრიბუნიდან აცხადებდა ამხ. ორჯონიკიძე და უურომლისოდაც შეუძლებელია ინდუსტრიის განსავითარებლად სახელმწიფოს მიერ დაბანდებული უდიდესი სახსრების გამოხატვა და იმ პროდუქციის გამოხატვა, რომლის მოცემასაც იგი იწყებს წლითი-წლობით მზარდი რაოდენობით.— ეს ანგარიში აღავსებს სიამაყითა და სიხარულით. სიამაყით,—ვინაიდან ჩვენმა ქვეყანამ ახლა სამუდამოდ მოუღო ბოლო სამრეწველო ჩამორჩენილობას და სილატაკეს. სიხარულით — ვინაიდან ახლა ჩვენთვის არ არის საშიში არავითარი განსაცდელი და სიძნელეები იმიტომ, რომ შეიქმნა უახლესი ტექნიკის ბაზა და აღიზარდნენ ადამიანთა ძვირფასი კადრები, რომელთა დახმარებით ჩვენ ძალგვიძს გადავსჭრათ ყოველგვარი. ისტორიის მიერ ჩვენს წინაშე დასახული ამოცანა.

ძველი რუსეთის ისტორია, როგორც ცნობილია, იწყება რუსეთის ხალხის უდიდესი ტრაგედიის აღწერით. ბუმბერაზ ხალხს მუხლი ეკვეცებოდა. იგი უმწეოდ იყრიდა მუხლს ვარიაგების წინაშე, აბარებდა რა მათ თავის ბედიღბალს. არ იყო არც ძალები, არც საშუალებანი, არც ბელადები, რომ გამოეყენებიათ და განევითარებინათ ქვეყნის სიმდიდრენი.

ეს ტრაგედია დამახასიათებელია არა მარტო უძველესი რუსეთის მმართველებისათვის. იგი არანაკლებ ეხებოდა უნიჭო მეფეებს და მთლიანად დამპალ ცარიზმსაც. ამიტომ ძველ რუსეთში უცხოეთის კაპიტალის ვარიაგები ამყარებდნენ ახალ წეს რუსეთის დიდ მიწაზე, ეწეოდნენ მისი სიმდიდრეების ექსპლოატაციას და უდიდესი ხალხის ძარცვას. იტალიელები და ბერძნები უშენებდნენ მას ეკლესიებსა და სამლოცველოებს. ჰოლანდიელები და დანიელები აშენებდნენ პირველ ბრძმედებს. ურალი და სამხრეთი— ინდუსტრიალიზაციის ეს დასაყრდენი ბაზები—ხელში ჩაიგდეს ინგლისელებმა, ფრანგებმა, გერმანელებმა რკინით მდიდარი და მიწის წიაღით უხვი რუსეთი შემოსილი იყო ხით, ჩალით მიძვრებოდა თიხის მიწურებში. დამახასიათებელია, რომ „ცარ პუშკა“, რომელიც დღემდეც კრემლში დგას და რომელიც თავის დროზე მოწოდებული იყო გამოეხატა მეფეების სამხედრო ძლიერება, ჩამოსხმულია საზღვარგარეთიდან შემოტანილი თუჯისაგან.

ომამდე შავ მეტალურგიაში დაბანდებული თანხების თითქმის სამი მეოთხედი უცხოეთის იყო, ამიტომ ძველი რუსეთი არაერთხელ აღმოჩნდა ნაცემი თავის ისტორიულ გზაზე.

ხოლო ჩვენ—ახალ ხელისუფლებას და ახალ საზოგადოებას—არ გვსურს ვიყოთ ნაცემი. ჩვენ ისეთი პარტია და ქვეყანა ვართ, რომელმაც ჩვენი არსებობით და ჩვენი წარმატებებით ვამცნეთ მსოფლიოს კაცობრიობის ახალი ეპოქის დადგომა. ჩვენს წინაშე ისტორიამ დასახა მხოლოდ ერთი ამოცანა: გავიმარჯვოთ. სახელმწიფო ძალაუფლება და მასთან ერთად ჩვენი ხალხის მთელი ბედიღბალი ხელში აიღო ბოლშევიკების პარტიამ. მან განაახლა, აალორძინა და ღრმად საფუძვლებამდე გარდაქმნა ჩვენი ქვეყანა, შეუქმნა რა მის ეკონომიკას სოციალიზმის უძლიერესი ინდუსტრია. მან ჩვენი ქვეყნის ხალხის ექსპლოატატორებისა და მტრებისათვის წარმოუვალ საზღვრებს შემოაკრა ფოლადის ჯავშანი.

12 წლის წინათ კომინტერნის მეოთხე კონგრესზე ლენინი ამბობდა: „კაპიტალისტურ ქვეყანას მძიმე მრეწველობის გასაუმჯობესებლად დასჭირდებოდა რამდენიმე ასეული მილიონის სესხი. უურომლისოდაც გაუმჯობესება შეუძლებელი იქნებოდა. კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიური ისტორია ადასტურებს, რომ ჩამორჩენილ ქვეყნებში მხოლოდ გრძელვადიანი ასმილიონიანი სესხები დოლარებით ან ოქროს მანეთობით შესძლებდნენ გამხდარიყვნენ მძიმე მრეწველობის აღმავლების საშუალებად. ჩვენ ეს სესხები არ გვქონდა და ჩვენ დღემდისაც არაფერი მიგვიღია“.

სოციალიზმის ინდუსტრია ჩვენ ავაშენეთ მხოლოდდამხოლოდ ჩვენი საკუთარი სახსრებით. პროლეტარიატის ხელისუფლებამ შესძლო უპოვა თავის ქვეყანაში უდიდესი სახსრები იმისათვის, რომ აეშენებია სოციალიზმის ეკონომიკა. მარტო უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში მძიმე მრეწველობაში დაბანდებულია 30 მილიარდზე მეტი მანეთი. ამის შედეგად მძიმე მრეწველობის ძირითადი ფონდები თითქმის 29 მილიარდამდე გაიზარდა.

შეადარეთ ეს შესანიშნავი ციფრები იმ 20 მილიონ მანეთს, რომლებსაც ლენინი მსოფლიო პროლეტარიატის წარმომადგენლების წინაშე 1923 წელს უწონიდა პირველ დიდ თანხას მძიმე მრეწველობის აღსადგენად, და ნათელი გახდება ის უდიდესი გაქანება, რომელიც განახორციელა ჩვენმა ქვეყანამ უკანასკნელი 10—12 წლის განმავლობაში.

ზრუნვა სოციალიზმის ინდუსტრიაზე ახლა უკვე იძლევა თავის ნაყოფს, რომელსაც დიდიხანია მოველოდით. შარშან მძიმე მრეწველობის პროდუქციამ 20 მილიარდ მანეთს გადააჭარბა. ეს — სასიხარულო ციფრია. ამ ციფრში ჩვენი ქვეყნის მშრომელები თვალნათლივ ხედავენ თავისი სამშობლოს ინდუსტრიალურ ძლიერებას. გასულ წელს საბჭოთა კავშირმა მეორე ადგილი დაიკავა მსოფლიოში თუჯის წარმოების მხრივ, მესამე ადგილი ფოლადის წარმოების მხრივ, მეორე ადგილი ელექტროფოლადის წარმოების მხრივ, მეორე ადგილი მსოფლიოში მეტალურგიის და ხარისხოვანი ფოლადის სიმძლავრის მხრივ. ამან უზრუნველყო ჩვენთვის მანქანათმშენებლობის ისეთი გაშლა, რომ მისი პროდუქციის მხრივ ჩვენ მეორე ადგილი დავიკავეთ მსოფლიოში, ხოლო ტრაქტორების მხრივ—პირველი ადგილი.

ამ ფაქტების მნიშვნელობა ხაზგასმით აღნიშნა ამხანაგმა სტალინმა დეკემბერში მეტალურგებთან საუბრის დროს:

„ახლა ხომ უკვე არ შეიძლება იმის თქმა რომ ჩვენ „ხის“ ქვეყანა ვართ. ჩვენ ახლა ლითონის ქვეყანა ვართ“. დიახ, საბჭოთა კავშირი გახდა ლითონის ქვეყანა, და ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენს ქვეყანას ხელმძღვანელობას უწევდნენ ბოლშევიკები—რევოლუციის ეს მაღალხარისხოვანი ფოლადი. საბჭოთა კავშირი გადაიქცა ლითონის ქვეყნად და უძლეველად მხოლოდ იმიტომ, რომ მას წინამძღოლობს სტალინი.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება, რომელიც დღეს ქვეყნდება, ნათელ შუქს ფენს იმ ცვლილებებს, რომლებიც მოხდა ჩვენს ქვეყანაში ინდუსტრიალიზაციის და კოლექტივიზაციის ლენინური პოლიტიკის გამარჯვებასთან დაკავშირებით. საბჭოთა კავშირი, ისე როგორც არასოდეს, მტკიცეა ახლა თავისი სამეურნეო ძლიერებით, საბჭოთა ხელისუფლების გარშემო მშრომელი მასების შემჭიდროებით.

ახალი სოციალისტური ინდუსტრიის შექმნა, კულაკობის განადგურება, საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვება, სოციალისტური საკუთრების, როგორც საბჭოთა საზოგადოების საფუძვლის, განმტკიცება, მშრომელთა მილიონების უსაზღვრო ერთგულება საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობისადმი — ყოველივე ეს საშუალებას აძლევს პარტიას შეიტანოს საბჭოების მე-7 ყრილობაზე წინადადება საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის ზოგიერთ ცვლილებათა საჭიროების შესახებ.

„ჩვენს კონსტიტუციაში თავისი გამოხატულება უნდა ჰპოვოს ერთი მხრით საბჭოთა დემოკრატიზმის ბოლომდე განვითარების ამოცანებმა, სახელმწიფოს მართვა - გამგეობაში მშრომელთა მონაწილეობის როგორც ძველი, ისე ახალი ფორმების განვითარების ამოცანებმა. ახალი, სოციალისტური საზოგადოების წარმატებათა მთლიანად გამოხატვა ჩვენს კონსტიტუციაში,მისი გადაქცევა საბჭოთა დემოკრატიზმის შემდგომი ყოველმხრივი განვითარების საფუძვლად, და ამით მთელი სოციალისტური მშენებლობის პერსპექტივის განსაზღვრა—ასეთია ჩვენი“ ამოცანა“. (ვ. მოლოტოვი).

იწყება საბჭოთა დემოკრატიის ახალი ეპოქა. იგი—შედეგია იმის, რომ „ნეპური რუსეთი გადაიქცა სოციალისტურ რუსეთად“.

◆

კამათი ამხ. მოლოტოვის მოხსენების გარშემო

ამხ. კრუტოვის სიტყვა

შორეული აღმოსავლეთის უდიდეს წარმატებებზე მოუთხრობს ყრილობას ამხ. კრუტოვი. მხარეში შენდება ახალი ქალაქები, როგორიცაა კომსომოლსკი თავისი გემთმშენებელი და საავიაციო ქარხნებით, ტაიგასა და კლდოვან მთებში გაგვყავს უსურიის რკინის გზის მეორე ხაზი, წარმატებით მუშაობენ მოლოტოვის და ვოროშილოვის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნები, სწრაფად ვითარდება თევზის მეურნეობა და საკონსერვო მრეწველობა. წარმოებს დაძაბული ბრძოლა ნავთის და ქვანახშირის საბადოების ათვისებისათვის; ელექტროენერგიის გამომუშავება უკანასკნელ პერიოდში ერთი-სამად გაიზარდა. გლეხურ მეურნეობათა 63 პროცენტზე მეტი, გაერთიანებული კოლმეურნეობებში, ამუშავებს მთელი საკოლმეურნეო-გლეხურ სექტორის ნათესი ფართობის 87 პროცენტს. უკანასკნელ წლებში სოფლის მეურნეობამ მიიღო დიდი ტექნიკური აღჭურვილობა—ტრაქტორები, კომბაინები და ავტოტრანსპორტი. საკოლმეურნეო მინდვრებზე მიმდინარე წლის საგაზაფხულო თესვის დროს იმუშავებს 75 მტს-ი.

იაპონიის, ჩინეთის, კორეის, მანჯურიის გლეხობის მათხოვრულ მონურ შრომას საბჭოთა შორეულ აღმოსავლეთში უპირისპირდება მექანიზაცია და კოლმეურნეობის ბედნიერი, სასიხარულო შრომა. მარტო მემინდვრეობის საერთო პროდუქცია 1934 წელს გაიზარდა 90 მილიონ მანეთამდე, 1926—1927 წლის უცვლელ ფასებში, კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს სამი მილიონი ფუთი პური.

საბჭოთა კავშირის საზღვრებს წყნარი ოკეანის ნაპირებზე,—განაგრძობს ამხ. კრუტოვი,—ფხიზლად იცავენ შორეულ აღმოსავლეთის განსაკუთრებული წითელდროშოვანი არმიის მეომრები და ვერცერთი თეთრგვარდიული ქვეწარმავალი ვერ გადმოძვრება ჩვენს ტერიტორიაზე. დაე, ახსოვდეთ ჩვენს მტრებს „სპასკის საიერიშო ღამეები, ვოლოჩაევსკის დღეები“! დაე კარგად დაიხსომონ, რომ მხარის მშრომელები საბჭოთა შორეულ აღმოსავლეთს დაიცავენ ზღვიდან, ხმელეთიდან და ჰაერიდან!

მხარის სიმდიდრენი,—ამთავრებს ამხ. კრუტოვი ტაშის ქვეშ,—ჩვენ გამოვიყენეთ სოციალიზმის მშენებლობისათვის და ჩვენ გავიმარჯვებთ, რადგან წინ მიგვიძღვის საყვარელი და ბრძენი ბელადი ამხანაგი სტალინი.

ამხ. ანტიპოვის სიტყვა

შემდეგ გამოდის ამხ. ანტიპოვი (საბჭოთა კონტროლის კომისია), ამხანაგ სტალინის წინადადებით,—ამბობს იგი,—პარტიის მე-17 ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება საკონტროლო ორგანოების მუშაობის გარდაქმნის შესახებ. მათ წინაშე დასახულ იქნა შესაძლო გარღვევების თავიდან აცილების ამოცანა.

უკანასკნელ დროს საბჭოთა კონტროლის კომისიამ დააწესა თვალყურისდევნება იმისთვის, თუ როგორ სრულდება საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება შრომის ხელფასის თვითნებურად მომატების დაუშვებლობის შესახებ ვაჭრობის სისტემის გარდაქმნასთან დაკავშირებით, ჩვენ გამოვარკვიეთ, რომ ზოგიერთმა ორგანიზაციამ, კერძოდ „სოიუზუტილმა“, „ზაგოტსკოტმა“ და სხვ., [illegible] გადააქციეს თავისი აპარატის მუშაკებისათვის შრომის ხელფასის გადიდების სისტემად. გამორკვეულია, რომ „სოიუზუტილმა“ 1934 წელს ამ გზით დახარჯა 800 ათასი მანეთი.

კონტროლის ორგანოებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს პურის, ფქვილის და ბურღულის ფართო ვაჭრობის გაშლისათვის მზადების პერიოდში. ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ ახალი სავაჭრო წერტილების მოწყობის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა.

ამჟამად საბჭოთა კონტროლის კომისია აწარმოებს მოსკოვში არსებულ წარმომადგენლობათა გამოკვლევას. შედეგად გამოირკვა, რომ 170 წარმომადგენლობის ნაცვლად, რომლებიც დამტკიცებულია საკავშირო სახკომსაბჭოს მიერ, მათი რიცხვი მოსკოვში 700-მდე აღწევს. ამ წარმომადგენლობათა მუშაკების პირად შემადგენლობაში საკმაოდ მოიპოვებიან ყულაკური, სპეკულატიური ელემენტები და ჩვენ მოგვიხდება მკაცრი ზომების მიღება იმ წარმომადგენლობათა და ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც მათ ქმნიან.

ეხება რა „სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების კონტროლის საკითხებს, ამხ. ანტიპოვი აღნიშნავს მსუბუქი მრეწველობის არადამაკმაყოფილებელ მუშაობას, რომელმაც, საგრძნობი რაოდენობით მიიღო რა ახალი მოწყობილობა, არ გამოიყენა ყველა შესაძლებლობა პროგრამის შესრულებისათვის.

მოწყობილობას ცუდად იყენებენ: 1934 წლის ივნისში მოსკოვის წითელი არმიის და ფლოტის სახელობის საფეიქრო ფაბრიკაში თვითეული დაზგის ქვეშ აღმოჩნდა 20 კილოგრამამდე ჭუჭყი. შეეხო რა წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის მუშაობას, ამხ. ანტიპოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა უკეთ გამოყენებულ იქნას ამ წლების განმავლობაში მიღებული რესურსები.

დასასრულ ამხ. ანტიპოვმა მიუთითა, რომ ადგილობრივმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ ზრუნვა ცოცხალ ადამიანზე, მეტი ყურადღება მიაქციონ მის კულტურულ მოთხოვნილებებს და საყოფაცხოვრებო საჭიროებებს.

ამხ. ანტიპოვის გამოსვლით დამთავრდა კამათი მთავრობის საანგარიშო მოხსენების გარშემო.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოში

ამხ. კუიბიშევის ხსოვნის უკვდავსაყოფად

საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა კუიბიშევის სამხარეო აღმასრულებელი კომიტეტის და სამხარეო პროფსაბჭოს დადგენილება ღონისძიებათა შესახებ ამხ. კუიბიშევის ხსოვნის უკვდავსაყოფად.

ქალაქ კუიბიშევში (ყოფილი ქალაქი სამარა) გადაწყვეტილია მოხდეს სახელწოდებათა შემდეგი შეცვლა: საბჭოთა ქუჩას გადაერქვას კუიბიშევის ქუჩა, სარკინიგზო სარემონტო ქარხანას და ინდუსტრიალურ ინსტიტუტს დაერქვას ამხ. ვ. ვ. კუიბიშევის სახელი.

კროტოვის რაიონს გადაერქვას კუიბიშევის რაიონი და სამარის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობას — კუიბიშევის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობა.

გარდა ამისა სამხარეო აღმასკომთან გადაწყვეტილია დაარსდეს ამხ. კუიბიშევის სახელობის 5 სტიპენდია (ადს).

დავაჩქაროთ მზადება

გაზაფხულის სას. სამ. კამპანიისათვის

ზამთარი დაულეველი ჰგონიათ

(საკ. კორესპონდენტისაგან)

ქობულეთის რაიონში მთელ რიგ სასოფლო საბჭოებს, საბჭოთა მეურნეობებს და კოლმეურნეობებს ჯერ კიდევ არ დაუწყიათ მზადება გაზაფხულის სას.-სამეურნეო კამპანიისათვის.

რაიონში სულ შესაკეთებელია 9 ტრაქტორი (კაპიტალურ რემონტს მოითხოვს 5, მიმდინარეს — 4), 100 გუთანი, 8 ფარცხი, 3 კულტივატორი, 2 სათესი მანქანა და სხვა წვრილი ინვენტარი.

18 იანვრისათვის მანქანა-იარაღების რემონტი არ იყო დაწყებული. რაიმიწგანი იმის მოლოდინშია, რომ სარემონტო ბრიგადებს აჭარმიწსახკომი გამოგზავნის. ამიტომ თავს არ იწუხებს მანქანა-იარაღების ადგილობრივი საშუალებებით შეკეთებისათვის. მხოლოდ თითო-ოროლა კოლმეურნეობებმა დაიწყეს თავიანთი ინვენტარის შეკეთება.

ხუცუბნის სას. საბჭოს (თავმჯდომარე ამხ. დუმბაძე) 15 იანვრისათვის არც კი ჰქონდა აღრიცხული შესაკეთებელი ინვენტარი. ამაში არც მუხა-ესტატეს სას. საბჭო ჩამორჩა (თავმჯდომარე ამხ. შ. ლაზიშვილი). აქ არ არის გამორკვეული, თუ რა რაოდენობის მანქანა-იარაღებია შესაკეთებელი.

ლელვას სას. საბჭოს ხელმძღვანელ ამხანაგებს დაავიწყდათ პლანტაციების შემოკავება, რის გამო ერთპიროვნული პლანტატორების—მურად ანანიძის, ახმედ რომანიძის და მეჯიდ რომანიძის ჩაის პლანტაციებს პირუტყვი ანადგურებს.

საგაზაფხულო მზადების საქმეში უყურადღებობას იჩენს გურანის საბჭოთა მეურნეობის დირექცია (დირექტორი ამხ. ჯაყელი). უპატრონოდ გდია მეურნეობის ტრაქტორი, რომელიც კაპიტალურ შეკეთებას მოითხოვს. სხვა მანქანა-იარაღების ცალკე ნაწილები ისე ერთმანეთში არეული, რომ მას [illegible] ვერ გაარჩევს. ამ მეურნეობის ხელმძღვანელები უპასუხისმგებლოდ აცხადებენ: „რა გვეჩქარება, ხომ ხედავთ მთები ჯერ თოვლით არის დაფარულიო“.

კვირიკეს ლიმონმანდარინის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი ამხ. ულენტი) გაზაფხულზე უნდა გააშენოს ტუნგოს პლანტაცია 5 ჰექტარზე, უნდა მოაწყოს ქარსაცავი ზოლები 5 კილომეტრის მანძილზე, 14 ჰექტარზე უნდა ჩაატაროს ციტრუსების რემონტი. (ახლად დარგეს 8085 ძირი მანდარინი), პლანტაციებში შეიტანოს 800 ტონა ნაკელი.

მაშინ, როდესაც მოწინავე საბჭოთა მეურნეობებმა უკვე მოიმარაგეს გაზაფხულისათვის ორგანიული სასუქი (მუხა-ესტატეს ლიმონმანდარინის მეურნეობა), კვირიკეს მეურნეობის დირექციას ხელიც არ გაუნძრევია ლანჩხუთის რაიონში დამზადებული ნაკელის გადმოსაზიდად. აქაც, როგორც გურანის საბჭოთა მეურნეობაში, ამბობენ, რომ გაზაფხულისათვის მზადება ადრეა, გეგმას მაინც შევასრულებთო.

საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელების ამ მავნე განწყობილებებს გადაჭრით ბოლო უნდა მოეღოს. ქობულეთის პარტრაიკომმა საგაზაფხულო სას.-სამ. კამპანიისათვის მზადებას მტკიცედ უნდა მოჰკიდოს ხელი და ხელმძღვანელობის გაძლიერებით უზრუნველჰყოს ჩამორჩენის სასწრაფოდ გამოსწორება.

პ. კეკელია.

რას ფიქრობს კასპის რაიმიწგანი?

სადირექტივო ორგანოების დადგენილებით, კასპის რაიონის კოლმეურნეობებში მოსავლის საბოლოო განაწილება და წლიური ანგარიშების შედგენა 15 იანვრისათვის უნდა დამთავრებულიყო. მაგრამ რაიმიწგანისა და მტს-ის დირექციის მოუქნელი მუშაობის შედეგად, 70 კოლმეურნეობიდან 19 იანვრისათვის წლიური ანგარიშების შედგენა მხოლოდ 26 კოლმეურნეობაში იყო დამთავრებული.

რაიმიწგანმა მოსავლისა და შემოსავლის განაწილების გეგმები 30 კოლმეურნეობას დაუმტკიცა. დანარჩენ 40 კოლმეურნეობას 19 იანვრისათვის დასამტკიცებლად წარმოდგენილი არ ჰქონდა არც წლიური ანგარიშები და არც მოსავლის და შემოსავლის განაწილების ცხრილები.

სადაც სოფლად მიმაგრებულმა პასუხისმგებელმა ამხანაგებმა და კოლმეურნეობების გამგეობებმა ბოლშევიკურად შეაფასეს აღნიშნულ სამუშაოების მნიშვნელობა, იქ დროზე და მაღალხარისხოვნად დაამთავრეს როგორც წლიური გეგმების შედგენა, ისე მოსავლისა და შემოსავლის საბოლოო განაწილება. ასეთია კასპის კოლმეურნეობა „ძმობა“ (თავმჯდომარე ამხ. მერებაშვილი), აგრეთვე სოფ. წითელქალაქის, გამდლის — წყაროს, მეტეხის, თეძმისხევი და ერთაწმინდის კოლმეურნეობები.

რაიკომმა სასოფლო საბჭოებს მიამაგრა საანგარიშო დარგის მუშაკები. ზოგიერთი მიმაგრებული არც კი წასულა კოლმეურნეობებში სამუშაოდ. ეს იციან რაიმიწგანმა და მტს-ის დირექციამ, მაგრამ ამის წინააღმდეგ რატომღაც ზომებს არ იღებენ.

მოსავლისა და შემოსავლის გეგმების შედგენის ყველა ვადა ამოიწურა. აღნიშნული სამუშაოები კი კასპის რაიონში 40 პროცენტითაც არ არის შესრულებული.

კასპის რაიკომი საჩქაროდ უნდა ჩაერიოს საქმეში მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ალ. სილაძე

უცხოეთის პრესის გამოხმაურება
საბჭოების მე-7 საკ. ყრილობაზე

საფრანგეთი

პარიზი, 1 თებერვალი. ტუხაჩევსკის გამოსვლამ საბჭოების ყრილობაზე მეტად ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა საფრანგეთში.

„ერ ნუველი“ წერს:

„საბჭოთა კავშირი, რომლის თანამშრომლობამაც საფრანგეთთან და ჩვენს მეგობარ მოკავშირეებთან ცენტრალურ ევროპაში უკვე მოიტანა ესოდენი სარგებლობა საერთაშორისო მშვიდობიანობის საქმისათვის, თავისი საგარეო პოლიტიკის ყველა აქტში ატარებს იდეას, რომლითაც ჩვენ ყოველთვის ვხელმძღვანელობდით და რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ განამტკიცოს მშვიდობიანობა უშიშროების უზრუნველყოფის გზით. ურყევ ნებისყოფას ისეთი საშუალებების გამოძებნისაკენ, რომელთაც შეეძლებოდათ მშვიდობისმოყვარე ქვეყნების უშიშროების უზრუნველყოფა, საბჭოთა კავშირი ამჟღავნებდა ყველა თავის პაქტში თავდაუსხმელობის შესახებ, რომლებზეც კი მას ხელი მოუწერია თავის მეზობლებთან, აგრეთვე პაქტებში აგრესორის განსაზღვრის შესახებ, რომელთა ავტორიც იგია. ბოლოს, საბჭოთა კავშირი ამჟღავნებს ამ თავის ნებისყოფას განუწყვეტელ ღონისძიებებში, რომლებიც მიმართულია აღმოსავლეთის პაქტის განხორციელებისაკენ, რასაც იგი განიხილავს, როგორც აბსოლუტურ აუცილებლობას, განსაკუთრებით თუ გერმანია უარს იტყვის მასთან შეერთებაზე. უშიშროების ეს აუცილებლობა, რასაც საბჭოთა კავშირი განიცდის ნაციონალ-სოციალისტური გერმანიის უჩვეულო შეიარაღებათა გამო, გამოიხატება აგრეთვე განუწყვეტელ საქმიანობაში, რომელსაც იგი მრავალი წლების განმავლობაში ატარებს წითელი არმიის განსავითარებლად, მისთვის მტკიცე ორგანიზაციის და გაუმჯობესებულ ტექნიკურ საშუალებათა მისაცემად“.

„რესპუბლიკი“ წერს, რომ საბჭოთა კავშირი გრძნობს საფრთხეს თავის აღმოსავლეთ და დასავლეთ საზღვრებზე.

„ამის გამო საბჭოთა კავშირი გადაიქცა პირველი რანგის სამხედრო და საჰაერო სახელმწიფოდ“.

მოჰყავს რა ნაწყვეტები **ტუხაჩევსკის** სიტყვიდან, გაზეთი მიუთითებს, რომ წითელი არმია შედგენილია

„ფიზიკურად ძლიერ, მაძღარ, კარგად გაწვრთნილ ადამიანთაგან, რომელნიც აღფრთოვანებული არიან ღრმა იდეით, და ასეთი არმია წარმოადგენს ჩინებულ საშუალებას თავდაცვისათვის და საუცხოო იარაღს შეტევისათვის“.

შემდეგ, გაზეთი ფიქრობს, რომ საბჭოთა კავშირის საზღვაო ძლიერება ჯერ კიდევ არასაკმაოა და რომ მას ჯერ კიდევ ხანგრძლივი განვითარება ესაჭიროება,

„მაგრამ არმიას, ცხადია, ფრიად სერიოზული წარმატებები აქვს და საბჭოთა ყუმბარმტყორცნი ავიაცია საჭიროების შემთხვევაში ისეთი ძალა იქნება, რომლის არასათანადოდ შეფასება არ შეუძლიათ არც ტოკიოს, არც ბერლინს“. (ტასი).

ჩეხო-სლოვაკია

პრაღა, 1 თებერვალი. გაზეთებს დაწვრილებით მოჰყავთ **ტუხაჩევსკის** სიტყვა საბჭოების ყრილობაზე. წერილში სათაურით „წითელი არმია მზად არის“ **„ლიდოვე ნოვინი“** ხაზგასმით აღნიშნავს, რომ წითელი არმია დარწმუნებულია თავის ძალებში. თუმცა ტუხაჩევსკი მხოლოდ ფაქტით შეეხო ქიმიური თავდაცვის საკითხებს, წერს გაზეთი, მაგრამ ეჭვს გარეშეა, საბჭოთა კავშირი, ნედლეულის დიდი მარაგის არსებობისა და ქიმიური მრეწველობის ძლიერი განვითარების გამო, ამ მხრივაც მთლიანად მომზადებულია. გაზეთის აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტუხაჩევსკის ცნობები საბჭოთა კავშირის ავიაციის შესახებ, რომლებიდანაც ჩანს, რომ საბჭოთა ავიაცია ერთერთ საუკეთესოა მსოფლიოში.

„ლიდოვე ნოვინი“ ფიქრობს, რომ საბჭოთა ავიაციის სიძლიერე უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში ექვსჯერ გაიზარდა. გაზეთი ხაზს უსვამს საბჭოთა კავშირის სამხედრო ძალების თავდაცვით ხასიათს, რასაც, მისი აზრით, ყველაზე უკეთ ადასტურებს ტიპები სამხედრო-საზღვაო გემებისა, რომლებიც საბჭოთა კავშირში შენდება. ესენი არიან საგუშაგო გემები, გამანადგურებლები და წყალქვეშა ნავები. თუ ამას დავუმატებთ სანაპირო სიმაგრეებს, წერს გაზეთი „დავინახავთ, რომ საბჭოთა კავშირის საზღვაო თავდაცვის ძალებიც საკმარისია, რომ უკუაქციონ მეტად ძლიერი ფლოტის თავდასხმები. წერილი თავდება ასე:

„რამდენადაც 5 დეკემბრის ოქმი (ოქმი ჩეხოსლოვაკიის შეერთების შესახებ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმებასთან) წარმოადგენს სავალდებულო ხელშეკრულებას, ჩეხოსლოვაკიას შეუძლია თვლიდეს თავის თავს, რომ ჰყავს ასეთი ძლიერი მოკავშირე“ (ტასი).

ჩინეთი

შანხაი, 1 თებერვალი. კომენტარიებს უკეთებს რა ამხ. **მოლოტოვის** მოხსენებას, **„ჩაინა პრესი“** წერს:

„მოლოტოვმა დაადასტურა ის, რომ საბჭოთა კავშირის, როგორც საყოველთაო მშვიდობიანობის მტკიცე ფაქტორის როლი ამჟამად ფართოდ არის აღიარებული“.

ხაზს უსვამს რა იმას, რომ ამჟამად საბჭოთა კავშირი განიხილება შორეულ აღმოსავლეთში როგორც განმამტკიცებელი ფაქტორი, გაზეთი წერს, რომ

„იაპონიისადმი უნდობლობას, რაზეც მოლოტოვი ასე აშკარად ლაპარაკობდა თავის მოხსენებაში, გრძნობენ სხვა სახელმწიფოებიც“.

მიუხედავად შენიშვნებისა ზოგიერთ წრეებში, წერს შემდეგ გაზეთი, საბჭოთა კავშირისადმი უფრო მეტი ნდობა არსებობს, ვიდრე იაპონიისადმი. მაშინ როდესაც იაპონია, განაგრძობს გაზეთი, მუდამ კარგავდა მეგობრებს, დაწყებული 1931 წლიდან, საბჭოთა კავშირი იძენდა მეგობრებს და გადაიქცა ერთა ლიგის კოლექტიური სისტემის მძლავრ მომხრედ, რომელზეც ამჟამად იაპონიამ უარი თქვა. (ტასი).

ბულგარეთი

ლონდონი, 1 თებერვალი. როგორც სოფიიდან იტყობინებიან, ბულგარეთის პრესა ათავსებს მოლოტოვის მოხსენების ვრცელ ანგარიშს. (ტასი).

ინგლის-საფრანგეთის წინასწარი შეთანხმება

პარიზი, 1 თებერვალი. საფრანგეთის პრესა აცხადებს, რომ ხმები, თითქოს ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება უკვე მიღწეული იყოს, ნაადრევია. გაზეთების სიტყვით, სინამდვილეში მიღწეულია მხოლოდ წინასწარი შეთანხმება ზოგადი და მეტად ბუნდოვანი პრინციპების შესახებ, რომელთა გარშემოც იწარმოებს მოლაპარაკება. მთელი რიგი გაზეთები აცხადებენ, რომ ამ შეთანხმებას მიზნად აქვს ერთგვარად დააკმაყოფილოს ინგლისისა და საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი, თუ მოლაპარაკება არსებითად მარცხით დამთავრდება. შეთანხმების დედააზრი შემდეგია. არცერთ სახელმწიფოს უფლება არა აქვს ცალმხრივი აქტის საშუალებით დაარღვიოს სამშვიდობო ხელშეკრულებანი და, მაშასადამე, გერმანიის შეიარაღებანი ჩაითვლება უკანონოდ, ვიდრე ვერსალის ხელშეკრულების ომის შესახებ მუხლები შეცვლილი არ იქნება საერთო კონვენციით შეიარაღებათა შეზღუდვისა და კონტროლის შესახებ. სახელმწიფოთა 1932 წ. 1 დეკემბრის დეკლარაცია შეიარაღებაში გერმანიის თანასწორობის შესახებ რჩება ძალაში, მაგრამ მისი განხორციელება უნდა ხდებოდეს მხოლოდ ზემოაღნიშნული კონვენციის დადების შედეგად. საფრანგეთი და ინგლისი, ამ შეთანხმების საფუძველზე, ურჩევენ სხვა სახელმწიფოებს გამოიყენონ უშიშროების რეგიონალური პაქტები, აღმოსავლეთის პაქტი, რომის შეთანხმებანი და სხვ. — როგორც ევროპის დამშვიდების საშუალებანი. ამასთან შეთანხმებაში, ეტყობა, ლაპარაკია არა პირდაპირ აღმოსავლეთის პაქტზე ან რომის შეთანხმებებზე, არამედ იმაზე, რომ აუცილებელია გამომუშავება ევროპის პაქტისა, რომელმაც უნდა მოიცვას უშიშროების რეგიონალური პაქტები. ასეთია, პრესის სიტყვით, ინგლის-საფრანგეთის წინასწარი შეთანხმება, რომლის ფარგლებშიც გაიშლება ლონდონის მოლაპარაკება. საფუძველს არ არის მოკლებული მთელი რიგი გაზეთების მითითება, რომ ეს შეთანხმება არსებითად არაფერს არა სცვლის. საკითხი ის არის, თუ რა რეალური შინაარსით იქნება შევსებული ეს პუნქტები (ტასი).

ლონდონი, 1 თებერვალი. მოლაპარაკება ჩამოსულ **ფლანდენთან და ლავალთან** ევროპაში შექმნილი საერთო მდგომარეობის შესახებ დღეს დაიწყება. ინგლისის წარმომადგენლები იქნებიან **მაკდონალდი, საიმონი და ბოლდუინი**. ამგვარად, მოლაპარაკებაში მონაწილეობას მიიღებენ ნაციონალურ მთავრობაში შემავალი ყველა პარტიის წარმომადგენლები (ტასი).

ანტისაბჭოთა ორგანიზაციების საქმიანობა ინგლისში

ლონდონი, 31 იანვარი. უიკს სააგენტოს გადმოცემით, საბჭოთა უკრაინის ჩამოშორების მომხრეებმა, რომლებიც წააქეზა გერმანია - პოლონეთის პოლიტიკის მიმართულებამ, განავითარეს თავისი საქმიანობა ლონდონში. სააგენტოს სიტყვით, მათი გეგმა იმაში მდგომარეობს, რომ უკრაინაში უნდა მოეწყოს აჯანყება, რომლის შემდეგ დიდმა სახელმწიფოებმა „მცირე ხალხთა თავისუფლების დაცვის“ ლოზუნგით უნდა მოახდინონ ინტერვენცია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ხელმძღვანელი როლი ამ ანტისაბჭოთა კამპანიაში ეკუთვნის გეტმან **სკოროპადსკის** და მის თანაშემწეს საკმაოდ ცნობილ **კოროსტოვეცს**. ლონდონში მოეწყო სპეციალური „გეტმანის საბჭო“, რომლის მხედველობაში, სააგენტოს სიტყვით, შედის „ინგლისის კონტრდაზვერვის ორი ყოფილი ხელმძღვანელი მსოფლიო ომის პერიოდში“. ერთერთ სხდომაზე, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ მოიწვია ამ ორგანიზაციამ ლონდონის დასავლეთ ნაწილში მდებარე ერთერთ არისტოკრატიულ სახლში, კოროსტოვეცი გამოვიდა მოხსენებით თემაზე — ბოლშევიზმის საფრთხე და მასთან ბრძოლის მეთოდები. სხდომის თავმჯდომარედ აირჩიეს ადმირალი რეჯინალდ ხოლი, საზღვაო სამინისტროს ზვერვის განყოფილების ყოფილი ხელმძღვანელი 1914 წლიდან 1918 წლამდე და კონსერვატიული პარტიის თვალსაჩინო წევრი 1923-24 წლებში. სააგენტოს სიტყვით, კრება გამოცოცხლდა მხოლოდ მაშინ, როცა კოროსტოვეცმა საქართველო ახსენა. კრებაზე დამსწრე ერთერთმა პირმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ „ოთახში ნავთის სუნი დატრიალდა“ (ტასი).

საბჭოთა კავშირი და თურქეთი

ანკარა, 31 იანვარი. „ულუსი“ (მთავრობის ორგანო), რომელიც მიძღვნილია მოლოტოვის მოხსენებისადმი საბჭოების ყრილობაზე, ხაზს უსვამს რა საბჭოთა კავშირის და თურქეთის ურთიერთი თანამშრომლობის მნიშვნელობას მშვიდობიანობისათვის ბრძოლაში, აღნიშნავს ორივე ქვეყნის გაზრდილ როლს საერთაშორისო ცხოვრებაში. „ერთა ლიგის მნიშვნელობის აღდგენის საქმეში, აგრესორის განსაზღვრისა და აღმოსავლეთის პაქტისათვის ბრძოლაში,— წერს გაზეთი,—ორივე ქვეყანამ საპატიო ადგილი დაიკავა“. გაზეთი ამაში ხედავს თურქეთ-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის მკაფიო მაჩვენებელს, რაც ორივე ქვეყანაში კმაყოფილებას იწვევს და უფრო და უფრო მეტად აღვივებს მეგობრობას, ურთიერთი პატივისცემის უფრო და უფრო მხურვალე გრძნობას (ტასი).

გერინგის საუბარი პილსუდსკისთან

ბერლინი, 1 თებერვალი. ყველა გაზეთი ვარშავიდან იტყობინება, რომ **გერინგი** გუშინ, ბერლინში გამგზავრების წინ, მიიღო **პილსუდსკიმ**. მათ შორის გაიმართა საუბარი, რომელმაც საათნახევარზე მეტხანს გასტანა. „დოიჩე ალგემეინე ცაიტუნგის“ ვარშაველი კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ვარშავის პოლიტიკური წრეების აზრით, ამ საუბარმა თვალსაჩინო როლი ითამაშა გერმანიისა და პოლონეთის შემდგომ დაახლოვებაში.

დღეს გერინგი დაბრუნდა ბერლინში. (ტასი).

ამერიკა აძლიერებს სამხედრო ავიაციას

ვაშინგტონი, 31 იანვარი. რუზველტმა კონგრესს განსახილველად წარადგინა „ფედერალური საავიაციო კომიტეტის“ მოხსენება, რომელიც აყენებს მთელ რიგ ზომებს სამხედრო და სამოქალაქო ავიაციის გასაძლიერებლად. (ტასი).

□ □ □ □ □ □ □

ფაშისტური ტერორის შიშით ემიგრანტები ტოვებენ საარის ოლქს.
სურათზე: ემიგრანტების ავეჯით დატვირთული საბარგო ავტომობილები მიდიან საფრანგეთის საზღვრებისაკენ.

მფრინავთა ახალი კადრები

სურათზე ზევიდან ქვევით: მ. გუჩბა, ნ. ან. ბელეცკი, მ. სირტლანოვა.

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ტფილისის აეროკლუბის მფრინავთა სკოლის კურსანტებმა 29 და 30 იანვარს ჩააბარეს გამოცდა ფრენოსნობაში.

კურსანტებს ამოწმებდნენ: არმიის შტაბის სამხედრო-საჰაერო ძალებიდან გამოყოფილ მფრინავთა კომისია, ა.-კ. თავდაცვა-ავიაქიმის ავიაციის უფროსი ამხ. **ხაცარინოვი** და აეროკლუბის ხელმძღვანელობა: კლუბის უფროსი ამხ. **ჯიბლაძე**, მოადგილე სასწავლო ნაწილში ამხ. **ქართველიშვილი** და მოადგილე პოლიტდარგში ამხ. **პოლოხოვი**.

შემოწმების შედეგად კურსანტების უმრავლესობამ მიიღო უმაღლესი ნიშანი—**ფრიადი**, დანარჩენებმა—**კარგი**. აღსანიშნავია კურსანტების მიღწევები პილოტაჟის რთულ კომბინირებულ ფრენაში. გაბედულად და ზუსტად ასრულებდენ სხვადასხვა ურთულეს ფიგურებს როგორიც არის: ღრმა ფრთაზე ბრუნვა, მიმართულების სწრაფად შეცვლა ფრთით დაცურება, მკვდარი მარყუჟი, სხარტად აპარატის დაშვება განსაზღვრულ ადგილზე დაჯდომით და სხვ.

დიდი ოსტატობით და სიზუსტით შეასრულა **ნინო ხუბულავამ** პილოტაჟის უმაღლესი ფორმები და მოხდენილად დაეშვა აეროდრომზე სამწერტილოვანი დაფრენით. ამავე ფიგურებს არა ნაკლებ მოხდენილად ასრულებს **ბელეცკი**, რომელმაც დამატებით მოამზადა ამოცანა — ჰაერში გაჩერებულ პროპელერით ზუსტი ვარაუდის აღება განსაზღვრულ ადგილზე დასაჯდომად. ასე შეასრულა 27 ახალგაზრდა პილოტმა მოცემული ამოცანები საუკეთესო შეფასებით. ამ ახალგაზრდა პილოტთა მწკრივში შეფასებაში **ფრიადი** ნიშნით სხვათა შორის არიან აფხაზეთის ცაკის სტიპენდიანტები: **ა. ავიძბა და მ. გუჩბა.**

ამგვარად მფრინავ ინსტრუქტორთა და თვით კურსანტთა ენთუზიაზმით და ენერგიული შრომით საქართველოს სინამდვილეში პირველად და ისიც ერთი თვით ვადაზე ადრე ჩვენს სახელოვან მფრინავთა რიგებს მიემატა ფაბრიკა-ქარხნების მუშა-ახალგაზრდობა.

თერთმეტი თვის განმავლობაში წარმოების მოუწყვეტლად, სოცშეჯიბრების და დამკვრელობის გაშლით, მტკიცე დისციპლინის დანერგვით კურსანტებმა მიაღწიეს სასახელო წარმატებას. კომისიისათვის ეს წარმატებები, რომლებიც აჩვენეს ახალგაზრდა მფრინავებმა იყო გამოცდა არა მარტო გამოშვებულ მფრინავთა, არამედ თვით აეროკლუბისაც, რომლის ხელმძღვანელთა და მფრინავ ინსტრუქტორთა მაღალი კვალიფიკაცია, უნარი და საქმისადმი სიყვარული იმის თავდებია, რომ საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ტფილისის აეროკლუბი შემდეგშიც მოგვცემს მფრინავთა ახალ-ახალ კადრებს კიდევ უფრო მაღალკვალიფიკაციით.

სურათზე ზევიდან ქვევით: ა. ავიძბა. ნ. ხუბულავა, ანია პროცენკო, დ. კურდღელაშვილი.

რემონტი დავამთავრეთ
(ტელეგრაფით ალაზნიდან)

ალაზნის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობამ ტრაქტორების რემონტი ვადამდე 19 დღით ადრე დაამთავრა.

კაპიტალური რემონტი გაუკეთდა 29 ტრაქტორს, საშუალო — 30 ტრაქტორს და მიმდინარე—2-ს. ტრაქტორების მისაბმელი ინვენტარის შეკეთების გეგმა შესრულებულია 100 პროცენტით. გეგმის გარეშე შეკეთებულია კომბაინების 19 ძრავი.

გასულ წელთან შედარებით რემონტის ხარისხი უკეთესია.

მეურნეობის დირექტორი **ომაროვი.**
პარტკომი—**კუპრაშვილი.**
მუშკომი — **ზვერიაშვილი.**

—□—

2.560.000 მეტრი აბრეშუმის ქსოვილი 1935 წელს

ტფილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა (დირექტორი ამხ. თოთიბაძე), მოსკოვიდან მიღებული გეგმის მიხედვით, 1935 წ. ქვეყანას მისცემს 2.560 ათას მეტრ აბრეშუმის ქსოვილს, 1934 წელთან შედარებით 465 ათასი მეტრით მეტს (ზრდა 17,9 პროც.).

მიმდინარე წელს ფაბრიკის ხელმძღვანელობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ პროდუქციის ხარისხისა და ასორტიმენტის გაუმჯობესებას.

ახალი გეგმის მიხედვით, ფაბრიკა გასულ წლებთან შედარებით ადიდებს პროდუქციის ასორტიმენტს. ნაცვლად 12 ასორტიმენტისა (1933-34 წ.) მიმდინარე წლის იანვრიდან უშვებს 19 ასორტიმენტის პროდუქციას. მოემატა: კრეპ-სატინი, ლიბერტინი, სასაბნე ატლასი (ორმაგი), ფაიდეშინი, ზოლიანი აბრეშუმის და ჟაკეტის სახიანი ქსოვილები.

ჩამოყალიბებულია სპეციალური საგამოკვლევო ჯგუფი, რომელიც ამუშავებს ღონისძიებებს დამატებითი ასორტიმენტის გამომუშავებისა და არსებულ ასორტიმენტის გაუმჯობესებისათვის. ჯგუფის ხელმძღვანელობს ინჟინერი პეროვი.

კიროვის რაისაბჭოს პირველი პლენუმი

გუშინ საღამოს, ღარიბ ებრაელთა დამხმარე საზოგადოების ამხ. **ბერიას** სახ. კლუბში შედგა კიროვის რაიონის მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს პირველი პლენუმი.

პლენუმი გახსნა ტფილისის საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **სიმონ ჯუღელმა**, რომლის მოწოდებით პლენუმმა ფეხზე ადგომით პატივი სცა ამხ. **კიროვის** და ამხ. **ვ. კუიბიშევის** ხსოვნას.

შესავალ სიტყვაში ამხ. ჯუღელმა აღნიშნა, რომ კიროვის რაიონის ჩამოყალიბება გამოწვეულია ჩვენი სახალხო მეურნეობის და კერძოდ ქალაქ ტფილისის სამეურნეო და კულტურული ზრდით. 1931 წელს ტფილისის მოსახლეობა უდრიდა 350.000 კაცს. 1934 წელს კი 428.000 ანუ 22.3 პროც.-ით მეტს, ვიდრე 1931 წელს.

ტფილისში კიდევ უფრო სწრაფად ვითარდება მრეწველობა, უკვე მოქმედებენ მანქანათმშენებელი ქარხანა, მაუდ-კამვოლის ფაბრიკა, წისქვილის კომბინატი და სხვ. ახლო მომავალში ამუშავდება კიდევ რამოდენიმე არა მარტო რესპუბლიკური, არამედ საკავშირო მნიშვნელობის საწარმო. ტფილისის სამრეწველო საწარმოთა პროდუქცია 1931 წელს 26 მილიონ მანეთს არ აღემატებოდა. ახლა კი 140 მილიონ მანეთს გადააჭარბა. 1931 წელს ტფილისის საწარმოებში მუშაობდა 32.000 1934 წ. კი—64.000 მუშა.

საქალაქო მეურნეობის განვითარების დონე ჩამორჩა მის კულტურულ განვითარებას. ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ამხ. **ბერიამ**, რომელმაც დაგვისახა ტფილისის საქალაქო მეურნეობის განვითარების გაშლილი პროგრამა და პრაქტიკულად ხელმძღვანელობს ტფილისის საქალაქო მეურნეობის რეკონსტრუქცია-განვითარებას.

მიმდინარე წელს ტფილისის საქალაქო მეურნეობაში დაბანდებული იქნება 60 მილიონამდე მანეთი, აქედან კომუნალურ მეურნეობაზე დაიხარჯება 50 მილიონი. ეს თანხა ათვისებული უნდა იქნეს მაქსიმალური სამეურნეო მიზანშეწონილობით.

ის დიდი ამოცანები, რომლებიც ტფილისის საბჭოს და მისი სარაიონო საბჭოების წინაშე დგანან ამ საბჭოებისაგან, კერძოდ კიროვის სახ. საბჭოსაგან მოითხოვენ კონკრეტულ - ოპერატიულ საქმიანობას, და თვითეული დეპუტატის აქტიურ მუშაობას.

კიროვის სახელობის საბჭოს წევრებმა, განაცხადა ამხ. ჯუღელმა, განსაკუთრებული ენერგიით და სიყვარულით უნდა მოკიდონ საქმეს ხელი, უნდა იმუშაონ კიროვის სტილით, რომ მთლიანად გაამართლონ თავისი საპატიო სახელწოდება და კიროვის რაიონი სანიმუშო რაიონად გადააქციონ.

ამხ. ჯუღელის შესავალ სიტყვის შემდეგ არჩეული იქნა პლენუმის საპატიო და საქმიანი პრეზიდიუმი.

ხელმძღვანელ ორგანოების არჩევის შემდეგ პლენუმმა მოისმინა ამხ. **კუციას** ინფორმაცია საორგანიზაციო ბიუროს მუშაობის შედეგებზე.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ ამხ. **ახალაძე** (ღარიბ ებრაელთა დამხ.კომ.) **ზეჟანოვი** (ქეჩის ფაბრიკა), **კორნეიჩუკი** (არმია), **გ. ნიორაძე** (მუზეუმის დირექტორი), **ოგანეზოვი** (ფეხსაცმელების ფაბრიკა № 1).

მისალმებების შემდეგ განხილულ იქნა ორგანიზაციული საკითხები. პლენუმის პარტიული ჯგუფის წინადადებით კიროვის სახ. რაისაბჭოს თავმჯდომარედ პლენუმმა ერთხმად აირჩია ამხ. **ნ. კუცია**, თავმჯდომარის მოადგილედ ამხ. **ა. ხააკოვი**, საბჭოს პასუხისმგებელ მდივნად და საორგ. განყოფილების გამგედ ამხ. **ნინო ლისენკო**, ფინგანის გამგედ — **გ. ჩანქვეტაძე**, ჯანმრთელობის განყოფილების გამგედ **ი. ალიაშვილი**, განათლების განყოფილების გამგედ **ს. ჩხიკვაძე**.

საბჭოს პრეზიდიუმი დამტკიცებულ იქნა 13 წევრის და 4 კანდიდატის შემადგენლობით.

არჩევნების შემდეგ პლენუმმა მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა ამხ. **სტალინს**, საბჭოების მე-7 სრულიად საკავშირო ყრილობას, ამხ. **ბერიას** და ამხ. **ფ. მახარაძეს**.

დასასრულ კიროვის რაისაბჭოს პლენუმს მიესალმა 26 კომუნარების საბჭოს დელეგაცია, რის შემდეგ პლენუმი დაიხურა.

◆

26 კომუნარების სახ. რაისაბჭოს პლენუმი

1 თებერვალს შედგა 26 კომუნარის სახელობის რაისაბჭოს რიგ-გარეშე პლენუმი. პლენუმმა ფეხზე ადგომით პატივი სცა ამხ. სტალინის საუკეთესო თანამებრძოლების უდიდესი სახელმწიფოებრივ მოღვაწეების ამხ. **ს. კიროვის** და **ვ. კუიბიშევის** ხსოვნას.

პლენუმმა მოისმინა ამხ. **პერჩიანის** ცნობა ტფილისში მეხუთე რაიონის — ამხ. კიროვის სახელობის რაიონის მოწყობის შესახებ.

მოიწონა რა მთლიანად საორგკომიტეტო ორგანოების გადაწყვეტილება ახალი რაიონის მოწყობის შესახებ, პლენუმმა დასახა ძირითადი ღონისძიებები რაისაბჭოს შემდგომ მუშაობისათვის. ამ ღონისძიებათა მიხედვით მუშაობის სიმძიმის ცენტრი მომავალში გადატანილი უნდა იქნას ნავთლუღის სამრეწველო რაიონზე.

პლენუმმა აირჩია რაისაბჭოს პრეზიდიუმი 13 წევრის და 4 კანდიდატის შემადგენლობით. რაისაბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. **პერჩიანი**, მის მოადგილედ ამხ. **კაციტაძე**, პასუხისმგებელ მდივნად და საორგანიზაციო განყოფილების გამგედ ამხ. **დანელია**.

საბავშვო ოლიმპიადა

პიონერთა თვითმოქმედი ხელოვნების ოლიმპიადა, რომელიც 20 იანვარს დაიწყო, შეუსუსტებელი წარმატებით მიმდინარეობდა ვოროშილოვის სახელობის კლუბში.

30 იანვარს აღნიშნულ კლუბში იყო შეჯიბრებათა უკანასკნელი დღე. ამ დღეებში ჟიური გამოიტანს დადგენილებას, რომლის მიხედვით დაჯილდოებული იქნებიან ოლიმპიადის საუკეთესო მონაწილეები. დაჯილდოებულები გაიგზავნებიან მონაწილეობის მისაღებად თვითმოქმედი ხელოვნების საერთო-საქალაქო საბავშვო ოლიმპიადაზე.

—○—

ჭ ა დ რ ა კ ი

მომავალი საერთაშორისო ტურნირი იქნება საბჭოთა მოჭადრაკეების ძალების შემოწმება
(საუბარი მაესტრო გოგლიძესთან)

განა შეეძლო 18 წლის ბიჭს, რომელიც სრულიად შემთხვევით ჩაწვდა ჭადრაკის თამაშის სიბრძნეს, ეფიქრა, რომ ათეული წლის შემდეგ მისი ნიჭი ჭადრაკის თამაშში გაიზრდებოდა საერთაშორისო კლასის სიმაღლემდე, რომ მას სვლების ზუსტად გაანგარიშებით სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკება მოუხდებოდა მსოფლიოს ყოფილ ფალავანთან კაპაბლანკასთან და უდიდეს გროსმეისტერებთან?

ჯერ კიდევ 1925 წელს მაესტრო გოგლიძემ მიიღო საბრძოლო „ნათლობა“ საჭადრაკო ტურნირში ტფილისის პირველობაზე, მაგრამ ტფილისის ფალავანის სახელწოდება მან მიაღწია მხოლოდ 2 წლის შემდეგ.

გოგლიძის საჭადრაკო ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ეტაპებს წარმოადგენენ: მისი მონაწილეობა ამიერ-კავკასიის ჩემპიონატში (1928 წელი), სადაც მან მეორე ადგილი დაიკავა და იმავე წელს მაესტრო გრიგორიევთან გათამაშებული მატჩი, რომელიც დამთავრდა ანგარიშით +5 ნახ.— 4 ნახ. გრიგორიევის სასარგებლოდ. ის იყო ახალგაზრდა, დიდი მომავლის მქონე მოჭადრაკის ძალის პირველი სერიოზული გასინჯვა.

ოსტატის სახელწოდება გოგლიძემ მოიპოვა 1930 წელს ოსტატ ნენაროკოვთან გამართულ მატჩში. პლუს 6 ნახ. —3 ნახ. —ასეთი იყო გოგლიძის ბრწყინვალე გამარჯვება ამ მატჩში.

უკანასკნელი წლების განმავლობაში გოგლიძის უდიდეს გამარჯვებებიდან უნდა აღინიშნოს: ოსტატთა ტურნირი 1933 წელს, სადაც მან პირველი ადგილი გაიყო ალატორცევთან და საკავშირო რესპუბლიკების ოსტატთა ტურნირში მაესტრო [illegible] მონაწილეობით; ეს ტურნირი ტფილისში ჩატარდა გასული წ. ბოლოს. როგორც ვიცით, გოგლიძე ამ ტურნირში პირველ ადგილზე გამოვიდა, ბევრით გაუსწრო რა დანარჩენ მონაწილეებს (10 ნახ. ქულა შესაძლებელ 13-დან).

— უკანასკნელი წლების განმავლობაში, — ამბობს ოსტატი გოგლიძე, მე ბევრ დროს ვანდომებდი საზოგადოებრივ მუშაობას. ვიყავი რა ამიერ-კავკასიის და საქართველოს საჭადრაკო კომიტეტების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, მე ამავე დროს ვხელმძღვანელობდი საჭადრაკო წრეს, რომელმაც პირველი კატეგორიის არა ერთი და ორი მოთამაშე მოგვცა: ამხ. ფირცხალავა, კაჭკავა, სერიდა, შიშოვი და სხვ..

— ჩემს საჭადრაკო მუშაობას,—აცხადებს ამხ. გოგლიძე, — დიდად აფერხებდა სწავლა. წელს მე ვამთავრებ ამიერ-კავკასიის ინდუსტრიალურ ინსტიტუტს. ამიტომ მე ცოტა დრო მრჩებოდა ჭადრაკის თამაშის თეორიის ზუსტად შესასწავლად.

მიწვევა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე, რომელიც—15 თებერვალს იხსნება მოსკოვში, ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო, ვინაიდან მთელ რიგ მიზეზების გამო მე ვერ მივიღე მონაწილეობა უკანასკნელ საკავშირო ტურნირზე, ხოლო კანდიდატების შერჩევა საერთაშორისო ტურნირისათვის სწორედ ამ ტურნირზე ხდებოდა. ჩემს მიწვევას ალბად ხსნის ჩემი გამარჯვება საკავშირო რესპუბლიკების ოსტატთა ტურნირზე.

მომავალ საერთაშორისო ტურნირს მე ვაფასებ, როგორც სერიოზულ გამოცდას საბჭოთა მოჭადრაკეებისათვის. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ოსტატები იქნებიან, როგორც 1925 წლის საერთაშორისო ტურნირზე, ერთხელ კიდევ გვიჩვენებენ თამაშის საერთაშორისო კლასს.

[illegible] ჩემთვის ეს ტურნირი წარმოადგენს ძალისა და ნიჭის სერიოზულ გამოცდას. მე წინასწარ ვერაფერს ვიტყვი ჩემი თამაშის შედეგების შესახებ. შემიძლია მხოლოდ ვთქვა, რომ უკანასკნელ წლებში, როგორც იტყვიან ხოლმე, „ფორმაში“ ვგრძნობ თავს. დანარჩენს ტურნირი დაგვანახვებს.

ტურნირის დაწყებამდე 16 დღე დარჩა. განზრახული მაქვს ეს დრო მოვანდომო სერიოზულ თეორიულ მომზადებას. რისთვისაც ეს ვადა სავსებით საკმარისად მეჩვენება. (ტასი).

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი 1934-35 წ სეზონი

დღეს 2 აბონ. 7 წარმ.	4 თებერვალს მე-11 აბ. 7 წარ.	5 თებერვალს 6 აბონ. 7 წარ.
თავადი იგორი	სამსონ და დალილა	ლ ა კ მ ე

ის აბონენტები რომლებსაც არ ექნებათ შეტანილი მე-7 გადასახდელი ყველა აბონემენტზე წარმოდგენაზე არ დაიშვებიან, ხოლო მათი ადგილები გაიყიდება. გადასახდელის მიღება და ბილეთების გაყიდვა წარმოებს ყოველდღე, დილით 11—2 ს. და საღ. 6—9 ს. ბავშვები და მოწაფეები 17 წლამდე თეატრში არ დაიშვებიან. წარმ. დასაწყ. საღ. სრ 8 ს.

[illegible] თეატრი

3 თებერვალს 9 აბონ. 5 წარ.	4 თებერვალს სტ. აბ. ა. მე-5 წ.	5 თებერვალს სტ. აბ. ბ 5 წარ.
ინტერვენცია	ინტერვენცია	დუშმანი

მეექვსე გადასახადი სავალდებულოა.
დილის წარმოდგენები შეღავათიან ფასებში დღის 12 საათზე.
6 თებერვალს—დუშმანი.
12 თებერვალს—ნაბიჭვარი.
სალარო ღიაა 11—2, 6—9 საათამდე.

ოქტომბერი 6-30. 8-30. 10-30.	დადგმის უკანასკნელი დღეები ახალი ხმოვანი ფილმი სიმღერა ბედნიერებაზე
დამკვრელი 6-30, 8, 9-30, 11	დადგმის მეორე კვირა ახალი კომედია რესპუბლიკის მემკვიდრე პრინცი
[illegible] 6-30. 8, 9-30. 11	სათავგადასავლო კინო-რომანი კუნძული ტოგუი
რ. ლუქსემბურგის სახ. 5-30. 7-20. 9-10. 11	დადგმის მე-8 კვირა ხმოვანი ფილმი ჩ ა პ ა ე ვ ი დილით—მთვარე მარცხნივ.
„26“-ის კომ. სახ. 6-30. 8-30. 10-30	ხმოვანი ფილმი უკანასკნელი მასკარადი დილით—უკანასკნ. [illegible]

ტფილისის სამომხმარებლო საზოგადოებათა კავშირის
(ტ. ს. ო. კ.-ის)
კ ა ფ ე
რუსთაველის პრ. № 12.
ს ა უ ზ მ ე
პორციული - 3 მანეთი.
3-1 ნ. 37

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი
4 და 5 თებერვალს
აბონემენტს გარეშე
ო თ ე ლ ო
ოტელო—ვასო გოძიაშვილი.
დეზდემონა—რესპ. დამს. მსახიობი ვ. ანჯაფარიძე.
დასაწყისი საღ. 8 საათზე.
სალარო ღიაა დილის 11—2 ს., საღ 6—9 ს. ნ. 29

რუსთაველის თეატრი
სანდრო ახმეტელის
ხელმძღვანელობით
1934—35 წლ. სეზონი.
მოსწავლე ახალგაზრდობის კულტურულ მომსახურების მიზნით, გამოსასვლელ დღეებში დადგმულ იქნება
დილის წარმოდგენები
დღის 12 საათზე
6 თებერვალი—დ უ შ მ ა ნ ი
12 თებერვალი—ნ ა ბ ი ჭ ვ ა რ ი
მიიღება კოლექტიური დაკვეთა ბილეთებზე და წარმოებს წარმოდგენების მთლიანი შესყიდვა.
სალარო ღიაა 11—2, 6—9 საათამდე. ნ. 36

მარჯანიშვილის თეატრი
დაკლებულ ფასებში
დილის წარმოდგენები

6 თებერვ.	ესკადრის დაღუპვა
12 თებერვ.	მზის დაბნელება საქ.
18 თებერვ.	ო ტ ე ლ ო

დასაწყისი დღის 12 საათზე.
სასწავლებლები, რომლებიც კოლექტიურად შეიძენენ 25 ბილეთს ან მეტს მიეცემათ 40 პროცენტი შეღავათი
სალარო ღიაა დილის 11—2 ს., საღამოს 6—9 საათამდე

კინო-თეატრი „ო ქ ტ ო მ ბ ე რ ი“
დღეს, 3 თებერვლიდან,
კომუნიზმისათვის მებრძოლის ხსოვნისადმი
მიძღვნილი დიდი ხმოვანი ფილმი
კ ი რ ო ვ ი
რეჟის. ბლიოხი. ლექსი—ბეზიმენსკის მუსიკა—შტეინბერგის
სეანსები დაიწყება—6-30, 8, 9 30, 11.

4 თებერვალს, საღამოს 7 საათზე. შედგება
ტფილისის საბჭოს
შემდეგი სექციების პლენუმები:
1. ადგილობრივი მრეწველობის—ტფ. საბჭოს წითელ დარბაზში.
2. სათბობის—ტფ. საბჭოს შენობაში, ოთახი № 37.
3. სატრანსპორტო—ტფ. საბჭოს შენობაში, ოთახი № 33.
4. სანიტარულ-ჰიგიენური
5. ჯანმრთელობის დაცვის
6. დედათა და ყრმათა დაცვის
სარეწაო კოოპერაციის ქ. № 4. ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილების შენობაში
7. საგზაო—ტფილისის საბჭოს შენობაში, ოთახი № 41.
8. წყალკანალიზაციის—ა.-კ. ფედერაციის მოედანი—3, წყალკანალ. ტრესტში.
9. საბინაო მეურნეობის—ტფილისის საბჭოს შენობაში, ოთახი № 113.
10. რევოლუციური კანონიერების—ტფ. საბჭოს შენობაში, ოთახი № 11.
11. საფინანსო—ტფ. საბჭოს შენობაში, ოთახი № 136, შესასვლელი დაბოვის ქუჩიდან № 2.
12 შინვაჭრობის და კოოპერაციის—ტფ. საბჭოს შენობაში, ოთახი № 86.
13. კულტმშენებლობის—ტფ. საბჭოს შენობაში. ოთახი № 32.
14. თავდაცვის—წითელი არმიის ცენტრ. სახლის სალექციო დარბაზში,
15. კავშირგაბმულობის—სამხედრო ქ. № 4. ცენტრ. ტელეგრაფის კლუბში.
16. ტფილსაზკვების—ტფ. საბჭოს შენობაში ოთახი № 32.
17. ელექტრომეურნეობის—„თელასი“ კლუბში—შესასვლ. წერეთლის ქუჩიდან.
18. გამწვანების—მწვანმშენის შენობაში, კლარა ცეტკინის ქ. № 143
ამ სექციებში ჩაწერილ ტფილისის საბჭოს წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.
2-1 ნ. 38 ტფ. საბჭოს საორგანიზაციო განყოფილება.

საქ. [illegible] სამმართველო
ამით აცხადებს, რომ მას
სასწრაფოდ ესაჭიროება
ბუხჰალტრები
აგრეთვე მემანქანეები მოტორიან და ორთქლით მომუშავე სატკეპნ მანქანებზე და ამ მანქანების ამწყობნი.
პირობების გაგება შეიძლება საქ. გზა[illegible] ამხ. [illegible], მახაბლის ქ. № 8.
ნ. 32

ვამზადებ და ვასწორებ ჩამორჩენილ მოწაფეებს
მათემატიკაში
და რუსულში ვამზადებ აგრეთვე უცოდინარებს
არითმეტიკაში და ბუხჰალტერიას
მოვამზადებ [illegible]
თანამდებობისათვის
პლეხანოვის ქუჩა 25 შესავალი ჩერქ. ხევი, 5 აბ. 9—2 ს. 10 ს. 5605 7—6

ხდება „სარეწაო კავშირი“-ს სატრიკოტაჟო არტელებთან არსებულ დახურული მუშათა კოოპერატივის
ლიკვიდაცია
ყოველგვარ პრეტენზიებს ლიკვიდკომი განიხილავს 15 თებერვლამდე.
ლიკვიდკომის მისამართი: სარეწაო კოოპერაციის ქ. № 42 არტელ „შეერთებული ძალა“.
616 ლიკვიდკომის თ-რე—ნ. აბუშევი

ანიჩკა, ალექსანდრე, აკაკი და ვარლამი გვაზარიები ცოლშვილით იუწყებიან
ნატალია (ნატაშა) გვაზარიას
გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველ დღე 7 ს. დაკრძალვა 5 თებერვალს, სამხედრო ქ. № 6. 6613

და ელისაბედი, რძალი ტერეზი, ძმისშვილები: შალვა, თამარა, ძოწენიძეები, დისშვილები: სერგო, ნესტორი, საშა, მეგანაძეები იუწყებიან
დავითიკო პავლეს-ძე ძოწენიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება რკ.-გზ. საავადმყოფოდან 3 თებერვალს 4½ საათზე დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე 6614

ბიძები: სპირიდონ და ერმილე, ბიძაშვილები: ნესტორ, ვარლამ და ლავრენტი ძიძიგურები და მათი ცოლშვილი იუწყებიან
ნატაშა გვაზარიას
უდროოდ გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი ყოველდღე 7 ს. სამხედრო ქ. № 6 დაკრძალვა ტფილისში. 6611

მისამართები: რედაქციის რუსთაველის პროსპექტი № 16, გამომცემლობის რუსთაველის პროსპ. № 34. ტელეფონები რედაქტორის 3—52—26, რედაქტორის მოადგილის 3—63—08, პასუხისმგებელი მდივნის 3—06—38, მასობრივი განყოფილების 3—78—24, პარტმშენებლობის განყოფილების 3—57—61, სამრეწველო განყოფილების 3—78—40, სტამბის 3—27—04, გამომცემლობის—3—51—81. ხელთნაწერებს რედაქცია ავტორებს არ უბრუნებს.

[illegible] „კომუნისტი“. [illegible] № 38

მთავლიტის რწმუნებული ა 9324